საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

17 მაისი **სამშაბათი** 2011

№ 113 (13410) ფასი 60 თეთრი

12

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისულაშვილი ბედის ირონიის წინააღმდეგ

შესაძლოა, სპარტაკთან დაშავებული სპარტაკთან მატჩშივე დაბრუნდეს

იმედი გამართლდა - დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრალური მცველი, „კრასნოდარის“ კაპიტანი **ალექსანდრე ამისულაშვილი** გუნდთან ერთად ჩვეული დატვირთვით ივარჯიშებს.

გერმანიაში გაკეთებული ოპერაციის შემდეგ ალეკო ინდივიდუალურად ვარჯიშობდა. იყო ვარაუდი, რომ 14 მაისს „ტომთან“ ნიღბით ითამაშებდა, თუმცა რისკის თავიდან ასაცილებლად ამჯერადაც დაასვენეს, მაგრამ დღეიდან ექიმებმა სრული დატვირთვით ვარჯიშის უფლება მისცეს. და, როგორც ალეკოს ოჯახში გვითხრეს, დიდია ალბათობა, 21 მაისს რუსეთის პრემიერლიგის მორიგი ტურის შეხვედრისას „კრასნოდარი“ მოედანზე კვლავ მან გაიყვანოს. ალეკო თავს კარგად გრძნობს, ტკივილები არ აწუხებს და მზად არის, ნაკრებში გამოძახების შემთხვევაში შეკრებაზე გამოცხადდეს.

ბედის ირონიაა: ამისულაშვილი 4 აპრილს მოსკოვის „სპარტაკთან“ სათასო მატჩში დაშავდა. 21 მაისს, როდესაც მის დაბრუნებას ელიან, „კრასნოდარი“ კვლავ მოსკოვში და კვლავ „სპარტაკს“ ეთამაშება.

იმედია, ამჯერად ყველაფერი კარგად დასრულდება!

მერაბ მამულაშვილი

8

ბარსელონა ყიდიდა იერსეის

შერმადინი NBA-ს ზღურბლთან

23 ივნისს 22 წლის ქართველი ცენტრისთვის 2 გუნდი იბრძოლებს

ქართული ფეხბურთი

● ინტერვიუ ნიკოლოზ გელაშვილთან

"ზესტაფონმა" შაბათს საქართველოს ჩემპიონობა გაიფორმა, იმერელთა 25 წლის ფორვარდმა ნიკა გელაშვილმა კი საკუთარ საგოლე აქტივს კიდევ ერთი ბურთი შემატა და ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. გელაშვილს ჩემპიონობით მიღებულ ემოციებზე ველაპარაკეთ, სეზონის მნიშვნელოვანი ეპიზოდების გახსენება ვთხოვეთ და უახლოეს მიზნებზეც დავეკითხეთ.

ჩემპიონის მეგოლეს ერთიც ახარებს: უკეთურ საქმეში ზესტაფონის სახელი არ გაჭღერებულა

- უპირველესად, ჩემპიონობას გილოცავ. რომელი კომპონენტების წყალობით შეძლო "ზესტაფონმა" ტიტულის მოპოვება?

- დიდი მადლობა მოლოცვისთვის. ვფიქრობ, ჩემპიონები დამსახურებულად გავხდით. პირადად ჩემთვის ეს პირველი ჩემპიონობაა და ძალიან ბედნიერი ვარ, "ზესტაფონის" გამარჯვებაში წვლილი რომ შევიტანე. ჩემპიონობას, უპირველეს ყოვლისა, გუნდური თამაშითა და საოცარი ერთსულოვნებით მივაღწიეთ. "ზესტაფონი" ძალიან მეგობრული გუნდია, რის გარეშეც ასეთი შედეგები არ ექნებოდა. ვერ ვიტყვი, რომ ჩემპიონობაში კონკრეტულად რამდენიმე ფეხბურთელმა შეიტანა სხვებზე მეტი წვლილი, ამ გამარჯვებისთვის გუნდის თითოეულმა მოთამაშემ მაქსიმუმი გაიღო.

- "ზესტაფონს" წინა სეზონებშიც ძლიერი შემადგენლობა ჰყავდა, მაგრამ ჩემპიონობასთან ახლოსაც არ ყოფილა.

- როგორც ჩანს, ძველი წარუმატებლობებისგან საჭირო დასკვნები გამოვიტანეთ და ნაკლოვანებები გამოვასწორეთ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ძირითადი ბირთვის შენარჩუნება. "ზესტაფონმა" ეს მოახერხა, ფეხბურთელებმა უკეთ გაიცანით ერომანეთი, მოედანზეც უკეთ გავუგეთ ერთმანეთს და სანუკვარ მიზანსაც მივაღწიეთ. გუნდი წლიდან წლამდე პროგრესირებს და ჩემპიონობის დროც მოვიდა.

- დუბლის შესრულებაც შეგეძლოთ.

- თასის მოპოვებაც ძალიან გვინდოდა, უკვე დიდი ხანია, რაც საქართველოში დუბლი აღარავის შეუსრულებია, მაგრამ, სამწუხაროდ, ნახევარფინალში "ტორპედოს" ბარიერი ვერ გადავლახეთ. ვაღიარებ, მეტოქემ უკეთ ითამაშა და ფინალში სამართლიანად გავიდა.

- ხომ არ ფიქრობ, რომ "ზესტაფონს" ჩემპიონობა კონკურენტების არასტაბილური თამაშის გამოც გაუადვილდა?

- არა, რადგან, ჩავარდნების მიუხედავად, "დინამომ" და "ოლიმპმა" ჩემპიონატი ღირსეულად ჩაატარეს. განსაკუთრებული წინააღმდეგობა "დინამომ" გაგვიწია და გამუდმებით სერიოზულ ნნეხში ვყავდით მოქცეული.

- რომელი თამაში აღმოჩნდა გადამწყვეტი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში?

- თუ ჩემპიონობა გინდა, თითოეულ მატჩში ბოლომდე უნდა დაიხარჯო და ქულები არ ანიავო. ჩემპიონობა რომელიმე კონკრეტული მატჩის მოგებამ არ მოგვიტანა, მაგრამ სატურნირო და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მაინც ორ შეხვედრაში გამარჯვებას გამოვარჩევ – "ზესტაფონმა" ჯერ შინ "დინამო" დაამარცხა, მერე გასვლაზე "ოლიმპს" მოუგო და სწორედ მაშინ დარწმუნდა ყველა, რომ საქართველოში საუკეთესო გუნდი ჩვენ გვყავს.

- ბომბარდირობაში უკვე დარწმუნებული ხარ?

- იმის მიუხედავად, რომ 17 გოლი დამიგროვდა და უახლოეს მდევარ ირაკლი მოდებაძეს სამი ბურთით ვუსწრებ, ეს ტიტული ჯერ არ დამიბევებია. თანაც, შემდეგ ტურში ბოლნისის "სიონთან" მიკროტრავმის გამო, ალბათ, ვერ ვითამაშებ. მთავარი მაინც "ზესტაფონის" ჩემპიონობა იყო და რაკი ეს მიზანი უკვე შესრულებულია, შემიძლია, პირად მიღწევაზეც ვიფიქრო.

- ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი შარშანწინაც გახდი, მაშინ 20 გოლი გაიტანე. გაქვს ამ მიღწევის გამეორების იმედი?

- გამიჭირდება, მაგრამ მაინც შევეცდები. თუმცა ისიც კარგია, რომ წინა სეზონის მაჩვენებელი უკვე გავაუმჯობესე. მაშინ 16 გოლი გავიტანე და მხოლოდ "ოლიმპის" ბრაზილიელმა აკინომ გამისწრო.

- ამ სეზონის 17 გოლიდან პენალტით ერთიც არ გაგიტანია. თუ შანსი მოგეცა, თერთმეტმეტრიანს დაარტყამ თუ გირჩევნია, გოლები მხოლოდ თამაშიდან გქონდეს გატანილი?

- დავიწყებ იმით, რომ ამ სეზონში "ზესტაფონმა" მხოლოდ ერთი პენალტი დაარტყა და მეეჭვება, ამის შესაძლებლობა კიდევ მოგვეცეს, თუმცა, თუ საშუალება იქნება, თერთმეტმეტრიანს აუცილებლად შევასრულებ. პენალტიც გოლია და არც მისი გატანაა იოლი.

- ალბათ, "ზესტაფონის" წევრებს ჩემპიონობა ფინანსურადაც საკადრისად დაგიფასდებათ.

- აუცილებლად, ეს დაპირება სეზონის დაწყებამდე მივიღეთ.

- რისი მიღწევა შეუძლია "ზესტაფონს" ევროტურნირებზე?

- "ზესტაფონი" პირველად იასპარეზებს ჩემპიონთა ლიგაზე და ჩვენი ამოცანა ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა იქნება. კარგად მესმის, რომ ეს ურთულესი ამოცანაა, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. საერთოდ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში შესვლა კი არა, ერთი ეტაპის გადალახვაც დიდი საქმეა, თუმცა უშანსოდ ნამდვილად არ ვიქნებით. წინა წლებში ევროთასებზე არაერთი ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ ღირსეულად ვითამაშეთ, ზამთრის შეკრებაზე ესპანეთშიც სახელოვან გუნდებს გავუწიეთ დიდი წინააღმდეგობა და ყოველივე ეს გვაძლევს იმის იმედს, რომ ევროპაში საქართველოს სახელს არ შევარცხვენთ.

- რა რეაქცია გქონდა ტოტალიზატორთან დაკავშირებულ სკანდალზე?

- მეც და ჩემი თანაგუნდელებიც შოკში ჩავვარდით. იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე დასჯილი ფეხბურთელი ჩემი მეგობარია, მიმაჩნია, რომ ისინი დამსახურებულად მოიკვეთნენ ფეხბურთიდან. ბედნიერი ვარ, რომ ამ სიბინძურეში "ზესტაფონის" სახელი არ გაჟღერებულა.

- ახლოვდება ხორვატია-საქართველოს მატჩი. გაქვს სპლიტში გამგზავრების იმედი?

- ძალიან მინდა, თემურ ქეცბაიას ნდობა კვლავ დავიმსახურო და ნაკრებს გამოვადგე. თუ მწვრთნელი ნაკრების ღირსად მიმიჩნევს, ყველანაირად ვეცდები, საკუთარი შესაძლებლობები სანაკრებო დონეზეც გამოვავლინო.

● ეროვნული ნაკრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალაძეც უკეთაა და ანანიძეც

კახა კალაძე

ჯანო ანანიძე

ქართველ გულშემატკივარს შეუძლია მშვიდად იყოს – თუ კიდევ რამე უსიამოვნება არ შეემთხვათ, **კახა კალაძე** და **ჯანო ანანიძე** 3 ივნისს ხორვატიის წინააღმდეგ ითამაშებენ. შეგახსენებთ, ტრავმის გამო კალაძეს რამდენიმე დღე გაუცდა, ანანიძეს - შედარებით ხანგრძლივი პერიოდი, თუმცა ახლა ორივეს მდგომარეობა უკეთესობისკენ მიდის.

კახამ კოჭის ტკივილის გამო სერია A-ს წინა ტურში "ლაციოსთან" მატჩი გამოტოვა, თუმცა "ჯენოას" ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი თავს უკვე კარგად გრძნობს და 22 მაისს იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში "ჩეზენასთან" თამაშს შეძლებს.

რაც შეეხება ჯანოს, მან უკვე დაასრულა ინდივიდუალური პროგრამა და "სპარტაკის" ფეხბურთელებთან ერთად ვარჯიშს შეუდგა. რუსული პრემიერლიგის შემდეგ ტურში "სპარტაკი" **ალექსანდრე ამისულაშვილის** "კრასნოდარს" ეთამაშება და ანანიძის მოედანზე ხილვა სავსებით შესაძლებელია.

ბოლო ტურის შეხვედრა ტრავმის გამო ნალჩიკის სპარტაკელ **დავით სირაძესაც** გაუცდა, თუმცა ის უკვე მომჯობინდა და ჩვეული დატვირთვითაც ვარჯიშობს.

● სამართლიანი თამაში

ფეარ პლეიში მაღლა ვართ

საქართველო უეფას ფეარ პლეის რეიტინგში 22-ე ადგილზეა. შეგახსენებთ, ეს რეიტინგი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ სამი ყველაზე "პატიოსნად" მოთამაშე კლუბი უეფასგან ევროპის ლიგის საგზურს იღებს.

რეიტინგში ქვეყნისა და კლუბის ადგილი საერთაშორისო მატჩებში მიღებული ყვითელ-წითელი ბარათების სიმცირით განისაზღვრება. თავიდანვე ნაკლებად გვქონდა იმის იმედი, რომ საქართველო მონინავეთა შორის იქნებოდა და უარეს შედეგსაც ველოდით, რადგან, ტრადიციულად, ამ რეიტინგშიც არ გვეკავა საპატიო ადგილი.

ევროპის ლიგაზე "ნამატი" კი ნორვეგიას, ინგლისსა და შვედეთს ეყოლებათ. სკანდინავები, როგორც წესი, ფეარ პლეიში ყოველთვის გამორჩეულები არიან. შვედური "გეფლე", რომელიც შარშან ევროპის ლიგაზე თბილისის "დინამომ" დაამარცხა, ევროასპარეზზე სწორედ სამართლიანი თამაშის წყალობით გავიდა.

ჯერ უცნობია, კონკრეტულად რომელი კლუბები გავლენ ამ სამი ქვეყნიდან ევროპის ლიგაზე, რადგან დასადგენია შიდა რეიტინგები. ცნობილია, რომ ინგლისში ფეარ პლეის რეიტინგი "ტოტენჰემმა" მოიგო, მაგრამ რაკი ამ კლუბს ევროპის ლიგის საგზურის სპორტული პრინციპით მოპოვების სოლიდური შანსი აქვს, მას ან "ფულჰემი" შეცვლის, ან "ბლექპული".

ფეარ პლეის რეიტინგის საუკეთესო ათეული ასეთია: 1. ნორვეგია, 2. ინგლისი, 3. შვედეთი, 4. დანია, 5. ისლანდია, 6. გერმანია, 7. ირლანდია, 8. ფინეთი, 9. ჰოლანდია, 10. საფრანგეთი.

გვერდი მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

მილოცვა

„დინამო" თბილისი ულოცავს საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს" საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას და უსურვებს წარმატებას საერთაშორისო არენაზე.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გეზდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● სტუმარი

ალექსეი ანდრონოვი:

მიკვირს, რატომ ლატვია და არა საქართველო?

13 მაისის საზეიმო ღონისძიებას "ნტვ-პლუსის" წამყვანი ალექსეი ანდრონოვი გადამღებ ჯგუფთან ერთად დაესწრო. ვფიქრობ, უინტერესო არ უნდა იყოს ქართულ ფეხბურთზე მისი მოსაზრებების გაცნობა – კარგიც გვითხრა და პესიმისტურიც.

- ბოლო წლებში, რუსი სპორტული ჟურნალისტები საქართველოს იშვიათად სტუმრობთ – მხოლოდ 13 მაისის აღნიშვნით დაინტერესდით?

- 13 მაისი მნიშვნელოვანი თარიღი მხოლოდ ქართული ფეხბურთისთვის არ არის. მაგრამ ეს დღე იყო საშუალება, ჩამოვსულიყავით და გაგვეცნო დღევანდელი ქართული ფეხბურთი, რომელსაც რუსეთში ადრეც ბევრი გულშემატკივარი ჰყავდა და ინტერესი დღემდე შემორჩა. თუმცა ბევრმა აღარ იცის, რა მდგომარეობაშია თქვენი ფეხბურთი. ერდა საზეიმო საღამოსი, თბილისის "დინამოსა" და ბოლნისის "სიონის" შეხვედრაც გადავიღეთ და "HTB ფუტბოლის" "საფეხბურთო კლუბში" მის ფრაგმენტებს ვაჩვენებთ.

- ერთ-ერთმა რუსულმა გაზეთმა დაწერა, ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგა" რუსული თბილისის "დინამოაო".

- ეს მაინც ხუმრობაა, "სპარტაკში" ბევრი ბრაზილიელია, მაგრამ ამ გუნდს "სანტოსს" არავინ უწოდებს. თუმცა ამ ნათქვამში სიმართლე მაინც არის.

- რუსეთის პრემიერლიგაში რომელ ქართველს გამოარჩევდით?

- ოთარ მარცვალაძეს, მაგრამ ის ჩემთვის აღმოჩენა არ ყოფილა, ოთარი ჯერ კიდევ კიევის "დინამოდან" მახსოვს.

- კიევის "დინამოს" ძირითადში არასოდეს უთამაშია და მარცვალაძის თამაში სად ნახეთ?!

- კიეველთა დუბლშემადგენლობაში და უფროროდის "ზაკარპატიეში". კიევის "დინამოში" ფეხბურთელებს კარგად ზრდიან. ამას ჩვენს ჩემპიონატში კიევიდან ჩამოსული მოთამაშეების მაგალითიც ადასტურებს. ბევრია ისეთი, რომელიც უკრაინულ კლუბს არ დასჭირდა, მაგრამ რუსეთში გუნდის ლიდერი გახდა. ამის მაგალითია თუნდაც გიორგი პეევი, რომელმაც კიევში ევრ ითამაშა, მაგრამ პერმის "ამკარის" ლიდერი და პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა.

მარცვალაძის გარდა, მომწონს გოგუა, მაგრამ მას რუსეთში საინტერესო იმიჯი აქვს. წინასწარ არავინ იცის, რას მოიმოქმედებს - მეტოქეს აიკლებს თუ ბარათს მიიღებს. ძალიან საინტერესოა ჯანო ანანიძე, მაგრამ ნლეულს ტრავმების გამო, ფაქტობრივად, არ თამაშობს.

კარგია, მაგრამ არასტაბილურია ხოჯავა, თუმცა რუსეთის პასპორტი მიიღო და, ალბათ, თქვენთვის საინტერესო აღარ არის.

- რატომ? საქართველოს ნაკრებში ითამაშა და, ალბათ, მის მიმართ ინტერესი არსებობს.

- ისე, მართალს ამბობთ, პასპორტი რა პრობლემაა... ხოჯავა ეფექტურია, საინტერესო, მაგრამ, ჩემი აზრით, ბოლომდე ჩამოყალიბებული მოთამაშე არ არის. მას პრემიერლიგაში მეტი მონდომება სჭირდება, რადგან აქ იმას არ აპატიებენ, რაც პირველ ლიგაში გასდიოდა. თუ სტაბილურობას შეიძენს, უფრო სასარგებლო გახდება. თუმცა, ესეც არის – ასეთი ფეხბურთელი ჩარჩოში რომ ჩასვა, შესაძლოა, ის ეფექტურობა დაკარგოს, რის გამოც გულშემატკივარი პატივს სცემს.

გამოცდილი ფეხბურთელია ლაშა სალუქვაძე, რომელიც "ვოლგას" კარგად შეეწყო. ალექსანდრე ამისულაშვილი კი "კრასნოდარის" ლიდერია და ტრავმის გამო შეხვედრები რომ გამოტოვა, მაშინ გამოჩნდა, გუნდისთვის რამხელა ძალაა.

დამაჯერებლად გამოიყურება "ანჟინში" ნუკრი რევიშვილი - უდავოდ პერსპექტიული მეკარეა. "ვოლგაშია" რუსული პასპორტის მქონე გია გრიგალავა. მას რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია, მესამე თუ მეოთხე სეზონია, პრემიერლიგაში გამოდის და ისიც პერსპექტიული ბიჭია. თუმცა, არა მგონია, დიკ ადვოკაატმა უახლოეს პერიოდში რუსეთის ნაკრებში მიინვიოს, ჰოლანდიელს ხომ ცვლილებები არ უყვარს.

"ზენიტის" მცველ იგორ ჩემინავაზე კი ვერაფერს გეტყვით, რადგან პირველი ტურის მერე აღარ უთამაშია.

მინდა გითხრათ, რომ დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს ბერლინის "ჰერტაში" ჩემი მეგობრის, ლევან კობიაშვილის გამოსვლას და ვულოცავ მას ბუნდესლიგაში დაბრუნებას.

- საქართველოს ნაკრების თამაშები თუ გინახავთ?

- რუსეთში გაუკვირდათ და გაუხარდათ ხორვატიასთან საქართველოს მოგება. თუმცა ჯერ არ ვიცით, გასული წლის წარმატებულ გამოსვლებს წლეულსაც თუ გააგრძელებთ. თქვენი ნაკრები ციკლში ერთ სენსაციურ შეხვედრას ყოველთვის იგებს, ყველა მის პერსპექტივაზე ალაპარაკდება, მაგრამ მერე ვერაფერს აღნევს. ჩემი აზრით, ყველაზე ძლიერი ნაკრები 90-იანი წლების შუაში გყავდათ. ისე, ძალიან მიკვირს, დიდი ტურნირის ფინალურ ეტაპზე ლატვია რომ გავიდა და არა საქართველო. თუმცა ახლანდელი საქართველოს გასვლა ძნელი დასაჯერებელია, მიუხედავად ნაკრების საკმაოდ კარგი თამაშისა და თვალსაჩინო პროგრესისა.

- რატომ, პოტენციალს ვერ ხედავთ?

- საბჭოური საფეხბურთო სკოლის ინერცია უკვე დაიკარგა, იმ სკოლის თითქმის ყველა წარმომადგენელმა კარიერა უკვე დაასრულა კობიაშვილის, კალაძისა და იაშვილის გარდა, სხვებს კი ჯერ გახსნა უჭირთ.

- საქართველოს ჩემპიონატზე რა იცით?

- ის, რომ „ზესტაფონი" ჩემპიონია, ჩემპიონატის საერთო დონე კი არც ისე მაღალია.

მერაბ მამულაშვილი

● ლეგიონერი

ლევან კორღალიძე (№10)

ლევან კორღალიძე:

დაჩიადან წასვლაზე დავფიქრდებოდი

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა ვებგვერდზე საინტერესო გამოკითხვა დაიწყო: ყოველი ორშაბათიდან გულშემატკივარი გასული კვირის საუკეთესო ქართველ ლეგიონერს გამოავლენს.

წინა კვირის 689 ხმა ასე განაწილდა:

1. ლევან კორღალიძე ("დაჩია", მოლდოვა), 285 ხმა (41 %)

2. აკაკი ხუბუტია ("გაზ–მეთანი" რუმინეთი), 252 ხმა (37 %)

3. ლევან კუტალია ("ზრინსკი" ბოსნია-ჰერცოგოვინა), 152 ხმა (22 %)

ლევან კორღალიძის აღიარება გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან გასულ უქმეებზე კიშინიოვის "დაჩია" მოლდოვის ჩემპიონი გახდა და ტირასპოლის "შერიფის" ათწლიანი ჰეგემონია დაამხო, რაშიც უდიდესი წვლილი ქართველმა პლეიმეიკერმა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა შეიტანა.

კორღალიძემ კლუბის ვებგვერდზე გულშემატკივართა შეკითხვებსაც უპასუხა.

- დიდი სიხარული განვიცადე, რადგან წარმატებას სერიოზული შრომით მივაღწიეთ. როგორ? კარგი, ძლიერი და ერთსულოვანი შემადგენლობით. ჩვენ მხოლოდ ერთი მიზნით ვცხოვრობდით – გავმხდარიყავით ჩემპიონები.

ჩემპიონი ლატვიაშიც გავხდი. მოლდოვის ოქროს მედალი კი კარიერაში წინ გადადგმული ნაბიჯი და დიდი სიამოვნებაა, რადგან საკუთარი ძალების რწმენა გიჩნდება – რა თქმა უნდა, პრემიასაც არ ვივინყებ.

- უკეთესი პირობები რომ შემოგთავაზონ, სხვა კლუბში გადახვალ?

- "დაჩია" ჩემთვის ბევრს ნიშნავს, მაგრამ ფეხბურთელის კარიერა ხანმოკლეა, მე კი 40 წლამდე ვერ ვითამაშებ, მყავს ოჯახი, რომელიც უნდა ვარჩინო. ამიტომ უკეთესი შემოთავაზების შემთხვევაში დავფიქრდებოდი, მაგრამ, ალბათ, მაინც "დაჩიაში" დავრჩებოდი.

- მადლობა, ლევან, ჩვენს გუნდში რომ ხარ. გვახარებ არა მხოლოდ სპორტული თვისებებით, არამედ გულახდილობითა და კეთილგანწყობით. რა საერთოა მოლდოველ და ქართველ ხალხებს შორის?

- ბევრია საერთოც და განსხვავებაც. ქართველები ფიცხი ხალხი ვართ, მოლდოველები - უფრო მშვიდები, ჩვენ ერთნაირი რწმენა გვაქვს, ალბათ, ამიტომ ერთმანეთს უფრო ვგავართ.

- წლეულს და კარიერაში ყველაზე მეტად რომელი შეხვედრა დაგამახსოვრდათ?

- 2001 წელს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე "სკონტოში" "ვისლას" წინააღმდეგ ვითამაშე და გავიტანე. ეს გოლი ლატვიელებმა წლის გოლად აღიარეს. აქ კი "შერიფთან" შეხვედრას გავიხსენებ, რომელშიც ანგარიში ბოლო წუთზე გავათანაბრე. ვფიქრობ, ჩემპიონობა იმ შეხვედრის შედეგმაც განაპირობა.

- რომელია შენი საყვარელი სიმღერა? გია სურამელაშვილის "ბედი ისეთი რამ არის"?

- იყო დრო, ამ სიმღერას ვუსმენდი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ სხვებზე მეტად მიყვარს.

- ტიტულებიდან რომელია ყველაზე ძვირფასი?

- ლატვიაში მივიღე "ყველაზე კაცური ფეხბურთელის" პრიზი. საქმე ისაა, რომ მძიმე ტრავმის გამო 6 თვე თამაში ამიკრძალეს, მაგრამ მოედანს ნაადრევად დავუბრუნდი. ბევრს ეგონა, ფეხებს გავუფრთხილდებოდი, მაგრამ ეს არ გამიკეთებია, რადგან თამაში ძალიან მინდოდა. რა თქმა უნდა, მოლდოვაში მიღებული პრიზი "თვის ფეხბურთელიც" ჩემთვის ძვირფასი ჯილდოა.

- ნინ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპია. შენი აზრით, "დაჩია" საამისოდ მზად არის?

- გაძლიერება აუცილებლად დაგვჭირდება..

- გინდათ, რომ თქვენი შვილიც ფეხბურთელი გახდეს?

- მამაჩემი ფეხბურთელი იყო და უცნაური იქნება, ჩემი შვილი ჩვენს კვალს რომ არ გაჰყვეს. გამიხარდება, ოჯახურ ტრადიციას თუ გააგრძელებს და დავეხმარები კიდეც, მაგრამ არასოდეს დავაძალებ.

- გუნდში ამდენი ქართველი რომ არ იყოს, თავს ასევე კომფორტულად იგრძნობდი?

- ჩვენ ერთმანეთისთვის კარგი დასაყრდენები ვართ. თუმცა, რომ არ ყოფილიყვნენ, არა მგონია, პრობლემები შემქმნოდა, რადგან ადამიანებთან საერთო ენას იოლად ვპოულობ. ამას გარდა, გუნდში მეგობარი, ალექსანდრე ონიკა დამხვდა.

მერაბ მამულაშვილი

● პირველი ლიგა. XXXII ტური

გაგრა უმაღლესს დაუბრუნდა

გაგრა ისევ უმაღლეს ლიგაშია

მეშახტე-გურია	2:0
იმერეთი-გაგრა	0:3
კოლხეთი (ხ)-გათუმი	1:2
სამგურალი-ჭიათურა	3:1
ადელი-ნ. დინამო	4:1
ლოკომოტივი-ჩიხურა	0:1
ჩხერიმელა-სძური	0:0
მერცხალი-დილა	0:3

მარტვილი ისვენებდა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. გაგრა	30	22	5	3	70-17	71
2. მარტვილი	30	20	7	3	56-15	67
3. დილა	30	18	9	3	55-21	63
4. ჩიხურა	30	19	5	6	55-24	62
5. გათუმი	30	17	8	5	64-17	59
6. გურია	31	14	4	13	50-57	46
7.კოლხეთი (ხ)	30	11	10	9	27-33	43
8. მეშახტე	30	10	5	15	32-43	35
9. ჩხერიმელა	30	7	13	10	34-42	34
10. იმერეთი	30	10	4	16	32-41	34
11ნ/ დინამო	30	9	5	16	37-57	32
12. მერცხალი	31	8	7	16	40-67	31
13. ადელი	30	9	2	19	36-52	29
14. სამგურალი	30	8	5	17	37-61	29
15. ლოკომოტივი	30	7	7	16	30-44	28
16. სძური	30	7	5	18	27-50	26
17. ჭათურა	30	7	5	18	26-67	26

მომდევნო ტური. 20 მაისი

დილა-ჩხერიმელა	გათუმი-გაგრა
სძური-ლოკომოტივი	ნ. დინამო-სამგურალი
ჩიხურა-ადელი	ჭიათურა-კოლხეთი (ხ)
გურია-მარტვილი	იმერეთი-მეშახტე

26 მაისს გავიგებთ, დაასრულებს თუ ვერა სათასო ტრიუმფით "გაგრა" შთამბეჭდავად ჩატარებულ სეზონს, გუშინ კი **ანატოლი პისკოვეცის** გუნდმა სეზონის მთავარი ამოცანა შეასრულა – ხოლში "იმერეთს" 3:0 სძლია და პირველი ლიგის დასრულებამდე ორი ტურით ადრე უმაღლეს ლიგაში დაბრუნება გაინაღდა. გაგრელთაგან გოლები **შარიქაძემ, ორდინსკიმ** და **გაბედავამ** გაიტანეს.

ამ ტურში ისვენებდა მარტვილის "მერანი", რომელსაც უმაღლესში ასასვლელად დარჩენილ ორ ტურში ერთი გამარჯვებაც ჰყოფნის. მესამე, საპლეიოფო ადგილზე გასვლის შანსს გორის "დილა" (63 ქულა) და საჩხერის "ჩიხურა" (62 ქულა) ინარჩუნებენ.

ლევან ჯანეზაშვილი

● მეტოქე

ხორვატიას სტრინიჩიც გამოაკლდა

ხორვატიის ნაკრებს საქართველოსთან 3 ივნისის ევროშესარჩევი შეხვედრისთვის კიდევ ერთი ფეხბურთელი დააკლდა – დაშავდა დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" მარცხენა მცველი **ივან სტრინიჩი**, რომელიც ნაკრების ძირითადი შემადგენლობის წევრია და საქართველო-ხორვატიის თბილისურ მატჩშიც შეუცვლელად ითამაშა.

შეგახსენებთ, ხორვატთა თავკაც **სლავენ ბილიჩს** საქართველოსთან დაპირისპირებაში დისკვალიფიცირებული **ნიკო კრანჩარი** და ტრავმირებულები, **ივან რაკიტიჩი** და **ივიცა ოლიჩი** არ ეყოლება.

ლევან ჯანეზაშვილი

„დინამო" თბილისი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი გუნდის ლეგენდის

ბორის სიჭინავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ტრიუმფატორები და უიღბლოები

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: მორიგი წარმატებული მატჩი და „ზესტაფონი“ საქართველოს ჩემპიონი გახდა! თანაც, ყველამ უნდა ვაღიაროთ, რომ „ზესტაფონის“ ტრიუმფი სრულიად დამსახურებული და კანონზომიერი იყო: გია გეგუჩაძის გუნდი ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა და მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ამ სტატუსს ამართლებდა კიდეც; რა თქმა უნდა, სეზონის დამთავრების შემდეგ ბევრად უფრო ვრცლად ვისაუბრებთ „ზესტაფონის“ მიღწევაზე, მანამდე კი კლუბის ხელმძღვანელებს, სამწვრთნელო შტაბს, ტექნიკურ პერსონალს, თითოეულ ფეხბურთელსა და, რაც მთავარია, გუნდის ერთგულ ქომაგებს კიდევ ერთხელ გვინდა ეს წარმატება მივულოცოთ! ასე და ამრიგად, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოს“, თბილისის „ვიტ ჯორჯიას“, ბოლნისის „სიონისა“ და რუსთავის „ოლიმპის“ შემდეგ „ზესტაფონი“ მეექვსე გუნდი გახდა, სეზონი პირველ ადგილზე რომ დაასრულა. ...„ზესტაფონმა“ საჩემპიონო ტიტული იმერულ „დერბიში“ გაიფორმა და არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ საქართველოს ახალი ჩემპიონი სწორედ ამ ტურში გამოვლინდებოდა; სამწუხაროდ, ასევე ყველა ვიყავით დარწმუნებული იმაშიც, რომ სწორედ ამ ტურსა და სწორედ ამ მატჩში გაირკვეოდა ერთ-ერთი იმ გუნდის ვინაობაც, უმაღლეს ლიგას რომ დაემშვიდობებოდა. ასეც მოხდა: მომავალ სეზონს „სამტრედია“ პირველ ლიგაში დაიწყებს და იმედი დავიტოვოთ, რომ ეს დიდი ტრადიციების მქონე გუნდი უმოკლეს დროში შეძლებს უძლიერესთა შორის დაბრუნებას. აი, მეორე უიღბლო გუნდის ვინაობას კი, ალბათ, ბოლო ტური გაარკვევს (შესაძლოა, მანამდეც), — ყოველ შემთხვევაში, „სპარტაკს“ გადარჩენის თეორიული შანსი კვლავაც დარჩა. სამაგიეროდ, ყველაზე დიდი ინტრიგა VIII ადგილს უკავშირდება: ფაქტობრივად, ისეთი სიტუაციაა, რომ დარჩენილ ორ ტურში განსაკუთრებულზე განსაკუთრებულ ინტერესს „კოლხეთისა“ და „სიონის“ მონაწილეობით ჩატარებული მატჩები იწვევს (ანუ, ამ ორიდან ერთ-ერთ გუნდს მოუწევს პლეი ოფის მატჩის ჩატარება პირველი ლიგის მესამეადგილოსანთან); დანარჩენი კი ყველაფერი გარკვეულია და, ფაქტობრივად, თითქმის ყველა დანარჩენ შეხვედრას უმოტივაციო ხასიათი ექნება (ერთადერთი, მხოლოდ „ბაიას“ სჭირდება კინკილა ქულა, პლეი ოფი თავიდან რომ აიცილოს)...

საჩემპიონო შედეგი

ქვეყნის ახალმა ჩემპიონმა 34 მატჩი ჩაატარა და ამ გუნდის ფეხბურთელებმა მეტოქეთა კარში 68 გოლი გაიტანეს; ანუ, „ზესტაფონს“ ყოველ მატჩში საშუალოდ 2 გოლი გაჰქონდა, რაც, დაგვეთანხმებით, რომ მშვენიერი შედეგია. აღარაფერს ვამბობთ ამ გუნდის ერთ-ერთ გამორჩეულ რგოლზე — ამ 68 გოლიდან 42 თავდამსხმელებმა გაიტანეს! ახლაც, საჩემპიონო მატჩში სამივე ფორვარდმა თავი გამოიჩინა და საკუთარ „მონაგარს“ თითო-თითო გოლიც მიუმატა: 26 წლის **ნიკოლოზ გელაშვილმა** სეზონში მე-17 ბურთი გაიტანა, 26 წლის **ჯაბა დვალმა** — მე-12, ხოლო **რატი წინამძღვრიშვილმა** — მე-13; აღსანიშნავია, რომ წინამძღვრიშვილმა ამ შემთხვევაშიც შეცვლაზე შემოსულმა იხეირა, — მსგავსი შემთხვევა ჩვენთან კი არა, საერთოდ სადმე მომხდარიყოს, ვერაფრით გაგვიხსენებია.

ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე საუკეთესო ბომბარდირთა დავაში ნიკოლოზ გელაშვილი ლიდერობს და იმედია, სხვა კონკურენტები არ გვიწყენენ, თუ ვიტყვით, რომ სეზონის ნომერ პირველი გოლიადორის წოდებას სწორედ ეს თავდამსხმელი იმსახურებს.

დაბოლოს, „ზესტაფონის“ კიდევ ერთ მიღწევაზეც: გია გეგუჩაძის გუნდი ექვსი თვეა დაუმარცხებლად ასპარეზობს ჩემპიონატში და ეს ოცმატჩიანი წაუგებელი სერიაც ნამდვილად არ არის პატარა ამბავი...

სენსაცია თუ ჯანონზომიერება?

ერთი შეხედვით, მართლაც ძნელია ზუსტი შეფასება მოვუძებნოთ „კოლხეთის“ სტუმრად გამარჯვებას — ბოლოს და ბოლოს, ფოთელებმა გასვლით შეხვედრაში ხომ ქვეყნის ექსჩემპიონს მოუგეს! ისე, ამ სეზონში „კოლხეთმა“ მართლაც რომ გაამწარა „ოლიმპი“: პირველ წრეში დიდი ანგარიშით (5:1) მოუგო, მესამე წრეში შინ ფრედ ეთამაშა (0:0) და მხოლოდ ერთხელ, მეორე წრეში დამარცხდა (0:2). ანუ, „კოლხეთმა“ ოთხ შეხვედრაში 7 ქულა აართვა წინა სეზონის ტრუმფატორს და ყოველივე ეს პატარა ამბავი არ უნდა იყოს. ისე, როგორც „ოლიმპის“ ქრონიკული ნაგებებია უწვეულო და უცნაური: გასაგებია, რომ გუნდს დისკვალიფიკაციის გამო წამყვან ფეხბურთელთა ჯგუფი ვერ ეხმარება, მაგრამ სეზონში ათი წაგება მაინც მეტისმეტად მიგვაჩნია. ცნობისათვის: წინა ოთხი ჩემპიონატის განმავლობაში რუსთავული კლუბი 15-ჯერ დამარცხდა, ახლა კი, ერთი სეზონის განმავლობაში — ათჯერ...

...**სოსო ფილია** უმაღლეს ლიგაში მომუშავე მწვრთნელებს შორის ყველაზე გამოცდილია და უმაღლეს ლიგაში გარკვეული წლების შემდეგ დაბრუნებულმა სპეციალისტმა მშობლიურ გუნდს გადარჩენის შანსი დაუტოვა. სხვათა შორის, - სამწვრთნელო საქმეს დაბრუნებულმა ფილიამ პირველი მატჩი სწორედ „ოლიმპთან“ ჩაატარა (16 მარტს) და მაშინ ქულა მოაპოვებინა „კოლხეთს“; ახლა კი როგორც ხედავთ, უფრო მეტსაც მიაღწია და ფოთელებმა საჭიროზე საჭირო გამარჯვებით უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისკენ დიდი ნაბიჯიც გადადგეს. ისე, ცოტა არ იყოს, ძნელი სათქმელია, როგორ დასრულდებოდა ეს მატჩი, ფოთელებს ოპტიმალური შემადგენლობით რომ ეასპარეზა, ან კიდევ მასპინძლებს ჰქონოდათ ჩემპიონატში „მცირეოდენი“ მოტივაცია მაინც დარჩენილი...

სოსო ფილია

დასამახსოვრებელი ფაქტები

ზედიზედ მეორე ტურია, თავისი გუნდისათვის მნიშვნელოვანი გოლები გააქვს **დიმიტრი ტატანაშვილს** — „დინამოს“ 27 წლის ახალწვეულმა, ისე როგორც წინა მატჩში („სამტრედიასთან“), ახლაც შეცვლაზე შემოსულმა გამოიჩინა თავი. თუმცა, რატომ გვიკვირს — სამი წლის წინ, როცა ტატანაშვილი „ამერში“ თამაშობდა და ამ გუნდის საუკეთესო ბომბარდირიც გახლდათ, 13 გოლიდან... 9 შეცვლაზე შემოსულმა გაიტანა!

ახალწვეულები ვახსენეთ და **ლევან მდივნიშვილზეც** უნდა ვთქვათ, — 28 წლის შემტევი „კოლხეთში“ მეორე ეტაპის დასაწყისიდან გამოჩნდა და ოთხი გოლით ფოთელთა გუნდის საუკეთესო ბომბადირიცაა; გამოცდილება არც **ლაშა ჯაკობიას** დაეწუნება: „სპარტაკის“ 30 წლის ახალწვეულმა თავისი ახალი გუნდის შემადგენლობაში, უდავოდ, საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. ჯაკობიასა და მისი ახალგაზრდა პარტნიორების, 20 წლის **თეიმურაზ შონიასა** და 19 წლის **ბესიკ დეკანოიძის** მონდომებით, „სპარტაკმა“ უსიამოვნო სერია შეწყვიტა: გუნდს 3 მარტის მერე არ ჰქონდა მოგებული...

დაბოლოს, რამდენიმე ახალგაზრდაზეც: უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გოლი გაიტანა 19 წლის **აკაკი დვალიშვილმა** („სამტრედია“); ამას გარდა, არცთუ „ჩვეულებრივ“ ამბად მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ 16 წლის ბიჭებიც ნელ-ნელა უშინაურდებიან უმაღლეს ლიგას: **გურამ სამუშია, ავთანდილ ენდელაძე** („ორივე-„ბაია“) და **გიორგი აბურჯანია** („ოლიმპი“).

გვერდი მოამზადა
გია ტუხაშვილმა

XXXIV ტურის სიმბოლური ნაკრები

ბომბარდირები	გოლი (პენალტით)
გელაშვილი (ზესტაფონი)	17
მოლებაძე (ოლიმპი)	14 (1)
წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი)	13 (1)
მეგრელაძე (ტორპედო)	13 (2)
დვალი (ზესტაფონი)	12

● ექსკლუზივი

წერილი მეთოთხმეტე

მოგონებები ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე

დასაწყისი 15 თებერვლის ნომერში



1990 წლის 15 თებერვალს საკმაოდ თბილოდა. მზიანი დილა გათენდა. თბილისის ჭადრაკის სასახლესთან დილიდანვე ხალხი ფუსფუსებდა. მე, ლევან ტატიშვილი, მამუკა კვარაცხელია და რამდენიმე ჩვენი მომხრე ახალგაზრდა თბილისის ოპერის თეატრში გავეშურეთ ეროვნული დროშის მოსატანად. დროშა ძალიან დიდი იყო და ქუჩაში რომ მოგვქონდა, ხალხი ინტერესით გვათვალიერებდა, მით უმეტეს, რომ ის ტანმორჩილ მამუკა კვარაცხელიას მოჰქონდა.

მართალია, ეროვნული სიო უბერავდა, 1988 წლიდან აზვირთებული ეროვნული მოძრაობაც დიდ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ ხალხი მაინც მიჩვეული იყო საბჭოთა პერიოდის არჩევნებს, ფორმალობებს, ყველაფერი წინასწარ გადაწყვეტილი რომ იყო და საფეხბურთო ყრილობაზეც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული დელეგატებიც (ყოველ შემთხვევაში, მათი უმრავლესობა) ფიქრობდნენ, რომ ყველაფერი უკვე გარკვეულია, დაფუძნდება ფსევდოდამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაცია. სიტყვა „ფსევდო“ იმიტომ ვიხმარე, რომ, როგორ შეიძლება, დამოუკიდებელი იყოს ფედერაცია, როცა მისი წამყვანი გუნდები სხვა ქვეყნის პირველობაზე თამაშობენ. არადა, სწორედ ასეთი ფედერაციის დაფუძნება ჰქონდა განზრახული საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას.

უმრავლესობის აზრით, უკვე გარკვეული იყო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ვინაობაც, დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს იქნებოდა ბატონი კახი ასათიანი. ერთი შეხედვით, ასეთი იყო წინასაყრილობა. განწყობა, თუმცა ჩვენს ქვეყანაში იმხანად განვითარებული მოვლენები და, უპირველესად 1989 წლის 9 აპრილი მაინც ტოვებდა იმის შანსს, რომ ყველაფერი ასე უმტკივნეულოდ არ გამოუვიდოდა გუმბარიძის ხელისუფლებას.

ასეთი განწყობა იყო საზოგადოდ ხალხში, რაც შეეხება უშუალოდ ყრილობის მონაწილე აქტიურად მოქმედ ძალებს, ჩვენც და ჩვენი ოპონენტებიც კარგად ვხვდებოდით, რომ ყრილობის მოგება იდეის გამარჯვებისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობისა იქნებოდა. ჩვენი ოპონენტები იმედოვნებდნენ, რომ საფეხბურთო სამყარო მათ დაუჭერდა მხარს და ყრილობაზე გაიმარჯვებდნენ, რითაც ხალისს დაუკარგავდნენ ეროვნულ მოძრაობას, რომ უკვე წაგებულ თამაშში ჩვენს მხარეზე ჩართულიყო. მათი აზრით, ხალხი იფიქრებდა, რომ რადგან ფეხბურთის სპეციალისტებმა ასე გადაწყვიტეს, ალბათ ასეა საჭიროო. ჩვენ კი ვხვდებოდით, რომ თუ ყრილობაზე გავიმარჯვებდით, მთლიანად ერიც და ეროვნული მოძრაობაც აქტიურად დაგვიდგებოდა გვერდში და ჩვენი ფეხბურთი დამოუკიდებლობას მოიპოვებდა. ყრილობაზე დაპირისპირებულ მხარეებს შორის სამოქმედო ტაქტიკაში დიდი განსხვავება იყო. ჩვენი ოპონენტები თამამად იქცეოდნენ, თავდაჯერებულნი იყვნენ, გარკვეულ არხეინობასაც კი იჩენდნენ და, საერთოდაც, ისე მიჰყავდათ საყრილობო სამზადისი, თითქოს მათი გამარჯვება უეჭველი იყო და ჩვენ მხოლოდ იმისთვის ვიყავით არენაზე, რომ მათ მიერ მოწყობილ თამაშში მებრძოლი, მაგრამ დამარცხებული მეტოქის როლი გვეთამაშა. ჩვენ კი, პირიქით, ძალიან ფრთხილად ვიქცეოდით, საორგანიზაციო კომიტეტის სხდომებზე იშვიათად შევდიოდით პოლემიკაში ოპონენტებთან, ჩვენთვის კულისებში კამათი უთუოდ წამგებიანი იქნებოდა, მოწინააღმდეგეები თან გაფრთხილდებოდნენ და თან საჭირო ზომებსაც მიიღებდნენ. გადაწყვეტილი გვქონდა, რომ სცენაზე, უშუალოდ ყრილობაზე უნდა გათამაშებულიყო ყველაფერი და ოპონენტები, ფაქტის წინაშე უნდა დამდგარიყვნენ, რათა შედეგი გარდაუვალი გამხდარიყო.

მე დღესაც დარწმუნებული ვარ, ჩვენს ოპონენტებს, რომ თუნდაც ეჭვის დონეზე ეფიქრათ, რაც მაშინ 1990 წლის 15 თებერვალს თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოხდა, ხელისუფლება წინასწარ ისეთ ზომებს მიიღებდა, რომ ჩვენი იდეის განხორციელება შეუძლებელი გახდებოდა. საფეხბურთო სიბრტყეში რომ გადმოვიტანოთ, ეს იმ მატჩს მაგონებს, რომელშიც ფავორიტი ზედმეტად დარწმუნებულია გამარჯვებაში და მხოლოდ წაგებული მატჩის უკანასკნელ წუთზეღა აცნობიერებს მწარე რეალობას, თუმცა უკვე გვიანია. მე ვახსენე, საორგანიზაციო კომიტეტის სხდომებზე ხშირად თავს ვარიდებდით პოლემიკას-მეთქი, ჩვენ არ დავინყეთ კამათი სხდომაზე და უშუალოდ ყრილობისთვის შემოვინახეთ ჩვენი არგუმენტები ისეთ საკითხზეც კი, როგორიც იყო ყრილობის დღის წესრიგი. ხმაც არ ამოგვიღია დღის წესრიგის აბსოლუტურად ალოგიკური თანმიმდევრობის თაობაზე (მკითხველი დღის წესრიგს წინა პუბლიკაციაში გაეცნო. რედ.).

კიდევ ერთი არგუმენტი იმისთვის, რომ მხოლოდ უშუალოდ ყრილობაზე უნდა გაცხადებულიყო ჩვენი გამარჯვება და ფაქტის წინაშე დამდგარიყო საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება, ისიც იყო, რომ გვეშინოდა, საერთოდ არ ჩაეშალათ ყრილობა. წლების შემდეგ, მხოლოდ 2007 წელს გავიგე ბატონ ომარ გოგიაშვილთან პირადი საუბრისას, რომ იგი ყრილობის მსვლელობისას ორჯერ გაიყვანეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა და წინადადება მისცეს, ჩაეშალა ყრილობა, რაზეც ბატონ ომარს უთქვამს: მე ამას ვერ გავაკეთებ და თუ თქვენ გინდათ ჩაშლა, თქვენვე ჩაშალეთო. მოვლენებს გავუსწრებ და გეტყვით, რომ იმავე წინადადებით, ამჯერად უკვე 30 მარტს - ეროვნული ჩემპიონატის გახსნის მატჩზე, როდესაც თბილისის „იბერია“ (დღევანდელი „დინამო“) ფოთის „კოლხეთს“ ეთამაშებოდა, მატჩის არბიტრს, ბატონ მევლუდ მიმინოშვილსაც მიმართეს, რაზეც ბატონი მევლუდისგან, ბუნებრივია, უარი მიიღეს. საზოგადოებისთვის, ალბათ, უცნობია ის ფაქტიც, რომ პირველი ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობისას, ფაქტობრივად, მთელი სეზონის განმავლობაში, საქართველოს სხვადასხვა სტადიონზე იგზავნებოდნენ სპეციალურად მომზადებული ჯგუფები, რომელთაც ევალებოდათ სტადიონზე უნესრიგობის და არეულობის მოწყობა. პირადად ვარ მომსწრე რამდენიმე ასეთი ინციდენტისა და ერთხელ თავადაც ვმონაწილეობდი მოხალისეთა რაზმის ლანჩხუთში ჩაყვანაში, რომელსაც „გურია“-„იბერიას“ სათასო განმეორებით მატჩზე უნდა დაეცვა წესრიგი.

ყრილობაზე არ გამოვრიცხავდით პროვოკაციებს და ჩაშლის მცდელობას. მე და ლევან ტატიშვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს, ბატონ გია ჭანტურიას შევხვდით მისსავე ბინაში, დოლიძის ქუჩაზე. ბატონმა გიამ დახმარება აღგვითქვა, გვითხრა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტებს დაავალებდა ყრილობის დღეს ჭადრაკის სასახლესთან პატრულირებას და წესრიგის დაცვას, თუმცა 15 თებერვალს ჩვენ ჭადრაკის სასახლესთან არავინ გვინახავს ამ პარტიიდან. უსაფრთხოებაზე და წესრიგზე რომ ზრუნვა იყო საჭირო, ამაში ყველა დარწმუნდა, ვინც იმ დღეს ჭადრაკის სასახლეში ყრილობაზე იმყოფებოდა. ყრილობის მსვლელობისას, როცა ცხარე კამათი მიმდინარეობდა ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება-არჩატარების საკითხზე და ჩვენი უპირატესობა აშკარად იკვეთებოდა, დარბაზში ჭადრაკის სასახლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი შემოვიდა, ტრიბუნასთან მივიდა და საგანგებო განცხადება გააკეთა: ვიღაც ახალგაზრდა ბიჭების ჯგუფი ჭადრაკის სასახლის შუშებს ამტვრევსო. ჩვენი მხრიდან ეს განცხადება მაშინვე პროვოკაციად და ყრილობის ჩაშლის მცდელობად შეფასდა და ჩვენმა წარმომადგენელმა ადმინისტრაციას მოუწოდა, აქ, დარბაზში კი არ ეკეთებინა განცხადებები; მილიციის განყოფილებაში დაერეკა და წესრიგის დამცველებს აღეკვეთათ დანაშაული...

ზურაბ პეტრიაშვილი

გაგრძელება სამშაბათს

რედაქციისაგან:

ზურაბ პეტრიაშვილის პუბლიკაციების გამოქვეყნება დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის პირველი წლების ისტორიაზე წიგნის გამოცემამდე იმ იმედით გადავწყვიტეთ, რომ თემა მეტად სათუთია და საჯაროობით გვსურდა, ფართო საზოგადოებრიობას განეხილა, გამოეხატა თავისი პოზიცია თუნდაც ცალკეული ფაქტებისადმი, რასაც ავტორი წიგნის გამოცემამდე გაეცნობოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გამოხმაურებები საკმაოდ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორთან გამოპასუხება არავის სურს. „თქვენ ხომ იცით, რომ ბევრი რამ ისე არ იყო, როგორც პუბლიკაციებშია“, - გამოთქვამენ საყვედურს. ჯერ ერთი, ავტორი თვითმხილველი და პროცესების უშუალო მონაწილეა და რატომ უნდა გამოვიდეთ მსჯულად, როგორ დავუმტკიცოთ, რომ ასეა და არა ისე? მეორეც - თუ ჩვენ ვიცით, გამოდის, რომ კრიტიკოსებმაც იციან ის, რაც ჩვენ ვიცით. კარგი, ჩვენ ვდუმვართ, მაშინ ხმა თავად ამოიღონ და თქვან, რაში ედავებიან ავტორს, ვიმეორებთ, ავტორს და არა რედაქციას. ან სათქმელი ვთქვათ, ან შევეშვათ უსაფუძვლო ბრალდებებს. საქმისთვის ასე აჯობებს...

● თასის გამარჯვებული

ეროვნული

საბოლოო სიტყვა ოჯახზეა

დღეს, როდესაც „მანჩესტერ სიტიმ“ ფეხბურთის ასოციაციის თასიც მოიგო და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშიც დაიბეგა, გუნდის მწვრთნელი, **რობერტო მანჩინი** კლუბის პატრონებთან შეხვედრას და სატრანსფერო საქმეებზე დალაპარაკებას აპირებს. კერძოდ, მანჩინის დიდძალი ფულის დახარჯვა აქვს გადაწყვეტილი, კლუბის პატრონები კი, სანაცვლოდ, მთელი რიგი ფეხბურთელების გაშვებას სთავაზობენ.

მოგეხსენებათ, ისტლენდელებმა 35-წლიანი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, მოიგეს ჯილდო. იტალიელი მწვრთნელი ამბობს, რომ ეს წარმატება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მას არ უნდა დაემსგავსოს „ტოტენჰემ ჰოთსპურს“, რომელიც შარშან ამ დროს პრემიერლიგის მეოთხე ადგილზე გავიდა, შემდეგ ჩემპიონთა ლიგაშიც ეფექტურად გამოვიდა, მაგრამ... ახლა კვლავ დიდი შეჯიბრების მიღმაა.

მანჩინომ თქვა: *„ვფიქრობ „ტოტენჰემის“ მაგალითი ყველაზე ზუსტი იქნება. ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა, მაგრამ პრემიერლიგაში მეხუთე ზე დარჩა. დღეს, „გრძელი სკამის“ გარეშე წარმატებით გამოსვლა შეუძლებელია. გუნდს უნდა შეეძლოს, ყოველ შეხვედრაში ექვსი-შვიდი ფეხბურთელი შეცვალოს. ვერ დაგპირდებით, რომ მომავალ სეზონში ჩემპიონები გავხდებით, მაგრამ თუ საკლუბო მუშაობას სწორად წარვმართავთ, ერთ-ორ წელიწადში ამ მიზანს რეალურად დავისახავთ.*

ჩვენი გუნდი კარგია, რადგან ახალგაზრდულია. ჩვენ ვიყიდეთ მარიო ბალოტელი, ედინ ჯეკო... მხოლოდ იაია ტურეა შედარებით ასაკოვანი. ის 28 წლის არის. მოკლედ, ძირითადად ახალგაზრდები გვყავს და მათ დიდი პერსპექტივა აქვთ. სწორედ ამიტომ მწამს ჩვენი პროექტის“.

და, როგორც ჩანს, ფეხბურთელებში განწყობაც საბრძოლოა. აი, რა თქვა ისტლენდელთა 24 წლის მეკარე **ჯო ჰარტმა** შაბათს, თასის მოგების დღეს:

„ოლდ ტრეფორდ ზე“ ჩემპიონობას ზეიმობენო? რაც უნდათ, ის უქნიათ. ამ გუნდის სახელის გამეორებაც კი მაღიზიანებს. დღეს თასი მოვიგეთ და მთავარი ზეიმი ჩვენია“.

ფინალში „სტოკთან“ 1:0 გამარჯვების შემდეგ „დეილი მეილმა“ „სიტის“ 27 წლის არგენტინელ ვარსკვლავ **კარლოს ტევესსაც** ჩამოართვა ინტერვიუ.

- ეს რა კვირა გამოდგა... კარლოს, რას გრძნობთ, ახლა?

- ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა ძალიან დიდი მიღწევაა. ჩვენ ამისათვის საგანგებოდ ვემზადებოდით. ახლა, ფეხბურთის ასოციაციის თასიც მოვიგეთ...

- ამ წარმატებამ ისევე გაგახარათ, როგორც კარიერის განმავლობაში ადრე მიღწეულმა წარმატებებმა?

- დიდებულია. ძალიან გვინდოდა ამ წარმატებისთვის მიგვეღწია. ჩვენ მას ვიმსახურებდით. ბევრი ვიმუშავეთ და მიზანს მივაღწიეთ.

- როგორ ფიქრობთ, ახლა მაინც გაჩერდებიან კრიტიკოსები? „სიტის“ ჩათვლიან ანგარიშგასაწევ ძალად?

- ჩვენ უკვე დიდი გუნდი ვართ. როდესაც ცუდად თამაშობ, ხალხი გაგაკრიტიკებს, ამას რად უნდა ლაპარაკი. მეორე მხრივ, ჩვენ არავის გასაჩუმებლად არ ვთამაშობთ. ჩვენ მოედანზე ტიტულების მოსაგებად გავდივართ.

- დარჩებით გუნდში?

- ეს გადაწყვეტილება ოჯახთან ერთად უნდა მივიღო. მთავარი ოჯახია. კლუბში არანაირი პრობლემა არ მაქვს. რობერტო მანჩინისთანაც შესანიშნავი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, მაგრამ საბოლოო სიტყვას ოჯახი იტყვის.

- რატომ ლაპარაკობენ ამდენს თქვენს მომავალზე, მაშინ, როდესაც „სიტიმ“ ბოლოს და ბოლოს დიდი ასპარეზისკენ გაიკაფა გზა?

- ოჯახის გარდა არანაირი სხვა მიზეზი არ არსებობს. ჩემი ბავშვები მანჩესტერიდან ძალიან შორს არიან.

- ამას წინათ მანჩინიმ თქვა, რომ დეკემბერში იტალიაში გადასვლა გინდოდათ. გადაიფიქრეთ?

- ყველამ იცის, რომ დეკემბერში კლუბის დირექტორებთან პრობლემები მქონდა. შემდეგ მათთან ბევრ რამეზე ვილაპარაკე და ახლა ოჯახური საკითხიღა დამრჩა მოსაგვარებელი.

- რა ინდა ქნას „მანჩესტერ სიტიმ“, თქვენ რომ შეგინარჩუნოთ?

- ყველაფერი კარგად არის, კლუბში ვარ და აქ მიგულეთ. ერთადერთი, როგორც გითხარით, ოჯახის ამბავია...

- ოჯახი ახლოს მხოლოდ არგენტინაში გეყოლებათ. სხვაგან, სადაც კი უნდა გადახვიდეთ, იტალია იქნება ეს თუ ესპანეთი, ის შორს იქნება...



- ისე მელაპარაკებით, გეგონება „სიტიდან“ უკვე წავედი. ხომ გითხარით, არ ვიცი მივდივარ თუ ვრჩები. არ ვიცი, ისევ აქ გავაგრძელებ კარიერას თუ იტალიაში ან ესპანეთში ამოვყოფ თავს.

- ამბობენ, რომ ფულის ამბავია. „სიტიმ“ ახალი პირობები რომ შემოგთავაზოთ...

- არა, არა, ფული არაფერ შუაშია.

- ნუთუ „სიტის“ კაპიტნის რანგში პრემიერლიგის ჩემპიონობის ანუ „იუნაიტედის“ უკან ჩამოტოვების შანსი არ გხიბლავთ?

- რასაკვირველია, ეს დიდი მოტივაციაა.

- საბოლოოდ მანჩინისთან როგორი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდათ?

- დიდებული. ბუნებით ორივე მებრძოლი ვართ და ბევრი ტიტულის მოგება გვინდა. ჩვენ მოედანს მიღმაც კარგად ვუგებთ ერთმანეთს. მართალია, ხანდახან ჩვენ შორისაც იჩენს თავს პრობლემა, მაგრამ ეს ხომ ყველგან ხდება.

ილია ბაგუნაშვილი

ლილი

ძაღლების ევოლუცია

„ჩვენი მთავარი კონკურენტი 2-3 წლის შემდეგ „მარსელი" და „პორდო" კი არა, „ლილი" იქნება, - განაცხადა „ლიონის" პრეზიდენტმა **ჟან-მიშელ ოლამ** ზუსტად 3 წლის წინ. მას გულმა უგრძნო. ჯერ კიდევ 2009/10 წლების სეზონში „ძაღლებმა" მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვეს და ლორიანში წაგების გამო მხოლოდ ბოლო ტურში დათმეს ჩემპიონთა ლიგის საგზური. ისინი ვიცე-ჩემპიონ „ლიონს" სულ რაღაც ორი ქულით ჩამორჩნენ და თანაც ლიგაში ბურთების საუკეთესო ბალანსით იწონებდნენ თავს. მაგრამ მაშინ ფრანგულ პრესაში მოდაში იყო წერა „ოსერისა" და „მონპელიეს" წარმატებებსა თუ „ლიონის" წარუმატებლობებზე. წელს კი სწორედ **რუდი გარსიას** ბიჭების ვარსკვლავურმა საათმა დაჰკრა.

1955 წლიდან „ლილმა" ტიტულის მოგებით განცდილი სიხარული არ იცოდა, რა იყო და უკვე დღეს მათ რეალური შანსი აქვთ, რომ „ოქროს დუბლი" შეასრულონ. „პარი სენ-ჟერმენთან" თასის ფინალში გამარჯვებამ „ძაღლები" სანუკვარ დღეს ძალზე მიაახლოვა. ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე (მას ერთი შეხვედრა თადარიგში აქვს, რომელსაც ხვალ გამართავს. რედ.) „ლილმა" 3-ქულიანი უპირატესობა არ უნდა გაფლანგოს. ერთი კია, რომ რუდი გარსიას გუნდს არცთუ ხელწამოსაკრავი მეტოქეები ელის – „სოშო" (მე-6 ადგილი), თასის ფინალში ძლეული ჰსუ (მე-4) და რენი (მე-5). თუმცა ყველაფრის გათვალისწინებით ჩრდილოელთა შანსები რომ საკმაოდ მაღალია, ალბათ დაგვეთანხმებით.

როცა „ლილზე" ვწერთ, პირველ რიგში წარმატებების სულის ჩამდგმელი **კლოდ პიუელი** უნდა ვახსენოთ. მოკრძალებული შესაძლებლობების მქონე კლუბმა მის ხელში ორჯერ ითამაშა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე. 2008-ში მწვრთნელისა და კლუბის გზები გაიყო - პიუელმა „ლიონი" ჩაიბარა. და ვინ წარმოიგენდა, რომ „ლე მანის" ყოფილი თავკაცი „ძაღლებს" პოზიციას არათუ შეუნარჩუნებდა, ბლიცკრიგისთვის მოამზადებდა და ოქროს მედლებს შეუტევდა. გარსიას იქამდეც სჩვეოდა მოკრძალებული ფინანსური რესურსების პირობებში ხელშესახები წარმატებების მიღწევა. მან ეს „ლილშიც" მოახერხა და ფანების გულიც უმალ დაიპყრო. მით უფრო, რომ პიუელის პრაგმატული ფეხბურთი გარსიამ აგრესიული და შემტევი სტილით ჩაანაცვლა. შედეგად ეს გუნდი ორჯერ ზედიზედ ევროპის ლიგის საგზურის მფლობელი გახდა. სწორედ ამის გამო იყო, რომ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელმა **ემე უაკემ** რუდი გარსიას საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მწვრთნელი უწოდა.

აღნიშნულ კლუბზე საუბრისას შეუძლებელია, „ლილის" პრეზიდენტის, ბიზნესმენისა და მხატვრული ფილმების პროდიუსერის **მიშელ სეიდუს** სახელი არ ვახსენოთ. ამ ადამიანმა კლუბის საკონტროლო აქციები 2004 წელს შეიძინა. მან სერიოზულად გარისკა, როცა „შვილობილის" მომავალი გამოუცდელ რუდი გარსიას ჩააბარა. პირველი სეზონის შემდეგ რუდის კარისკენ მიუთითეს, თუმცა სამი კვირის შემდეგ თავად სეიდუმ ბოდიში მოუხადა და გუნდში დააბრუნა. ამჟამად მათი ურთიერთობის დახასიათება ერთადერთი სიტყვით შეიძლება: იდეალური. *„თქვენ გაინტერესებთ, რატომ არ აფორმებს რუდი ახალ კონტრაქტს? უბრალოდ აქამდე ამის დრო არც ერთს არ გვქონდა. უახლოეს მომავალში დავსხდებით მოლაპარაკებათა მაგიდასთან და ახალ ხელშეკრულებას გავაფორმებთ,"* – თქვა სეიდუმ. მუსიე სეიდუ უნიკალური ადამიანია. რატომ? იმიტომ, რომ გუნდის მიმართ ძალიან მომთმენია და შედეგს კატეგორიული ტონით არ ითხოვს. ყველაფერი მის გეგმას მისდევს, რომლის ამოსავალი წერტილი იყო, „გავუწიოთ კონკურენცია „ლიონს" 2012 წელს". როგორც ხედავთ, გეგმა ვადაზე ადრე შესრულდა. კლუბის შენება სეიდუმ საწვრთნელი ბაზიდან დაიწყო - „დომენ დე ლიუშანზე" ყველაზე იდეალურ

მიშელ სეიდუ

კონდიციებში მოსასვლელად. ახალი 50-ათასიანი სტადიონი „გრან სტად ლილ მეტროპოლი" მომავალი წლიდან შევა უქსპლუატაციაში. კლუბის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ერთ-ერთ პრესრელიზში შავით თეთრზე ეწერა, რომ ახალი არენა კლუბს საშუალებას მისცემს ფინანსური დეფიციტი სრულად აღმოფხვრას. ხოლო სატრანსფერო საქმიანობის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ჩრდილოელები უკვე მოგებაზე გავლენ. სეიდუ არ აპირებს სხვა ბიზნესმენებივით უაზროდ რისკზე წასვლას და ფულის ქარს გატანებას. უზარმაზარი გადასახადის გათვალისწინებით, რომლის გადახდაც ფეხბურთელებს ფრანგული კანონების წყალობით უხდებათ, ლიგა 1-ში სუპერვარსკვლავების შენარჩუნება ძალიან ძნელია. ამიტომ ჩრდილოელთა პრეზიდენტმა აქცენტი კლუბის აკადემიის გამოშვებულ ფეხბურთელებსა და საფრანგეთში მოასპარეზე ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ პერსპექტიულ მოთამაშეებზე გააკეთა. ამასთან, სეიდუმ ფეხბურთელებს გასაგებად აუხსნა, რომ თუკი რომელიმე მათგანი კარიერის სხვა კლუბში გაგრძელებას მოინდომებს და მათში კლუბი სათანადო კომპენსაციას მიიღებს, მათ ძალიან არავინ დააკავებს და ისინი უპრობლემოდ გაიყიდებიან. აღნიშნული პოლიტიკის წყალობით, „ძაღლებმა" ბოლო 4 წელიწადში ფეხბურთელების გაყიდვით 45 მილიონი ევრო გამოიმუშავეს. მაგალითად 2007 წელს „ლილი" ერთბაშად სამმა ლიდერმა დატოვა. ესენი იყვნენ: **პიტერ ოდემვინგიე, კადერ კეიტა** და **მატიე ბოდმერი**. მათი სრულფასოვნად შეცვლის პრობლემა კი გუნდს არ ჰქონია, რადგან სკაუტთა სისტემა ფანტასტიკურად მუშაობს.

„ჩვენთვის მთავარი ფეხბურთელის გვარი არ არის. უმთავრესია, რომ ის ადეკვატურ ფასად იყიდებოდეს", - გულწრფელად აცხადებს კლუბის გენერალური დირექტორი **ფრედერიკ პაკე**. *–ვცდილობთ, რომ როგორც ყიდვის, ისე გასხვისების დროს კარგად ვიმუშაოთ. ჩვენთვის სარეკორდო თანხა 6 მილიონი ევრო ჟერვინიოში გადავიხადეთ".* „ძაღლებმა" 6 მილიონზე ცოტა ნაკლები გაიღეს **რიო მავუბაში**, ვინც წარუმატებელი ესპანური სეზონის შემდეგ ისე ათამაშდა, რომ საფრანგეთის ნაკრებში ხელახლა გამოძახებაც კი დაიმსახურა. 4 მილიონი დაჯდა ცენტრფორვარდი **ტულიო დე მელო**, **მიკაელ ლანდროს** სატრანსფერო ფასი კი სულაც სიმბოლური იყო. **მატიე დებიუში** და **იოან კაბაი** „ლილის" აკადემიის აღზრდილები არიან, **მუსა სოვი** კი თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა.

მოკლედ, კლუბის ხელმძღვანელობამ იმდენად დიდებულად იმუშავა, რომ ლიგა 1-ში ერთ-ერთ საუკეთესო შემადგენლობას მოუყარა თავი. გუნდი თანაბრადაა დაკომპლექტებული და რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რუდი გარსიას გუნდის მიკროკლიმატის ამრევი არც ერთი შეგირდი არ ჰყავს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა მიზეზმა კი შედეგად ის მოიტანა, რომ საფრანგეთში ბალი უკვე ვეღარ მიჰყავთ ჯიბესქელ „მარსელსა" და „ლიონს".

ლევან ბიბილაშვილი

ბრაგა

ჰოლივუდის სცენარი ბრაგასთვის

დომინგუშ პასიენსიას სჯერა, რომ 90 წუთში შეიძლება ყველაფერი მოხდეს

უეფას ოფიციალურმა ვებგვერდმა საინტერესო მასალა გამოაქვეყნა ჯერ კიდევ მიმდინარე სეზონის უმთავრესი სენსაციის ავტორ „ბრაგაზე". შეგახსენებთ, რომ პროვინციული პორტუგალიური კლუბი ევროპის ლიგის ფინალში გავიდა.

ფინალის გზაზე „ბრაგამ" რამდენიმე სენსაცია შემოგვთავაზა, დაამარცხა რა „ლივერპული", კიევის „დინამო" და „ბენფიკა". გუნდის თავკაცი **დომინგუშ პასიენსია** დარწმუნებულია, რომ კლუბს კიდევ ერთი სენსაციის ავტორობაც შეუძლია. „ბენფიკასთან" დაპირისპირების მეორე რაუნდში მატჩის მე-19 წუთზე **კუშტოდიუმ** ერთადერთი გოლი გაიტანა. საშინაო შეხვედრაში გაშვებული ბურთის წყალობით „ბენფიკა" მშრალზე დარჩა, „ბრაგამ" კი დუბლინში გამგზავრების პატივი დაიმსახურა. პორტუგალიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი პასიენსია ამბობს: *„ჩვენ ძალიან გვჭირდებოდა ეს გოლი, რადგან მისი წყალობით ძალზე დავიმუხტეთ და უფრო მეტად დავიჯერეთ საკუთარი ძალების. პირველი გოლი „ბენფიკას" რომ გაეტანა, მასაც ასე დაემართებოდა. ვფიქრობ, რომ ჩვენ ძალზე ჭკვიანურად ჩავატარეთ განმეორებითი შეხვედრა. მატჩის კრიტიკულ მომენტებში არ ვიბნეოდით. „ბენფიკას" ბევრი საგოლე სიტუაციის შექმნის უფლება არ მივეცით. ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ბიჭები ძალიან კონცენტრირებულნი იყვნენ და ვგრძნობდი, რომ არ გავუშვებდით. ნებისმიერი მატჩი თავისთავად მოტივაციაა, მაგრამ როცა დიდ გუნდებს ხვდები, მაინც განსაკუთრებული შეგრძნება გიჩნდება, მაგალითად, როცა „ლეხთან", „ლივერპულთან" და კიევის „დინამოსთან" მატჩი გელოდება. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ბიჭების შრომისმოყვარეობამ და ყოველდღიურმა უმძიმესმა შრომამ დიდი როლი ითამაშა იმაში, რასაც დღეს ჩვენ მივაღწიეთ".*

როგორც ეს ჰოლივუდის ფილმებში ხდება ხოლმე, ჩვენს გმირებს ყოველი მომდევნო დავალება უფრო რთული აქვთ, ვიდრე წინა. „პორტუსთან" დაპირისპირება კი ყველაზე მძიმე გამოცდა იქნება. „დრაკონებმა" 21-ქულიანი უპირატესობით მოიგეს ქვეყნის პირველობა, ხოლო ევროპის ლიგის 8 მატჩში 22 ჯერ დალაშქრეს მეტოქეთა კარები. პასიენსია „პორტუში" 1987-1997 ნლებში ასპარეზობდა და ის ნამდვილად ხვდება სიტუაციის მთელ სიმძიმეს. *„პორტუ" ყოველთვის ძალიან ძლიერი იყო. ამ გუნდს ნამდვილად შეუძლია ჩემპიონთა ლიგაში დიდი სენსაციის მოხდენა, რადგან ნამდვილად შეეფერება მის დონეს. იმის გათვალისწინებით, როგორ მიმდინარეობს სეზონი ამ გუნდისთვის, ჩვენთან ფინალში ის ნამდვილი ფავორიტია, მაგრამ ეს ხომ ფინალია და წინ სათამაშო მხოლოდ 90 წუთია. თუკი სათანადოდ განვეწყობით, შეიძლება შეხვედრა ძალიან საინტერესოდ განვითარდეს. ჩვენ გვჯერა, რომ შეგვიძლია მოგება,"* – აცხადებს „ბრაგას" მთავარი მწვრთნელი.

ლევან ბიბილაშვილი

ამბები

მარადონა ისევ მილიონები ღირს

გუშინ დილიდან სპორტული ვებგვერდები მოიარა ცნობამ **დიეგო მარადონას** არაბეთის გაერთიანებული საამიროების "ალ ვასლში" მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შესახებ. მოგვიანებით სააგენტოებმა კიდევ რამდენიმე დეტალი შეიტყვეს. ასე მაგალითად, goal.com-ის ცნობით, დონ დიეგო წელიწადში ხელფასის სახით არაბებისგან 3,5 მილიონ დოლარს მიიღებს. თუმცა იმას, თუ რამდენწლიან კონტრაქტს მოწერა ხელი, დაზუსტებით ვერავინ ამბობს. წყაროები ამ ინფორმაციას განსხვავებულად გვაწვდიან. თუმცა კი უმეტესად ლაპარაკი 2-ნლიან ხელშეკრულებაზეა.

აზარს სერია უხმობს

ალბათ მერამდენედ ვწერთ, რომ "ლილის" ახალგაზრდა ლიდერის, ბელგიელი **ედენ აზარის** შეძენა ევროპულ გრანდებს სურთ... ფეხბურთელით დაინტერესება ცოტა ხხნის წინ ოფიციალურად დაადასტურა მილანის "ინტერმა", რამაც, როგორც ჩანს, ფეხბურთელში პატივმოყვარეობის ჭია გააღვიძა. *"მინდა, სახელოვან კლუბში გადავიდე. ასეთები კი იტალიაში ძალიან ბევრია. განსაკუთრებულად არც ერთ კლუბზე არ ვფიქრობ. მთავარია, ამ ჩემპიონატში გამოსვლის შანსი მომეცეს,"* – განაცხადა აზარმა. „ლილის" თავკაცმა **რუდი გარსიამ** 20 ნლის ფეხბურთელს მოუწოდა, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდეს, სურს თუ არა ამჟამინდელ კლუბში კიდევ ერთი სეზონის გატარება. *"მას ორი შანსი აქვს, "ლილის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს ან რომელიმე გრანდში გადავიდეს და იქ უმეტესად სკამი გაათბოს ხოლმე. რომელი პერსპექტივა ნიბლავს, მან უნდა თქვას,"* – განაცხადა გარსიამ. *რაკი აზარის კომენტარი მოისმინა,* "ინტერის" ბოსმა **მასიმო მორატიმ** ცეცხლზე ნავთი დაასხა: *"გავიგეთ, რომ მას იტალიაში თამაში უნდა და ამიტომ გეტყვით, რომ აზარი ნამდვილად არის იმ მოთამაშეთა სიაში, ვის ასპარეზობასაც თვალს ვადევნებთ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ რამდენჯერაც მისით რომელიმე გრანდი დაინტერესდა, ფეხბურთელის ფასი უმალვე გაიზარდა".*

მილანი და რომა ეჯვმიტანილნი არიან

იტალიაში მოქმედებს სპეციალური კომისია, რომელსაც კლუბების ფინანსური პოლიტიკის კონტროლი ევალება. სწორედ აღნიშნულ კომისიას გაუჩნდა ეჭვი, რომ "მილანიდან" "რომაში" **მარკო ბორიელოს** გადასვლა წესების დარღვევით მოხდა. თუკი ბრალი დამტკიცდება, კლუბებს სოლიდური ჯარიმა დაეკისრებათ. "გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, კომისიამ დარღვევა ტრანსფერის რეგისტრაციის დროს დააფიქსირა. ოფიციალურად გაფორმდა, თითქოს, "როსონერიმ" თავდამსხმელი "რომაში" იჯარით გაუშვა, შემდგომ მისი 10 მილიონად გამოსყიდვის პერსპექტივით, მაგრამ კომისიის წევრებმა აღმოაჩინეს, რომ "ჯალოროსიმ" "მილანს" შარშან 3,75 მილიონი უკვე გადაუხადა, აღნიშნული თანხა კი აღარსად ფიგურირებდა. მით უფრო, რომ იჯარის ხელშეკრულებაზე მხარეებს რაიმე კომპენსაციის გადახდა გათვალისწინებული არ ჰქონიათ.

ლევან ბიბილაშვილი

კიოლნი

ფინკემ სოლბაკენს გზა დაულოცა

სტალე სოლბაკენი კიოლნს უთავკაცებს

გერმანიის ჩემპიონატი შაბათს დასრულდა, კვირას კი ცნობილი გახდა, რომ მომავალ სეზონში „კიოლნის" მთავარი მწვრთნელი **სტალე სოლბაკენი** იქნება. ეს ინფორმაცია „კიოლნის" ოფიციოზმა „შალკესთან" მოგებული (2:1) თამაშის შემდეგ დაადასტურა.

ნორვეგიელი სპეციალისტი „თხებს" პირველ ივლისს ჩაიბარებს და გუნდს, რომელსაც ბოლო ტურებში **ფოლკერ ფინკე** დროებით წვრთნიდა და მეორე ბუნდესლიგაში გავარდნისგან იხსნა, მინიმუმ ორი წლის მანძილზე უთავკაცებს. 43 წლის სოლბაკენს ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული და ნორვერგიის ნაკრების მწვრთნელი გახლდათ, რის გამოც „კიოლნი" იძულებული გახდა, მისი კონტრაქტი გამოესყიდა.

„დარწმუნებული ვარ, რომ „კიოლნი" სოლბაკენის ხელში ძალიან კარგად ითამაშებს. სტალე განსაკუთრებული, უნიჭიერესი სპეციალისტია. მიხარია, რომ მისი სახით ასეთი მაღალი დონის სპეციალისტი დავითანხმეთ," - ეს ფინკეს სიტყვებია.

სოლბაკენმა ჩემპიონთა ლიგის აშკარა აუტსაიდერი „კოპენჰაგენი" ყველასათვის მოულოდნელად, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გაიყვანა, „კიოლნამდე" კი, მისი გადაბირება „ჰამბურგსაც" უნდოდა. მოგვიანებით კი ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციასთან გააფორმა კონტრაქტი. სტალეს „კიოლნში" ამ კვირაში წარადგენენ.

გოტფრიდ ლენცი

● გერმანია. ბუნდესლიგა. სეზონის შეჯამება

ეროვნული ბიბლიოთეკა

THE SHOW MUST GO ON!

დორტმუნდის ბორუსია 2011, ეს ის შემთხვევაა, როცა უნდა ვთქვათ: შოუ უნდა გაგრძელდეს!

Flop 5
ვერდერის სატრანსფერო პოლიტიკა

იმედია, ბრემენის „ვერდერის" ხელმძღვანელებმა ახლა მაინც ისწავლეს ჭკუა. ყოველ შემთხვევაში იმას მაინც მიხვდებოდნენ, რომ ჩემპიონთა ლიგის მონაწილე გუნდმა სეზონის წინ უმთავრესი ფეხბურთელი არ უნდა გაყიდოს. ცხადია, **მესუთ იოზილის** ტრანსფერს ვგულისხმობთ, რომელიც ბრემენელებმა „რეალს" დაუთმეს. თუმცა, ზურგს საკმაოდ დიდი გამოცდილება უმაგრებდათ და ეგონათ, რომ ახლაც შეძლებდნენ დანაკლისის შევსებას, რადგან ადრე „ვერდერი" ამას უმტკივნეულოდ ახერხებდა ხოლმე: მაგალითად, შეელია **მიკუს**, იყიდა **დიეგო**, შეელია დიეგოს, იყიდა იოზილი, მაგრამ ნახეთ, შეელია ეზილს და იყიდა... ბუნდესლიგის ამ სეზონის ნომერ პირველი იმედგაცრუება **მარკო არნაუტოვიჩი**! თუკი აქამდე „ვერდერის" ისტორიაში მხოლოდ ერთი ასეთი „ფლოპი" იყო (**კარლოს ალბერტო**), ამ სეზონის შემდეგ ერთბაშად რამდენიმეა: არნაუტოვიჩი, **სილვესტრი, ავდიჩი, ვესლი**... თან ვერც **აარონ ჰანტი** და **მარკო მარინი** განვითარდნენ, ლიდერები **ნალდო** და **პისარო** უმეტესად ტრავმირებულები იყვნენ და ამ ყველაფრიდან გამომდინარე რა გასაკვირია, რომ ბრემენულმა კლუბმა მხოლოდ გადარჩენისთვის იბრძოლა.

Flop 4
ეჰ, მიშა, მიშა...

ცხადია, შეგვიძლია გაუთავებლად ვამტკიცოთ, **მიხაელ ბალაკს** ის უმძიმესი ტრავმა რომ არ მიეღო, „ფლოპებში" არ მოხვდებოდაო, მაგრამ სიმართლეს თვალებში ბალაკის თავგადაკლულმა ფანებმაც უნდა ჩახედონ. „ჩელსიდან" გამოგდებული მიხაელი „ლევერკუზენში" იმ იმედით დაბრუნდა, რომ გაცილებით მოკრძალებულ კლუბში ძველ დიდებას დაიბრუნებდა, მაგრამ მოიშუშა თუ არა მუნდიალის წინ მიღებული ტრავმა, ჰანოვერელმა **პინტუმ** ისეთი უთავაზა, პირველი წრე იქვე დაამთავრებინა. მიუხედავად ამისა, ბალაკმა მაინც შეძლო იმდენი თამაშის ჩატარება, რომ მასზე რეალურად მსჯელობა შევძლოთ. 17 მატჩში მისი მონაგარი ასეთია: არც ერთი გოლი, მხოლოდ ერთი საგოლე პასი, 3 გაფრთხილება და მოგებული ორთაბრძოლების მხოლოდ 44-პროცენტიანი მაჩვენებელი. შესაბამისად, არც ის უნდა გვიკვირდეს, რომ 34 წლის მიხაელმა უკვე ფაქტობრივად საბოლოოდ დაკარგა ადგილი გერმანიის ნაკრებში, სადაც ძალიან მაგარი ახალგაზრდა კონკურენტები ჰყავს (**შვაინშტაიგერი, ხედირა, სვენ ბენდერი, როლფესი**). ამბობენ, მიხაელს პირად ცხოვრებაშიც პრობლემები აქვსო და ისე, მის უიღბლობას იმდენად არ აქვს საზღვარი, რომ სხვა მის ადგილზე ნაღდად დაფიქრდებოდა ნომრის (13) შეცვლაზე - ცრუმორწმუნე შეიძლება არ იყო, მაგრამ იმდენი უიღბლობა, რაც ბალაკის კარიერას სდევს, ნაღდად არ გაგონილა...

Flop 3
დინოზავრი და ფეისბუქი

სეზონის ყველაზე სასაცილო მოვლენა უდავოდ ფელიქს მაგათის სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე" გაწევრიანება გახლდათ. ამ ქსელით მილიონობით ადამიანი სარგებლობს, უბრალოდ, ბუნდესლიგის ერთ-ერთი უკანასკნელი დინოზავრი მაგათი ნაღდად არ არის ინტერნეტ-ტიპი და ეს უბრალოდ იმიტომ გააკეთა, რომ „შალკეს" ფანებს დაახლოვებოდა. „ფეისბუქის" მოხმარებისას გადაღებულ ვიდეოს რომ უყუროთ, თქვენც ბევრს იცინებთ, რადგან ფელიქსს ამ დროს ისეთი ჰაბიტუსი აქვს, როგორიც ალექსანდრე მაკედონელს ექნებოდა, მისთვის ვინმეს აიპოდი რომ ეჩვენებინა...

თავი დავანებოთ „ფეისბუქს" და ფელიქსს სპორტული თვალსაზრისითაც

ბუნდესლიგის ბოლო ტურში დიდი ინტრიგა აღარ იყო, რის გამოც გადავწყვიტეთ, რომ ტურის გამოხმაურების ნაცვლად, მთლიანად სეზონის გამოხმაურება შემოგვთავაზებინა. ცხადია, ისევ Tops&Flops-ის სახით. თუ მთელ სეზონს გადავავლებთ თვალს, ქება-დიდებას ჩემპიონი „დორტმუნდი", „მაინცი", „ჰანოვერი", მარიო გომესი და კრისტიან ტიფერტი იმსახურებენ. ვფიქრობთ, მკითხველებიც დაგვეთანხმებიან იმაში, რომ სეზონის მთავარი იმედგაცრუებები ფელიქს მაგათი, ლუის ვან გაალი და მიხაელ ბალაკი იყვნენ. მათთან ერთად, კრიტიკის ღირსია ფრანკფურტის „აინტრახტი" და ბრემენის „ვერდერი". უფრო სწორად, „ვერდერის" სატრანსფერო პოლიტიკა.

ვფიქრობთ, ვერც რვაფეხა პაული (ცოცხალიც რომ ყოფილიყო) და ვერც თვით ნოსტრადამუსი შეძლებდნენ იმ ყველაფრის წინასწარმეტყველებას, რაც ბუნდესლიგის რიგით 48-ე სეზონში მოხდა. დომინანტის რანგში ვერ „მაინცი" მოგვევლინა და მთელ საფეხბურთო ევროპას პირი დააღებინა, მერე კიდორტმუნდის „ბორუსიამ" შეძლო დაწინაურება და ბოლომდე პირველ ადგილზე დარჩა. სეზონის წინ „დორტმუნდს" ჩემპიონობის ფავორიტად არავინ მოიხსენიებდა, იმ გუნდებმა კი, რომლებსაც ლოგიკურად პირველობისთვის უნდა ებრძოლათ („ბაიერნი", „შალკე"), კრახი განიცადეს. შესაძლო ფავორიტებიდან მხოლოდ „ლევერკუზენმა" დატოვა მეტ-ნაკლებად კარგი შთაბეჭდილება და „ვიცე-კუზენის" მეტსახელი კიდევ ერთხელ გაამართლა. ცხადია, მთავარი იმედგაცრუება მაინც „ბაიერნი" გახლდათ, სადაც შარშან წარმატებულმა ლუის ვან გაალმა სეზონის ჩამთავრება ვეღარ შეძლო - გააგდეს. სამაგიეროდ, სასიამოვნოდ გაგვაოცეს „ჰანოვერმა", „ფრაიბურგმა" და „ნიურნბერგმა" - გუნდებმა, რომლებსაც ლოგიკურად გადარჩენისთვის უნდა ებრძოლათ, ელიტაში ადგილი ადრევე გაინაღდეს, „ჰანოვერი" 33-ე ტურამდე ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოდა. „შალკემ", „ვერდერმა", „ჰამბურგმა", „შტუტგარტმა" და განსაკუთრებით „ვოლფსბურგმა" კი, თავი შეირცხვინეს.

მარიო გომესი, ფეხბურთელი, რომელსაც ვან გაალი სეზონის წინ სათადარიგოთა სკამზე მოიაზრებდა, საუკეთესო ბომბარდირი გახდა; მიხაელ ბალაკი, რომელიც „ლევერკუზენის" ლიდერი უნდა ყოფილიყო, დიდხანს სათადარიგოთა სკამზე იჯდა; მართალია, ფელიქს მაგათს არაფრის რცხვენია, მაგრამ, წესით, უნდა რცხვენოდეს; „აინტრახტი" კი ამ სეზონის ნომერ პირველი „ფლოპია" - გუნდი, რომელმაც კარგად დაიწყო და კატასტროფულად დაამთავრა.

მოკლედ, თქვენ წინაშეა ბუნდესლიგის მთელი სეზონის გამოხმაურება Tops&Flops-ის სახით.

სეზონის სიმბოლური ნაკრები (ქიკერი. 4-3-1-2)

რომან ვაიდენფელერი (ბორუსია დ) - **ფილიპ ვოლფ�იდი** (ნიურნბერგი), **მატს ჰუმელსი** (ბორუსია დ), **ნევენ სუბოტიჩი** (ბორუსია დ), **მარსელ შმელცერი** (ბორუსია დ) - **კრისტიან ტიფერტი** (კაიზერსლაუტერნი), **არტურო ვიდალი** (ლევერკუზენი), **ნური შაჰინი** (ბორუსია დ) - **მარიო გიოტცე** (ბორუსია დ) - **პაპის დემბა სისე** (ფრაიბურგი), **მარიო გომესი** (ბაიერნი)

საუკეთესო ფეხბურთელები

29 ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

ფეხბურთელი	კლუბი	საშ. შეფასება
1. მატს ჰუმელსი	ბორუსია (დ)	2.61
2. შინჯი კაგავა	ბორუსია (დ)	2.62
3. ნური შაჰინი	ბორუსია (დ)	2.64
4. მარიო გიოტცე	ბორუსია (დ)	2.70
5. სვენ ბენდერი	ბორუსია (დ)	2.72
6. მიხაელ რენზინგი	კიოლნი	2.74
7. რომან ვაიდენფელერი	ბორუსია (დ)	2.76
8. მანუელ ნოიერი	შალკე	2.79
9. ტომ შტარკე	ჰოფენჰაიმი	2.82
10. არტურო ვიდალი	ლევერკუზენი	2.85

გოლს პლუს პასის რეიტინგი

ფეხბურთელი	კლუბი	თამაში	გოლი	პასი	ქულა
1. მარიო გომესი	ბაიერნი	32	28	5	33
2. თომას მიულერი	ბაიერნი	34	12	13	25
3. ფრანკ რიბერი	ბაიერნი	25	7	17	24
4. პაპის დემბა სისე	ფრაიბურგი	32	22	1	23
5. ლუკას გარიოსი	ბორუსია (დ)	32	16	6	22
6. მილოშოე ნოვაკოვიჩი	კიოლნი	28	17	5	22
7. არიენ რობენი	ბაიერნი	14	12	10	22
8. არტურო ვიდალი	ლევერკუზენი	33	10	12	22
9. თეოფანის გეკასი	აინტრახტი	34	16	5	21
10. მარიო გიოტცე	ბორუსია (დ)	33	6	15	21

დორტმუნდის ბორუსია - 2011 წლის გერმანიის ჩემპიონები

მაგრად არ გაუმართლა. ვიცე-ჩემპიონმა „შალკემ" ბუნდესლიგაში ძალიან ცუდად იასპარეზა და მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ჰყავდა გაყვანილი, გუნდიდან გააგდეს. მერე კი „ვოლფსბურგში" დაბრუნდა, რომელიც ძლივს იხსნა გავარდნისგან. მოკლედ, ეს არ იყო მაგათის წელი.

Flop 2
იყო ჰოლივუდი, გახდა ბოლივუდი

„ბაიერნს" გერმანიაში FC Hollywood-საც უწოდებენ - ეს უბრალოდ შეგახსენეთ, სანამ გავიმეორებდით, რომ რეკორდმაისტერი მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა. ამით ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ „ბაიერნისთვის" მესამე ადგილი სერიოზულ წარუმატებლობას ნიშნავს. თუმცა მიუხედავად ამისა, ერთი მაინც შეძლეს - ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვეს და ოცნებობენ იმაზე, რომ 2012 წელს ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ფინალში გავიდნენ, რომელიც მიუხეხენი უნდა გაიმართოს.

ხელმძღვანელებსა და **ლუის ვან გაალს** შორის გაუგებრობა რომ იყო, ეს **მარკ ვან ბომელის** გაყიდვის დროსაც დადასტურდა, რომელიც ლიდერისა და კაპიტნის რანგში მოკრძალებულმა **ფილიპ ლამმა** შეცვალა. გომესი მხოლოდ იმიტომ გახდა ბომბარდირი, რომ **ივიცა ოლიჩი** იყო ტრავმირებული (ასე რომ არ ყოფილიყო, ვან გაალი ხორვატს ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე აყურყუტებდა). მოკლედ, ვან გაალი წარსულია, მომავალ სეზონში კი „ბაიერნს" **ული ჰონესის** ძმაკაცი **იუპ ჰაინკესი** მიხედავს. რამდენ ხანს გაძლებს „დონ იუპი" ამჯერად? საკითხავი აი, ეს არის.

Flop 1
ფრანკფურტის ცვიტრახტი

სად არის ახლა **მიხაელ სკიბე**? ამ კაცის ხელმძღვანელობით „აინტრახტი" ხომ მეშვიდე ადგილზე იყო! პირველი წრის მეშვიდე პოზიციაზე დამთავრება იმას ნიშნავდა, რომ ფრანკფურტელებს ევროპის ლიგის საგზურისთვის უნდა ებრძოლა, მაგრამ... მეორე წრის დასაწყისში გაუჭირდათ, მერე გასავარდნ ზონას მიუახლოვდნენ და შეფ **ჰერიბერტ ბრუხჰაგენს** გაახსენდა, რომ **კრისტოფ დაუმი** აქამდე არასდროს გავარდნილა ბუნდესლიგიდან. მან სკიბე გააგდო და კრისტოფი დანიშნა. ამ უკანასკნელის ხელში „აინტრახტმა" 7 თამაში ჩაატარა, ვერც ერთი მოიგო და სწორედ დაუმის ხელში ჩაეშვა გასავარდნ ზონაში, რომელსაც თავი ვეღარ დააღწია. ბოლოს კლუბის ფანებიც აიჭრნენ და არეულობები მოაწყვეს... ეს ქომაგები ბუნდესლიგაში არავის მოენატრება. გულახდილად ვთქვათ, არც მაიკ ფრანცი მოგვენატრება!

Top 5
ტიფერტის ეშმაკური პასები

ტიფერტი? ეგ სად თამაშობს? ჰო, ჰო, „კაიზერსლაუტერნში". და რატომ უნდა დაემსახურებინა „ტოპებში" მოხვედრა ისეთ ფეხბურთელს, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ თუ ვახსენეთ? მიზეზი მარტივია: კრისტიან ტიფერტი ბუნდესლიგის საუკეთესო მეპასეა! 29 წლის ნახევარმცველმა 33 მატჩში 17 საგოლე გადაცემა გააკეთა (ორი გოლი), რითაც უდავოდ „ლაუტერნის" ლიდერად უნდა შევრაცხოთ. ყველაზე მეტი საგოლე პასის გაკეთება კი ცოტას არ ნიშნავს.

17 პასი ცოტად გეჩვენებათ? რატომ? ევროპის წამყვანი ჩემპიონატებიდან, ტიფერტზე მეტი საგოლე პასები მხოლოდ **ლიონელ მესიმ** (ბარსელონა), **მესუთ იოზილმა** (რეალი) და **ნანიმ** (მანჩესტერ იუნაიტედი) გააკეთეს. იტალიის სერია A-დან კი მისთვის არავის უჯობნია.

Top 4
გერმანელი ტორერო

მთლად უტიტულოდ დარჩენა „ბაიერნისთვის" სრული ფიასკო იქნებოდა და ასე რომ არ მოხდა, მიუნხენელები მარიო გომესს უნდა უმადლოდენ, რომელიც 28 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა - თუ შეიძლება, რომ ბომბარდირობას გუნდის ტიტული ეწოდოს. უკანასკნელი ბაიერნელი, რომელსაც ეს მიღწევა ჰქონდა, იტალიელი **ლუკა ტონი** გახლდათ, რომელიც ვან გაალს ასევე არ ეხატებოდა გულზე. გომესი კი ფაქტობრივად მარტო იმიტომ ათამაშა, რომ **ივიცა ოლიჩი** მთელი სეზონის მანძილზე ტრავმირებული იყო, **მიროსლავ კლოზე** კი გომესზე მეტად არ უყვარს...

Top 3
ვინ თქვა, ჰანოვერი გავარდებაო?!

ერთი წლის წინ „ჰანოვერს" მთელი გერმანია მასხრად იგდებდა, რადგან წინა სეზონში ამ გუნდმა ყველაზე მეტი, 67 გოლი გაუშვა და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას მხოლოდ პლეი ოფში გადაურჩა. შესაბამისად, არცაა გასაკვირი, ამ სეზონში „ნითლებს" გავარდნის ერთ-ერთ მთავარ კანდიდატებად რომ რაცხავდნენ. მაგრამ მწვრთნელმა **მირკო სლომკამ** და მენეჯერმა **იორგ შმადტკემ** ძალიან კარგად და ჭკვიანურად იმუშავეს - „ჰანოვერმა" კი კინაღამ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა. საბოლოოდ, „ჰანოვერისთვის" ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებაც უდიდესი მიღწევაა.

ნახევარდაცვაში **სერჟიო პინტუ** არავის ახარებდა, მეტოქე გუნდების შეტევებს შლიდა, რის შემდეგაც ჰანოვერელები მნარედ იკბინებოდნენ კონტრშეტევებზე, **დიდიე ია კონანი** კი შეტევებს, გოლებით აგვირგვინებდა. „ჰანოვერი" იყო საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მიაღწიოს გუნდმა მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე მაქსიმალურ მიზანს.

Top 2
მაინცის ფენომენი

იმიჯის თვალსაზრისით, ამ სეზონში ყველაზე მაგრად, რა თქმა უნდა, დორტმუნდის „ბორუსიამ" იხეირა, მაგრამ, სადაც დორტმუნდელები თავისას დაიკვეხნიან, იქ არც „მაინცი" უნდა დაავიწყდეთ. **ანდრე შიურლეს** და **ლუის ჰოლტბის** სეზონის წინ არავინ იცნობდა, ახლა კი ვარსკვლავები არიან და იდეალური შანსი აქვთ, რომ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებში ითამაშონ. საერთოდაც, სანამ დორტმუნდი მონოდების სიმაღლეზე დადგებოდა, „მაინცმა" ძალიან დიდხანს და ყველასათვის მოულოდნელად იბატონა. ეს ყველაფერი პირველ რიგში გუნდის მთავარი მნვრთნელის, **თომას ტუხელის** დამსახურებაა, რომელიც ძალიან ჰგავს დორტმუნდელ კოლეგა იურგენ კლოპს. რაც ყველაზე საინტერესოა, „მაინციც" ევროპის ლიგაში ითამაშებს.

Top 1
ღირსეული ჩემპიონები

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დორტმუნდის „ბორუსიამ" გერმანიის ნაკრებს ამ სეზონში ხუთი ახალი ვარსკვლავი აჩუქა - **მარიო გიოტცე, მარსელ შმელცერი, მატს ჰუმელსი, სვენ ბენდერი** და **კევინ გროსკროიტცი**. რაც ყველაზე საინტერესოა, ისინი ძალიან ახალგაზრდები არიან! ფენომენალური სეზონი ჩაატარა **ნური შაჰინმა**, რომელიც მომავალი სეზონიდან მადრიდის „რეალში" ითამაშებს და სეზონის მთავარი აღმოჩენა კი BVB-ს იაპონელი გამთამაშებელი **შინჯი კაგავა** გახლდათ, რომელმაც სამწუხაროდ მხოლოდ პირველი წრე ითამაშა და მერე უმძიმესი ტრავმა მიიღო, მაგრამ ის 17 მატჩიც საკმარისი იყო იმისათვის, რომ მთელი გერმანია გაეოცებინა.

„ბორუსიას" იდეალური სეზონი ჰქონდა, ეს არა მარტო 75 ქულიდან, არამედ აბსოლუტურად ყველა სტატისტიკური მონაცემიდან ჩანს. გუნდის საშუალო ასაკი კი სულ რაღაც 22 წელია.

გოტფრიდ ლენცი

უცხოური ფეხბურთი

გამოხმაურება. ბარსელონა

დამსახურებული ზეიმი

„ბარსელონამ“ სეზონის უკანასკნელი მატჩი „კამპ ნოუზე“ უგოლოდ დაასრულა, მაგრამ არა გვგონია, ეს „ბარსას“ ფანებს ანაღვლებდეთ - კვირა საღამოს მატჩის შემდეგ (როცა კატალონიური გრანდი გავარდნის პირას მყოფ „დეპორტივოს“ 0:0 დაუზავდა) გუნდმა ლა ლიგის ჩემპიონის თასი ჩაიბარა და სტადიონზე ნამდვილი ფიესტა მოეწყო.

შეხვედრა კი საპატიო დერეფნით დაიწყო, სტუმართა გუნდმა ის ჩემპიონს ტიტულის მოპოვებისთვის მოუწყო, თუმცა ამ დერეფანში ერთი-ორმა თუ გაიარა, ვის მხრებზეც გადაიარა მომქანცველმა სეზონმა. **ხოსეპ გვარდიოლამ** ძალზე გადახალისებული შემადგენლობა ათამაშა გალისიურ კლუბთან. მაგალითისთვის, **ჯონათან დოს სანტოსმა** მარჯვენა მცველად ითამაშა, დაცვის ცენტრში კი **ფონტასი** და **ბარტრა** ვიხილეთ. **ტიაგო ალკანტარა** პლეიმეიკერად მოგვევლინა, შეტევის ტრიო კი ასეთი იყო: **ხეფრენი, კრკიჩი** და **აფელაი**. მოკლედ, ძირითადში მხოლოდ 4 ფეხბურთელი ვიხილეთ „ნამდვილი“ „ბარსადან“. თანაც, **ერიკ აბიდალი** ახალი გამოჯანმრთელებულია და მას ახლა ჰაერივით სჭირდება სათამაშო პრაქტიკა. ასე რომ, სასტარტო შემადგენლობიდან მხოლოდ **ვიქტორ ვალდესი, ხავიერ მასკერანო** და **სეიდუ კეიტა** ვიხილეთ.

მართალია, ეს ის „ბარსა“ არ იყო, მაგრამ ბურთის კონტროლი და პასები ისევ მასპინძელთა საკვანძო უპირატესობა იყო. საგოლე შანსები თითქმის არ იქმნებოდა - „დეპორტივოს“ 5-კაციანი დაცვის ხაზი ძალზე ფრთხილობდა. გვარდიოლამ **ლეო მესი** სათადარიგოთა სკამზე დატოვა და ამით „პიჩიჩის“ ტიტულისათვის ბრძოლაზე „კაპიტულაცია“ გამოაცხადა.

● ვერაფრით გამოიცნობთ, ვინ ითამაშა ამ სეზონში ყველაზე მეტი თამაში „ბარსელონას“ მაისურით - სეიდუ კეიტამ! მალელმა ნახევარმცველმა სეზონის 55 ოფიციალურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. თანაც, კლუბის ბოლო 28 მატჩში ის აუცილებლად გადიოდა მოედანზე. სულ „ბარსამ“ 60 ოფიციალური მატჩი ითამაშა. გამოდის, რომ აფრიკელმა მხოლოდ 5 გააცდინა.

● **ბოიან კრკიჩმა** ერთთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ითამაშა, **მაქსველიც** დაუბრუნდა გუნდს ტრავმის მოშუშების შემდეგ.

● 19 წლის საყრდენ ნახევარმცველ **ორიოლ რომეუს** ლა ლიგაში დებიუტი ჰქონდა. აქამდე მას მხოლოდ ესპანეთის სუპერთასზე აქვს „ბარსას“ ძირითად გუნდში ნათამაშები. სეზონში პირველად ითამაშეს ჩემპიონატში ჯონათან დოს სანტოსმა და ბარტრამ.

● „დეპორტივოსთან“ თამაშში ყველაზე მეტჯერ ბურთი მეტოქეს ტიაგო ალკანტარამ და ბარტრამ აართვეს - 9-9-ჯერ.

● ამ სეზონში „კამპ ნოუზე“ 19 მატჩიდან გუნდმა 10-ში გოლი არ გაუშვა, სულ კი „ბარსას“ კარში ამ სტადიონზე 10 გოლი გაიტანეს.

გამოხმაურება. რეალი

საჯარიმო დარტყმებით

კვირა საღამოს „ელ მადრიგალზე“ 22 ათასმა გულშემატკივარმა იხილა, თუ როგორ ჩაეწერა ესპანური ფეხბურთის ისტორიაში პორტუგალიელი **კრიშტიანო რონალდო**. მან ეს ბრწყინვალე სტილში გააკეთა, „რეალმა“ „ვილიარეალს“ 3:1 მოუგო, ხოლო რონალდომ დუბლი შეასრულა ლა ლიგის ბოლოსწინა ტურის მატჩში და ორ ლეგენდარულ ფორვარდს გაუთანაბრდა. 1950-51 წლების სეზონში ბილბაოს „ატლეტიკის“ თავდამსხმელმა **ტელმო ზარაონანდიამ** 38 გოლი გაიტანა. ეს რეკორდი 1989-90 წლების სეზონში „რეალის“ მექსიკელმა ფორვარდმა **უგო სანჩესმა** გაიმეორა. ახლა კი დუეტი ტრიოდ იქცა, რონალდომაც გაიტანა 38 გოლი. პორტუგალიელს შეუძლია ერთპიროვნული რეკორდსმენი გახდეს - სეზონი ჯერ არ დასრულებულა - კვირას „სანტიაგო ბერნაბეუს“ ბოლოადგილოსანი „ალმერია“ სტუმრობს.

რონალდომ „ვილიარეალის“ კარში ორივე გოლი საჯარიმო დარტყმით გაიტანა. ასე რომ, ვერავინ იტყვის, რომ გუნდი მის რეკორდზე მუშაობდა. მან ორჯერ, 22-ე და 93-ე წუთებზე შემოატარა ბურთი ცოცხალ კედელს და **დიეგო ლოპესი** აიძულა ბურთი კარის ბადიდან გამოეტანა. განსაკუთრებით საოცარი, მეორე საჯარიმო დარტყმა გახლდათ, რომელიც აუღებელთა კატეგორიიდან იყო.

ამ მარცხმა „ვილიარეალი“, რომელიც ერთობ სიმპათიური გუნდი იყო ამ სეზონში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ადგილის გარეშე დარჩა. ახლა **ხუან კარლოს გარიდოს** გუნდმა პლეი ოფიდან უნდა გაიკვალოს გზა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე. ანგარიში მე-17 წუთზე „სამეფო კლუბმა“ კონტრშეტევით გახსნა - **კაკამ** საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილი **მარსელო** მოძებნა, რომელიც ვიზავის გაეპარა და მეკარესთან პირისპირ გავიდა. ბრაზილიელმა მცველმაც გამოცდილი ფორვარდივით გადაუგდო დიეგო ლოპესს ბურთი თავზე. მალევე რონალდომ გაიტანა. ის საჯარიმოს მარცხენა მისადგომიდან ურტყამდა საჯარიმოს, ლოპესი ოდნავ შესწვდა ბურთს, მაგრამ „ვილიარეალი“ ვერ გადაარჩინა.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა დაიწყეს უკეთ, **მარიო გასპარმა** მარსელოს აჯობა და საჯარიმოს ცენტრში **კანი** მოძებნა, რომელმაც ანგარიშში სხვაობა შეამცირა. ამის შემდეგ უკვე ორივე გუნდის მეკარეები ყოჩაღობდნენ... 93-ე წუთამდე.

კრიშტიანო რონალდო **ლეო მესის** შემდეგ მეორე ფეხბურთელია, რომელმაც ესპანეთში ყველა ოფიციალურ საკლუბო მატჩში 50-გოლიან ზღვარი დაძლია ერთ სეზონში.

ხორხე ვალდანო („რეალის“ გენერალური დირექტორი): *„დღეს ორივე გუნდმა იყოჩაღა და კარგი ფეხბურთი აჩვენა. მინდა ვთქვა, რომ მადრიდის „რეალს“ ძალზე მნიშვნელოვანი და დიდებული სეზონი ჰქონდა. კრიშტიანომ ორი ექსტრაორდინარული გოლი გაიტანა და ისტორიული რეკორდი გაიმეორა“.*

აიტორ კარანკა („რეალის“ მწვრთნელის ასისტენტი): *„სამი ქულა ბევრს არაფერს ცვლიდა, მაგრამ ჩვენ მაინც მოტივირებულნი გავედით მინდორზე, კრიშტიანო რონალდოს ისტორიული რეკორდის დამხობის შანსი ეძლეოდა. „ელ მადრიგალზე“ გატანილი 3 ბურთის წყალობით ჩვენ ლა ლიგის ყველაზე გამტანი გუნდი გავხდით“.*

„რეალის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ოთხშაბათს „სამეფო კლუბი“ მურსიაში ამხანაგურ მატჩს გამართავს ადგილობრივ „მურსიასთან“, რომელსაც **ხოსე ანტონიო კამაჩო** გაუძღვება, წარმოშობით მურსიელი მწვრთნელი. მთელი შემოსავალი კი მიწისძვრისგან დაზარალებულ ქალაქ ლორკას ფონდში გადაირიცხება. თამაშამდე „რეალის“ ფეხბურთელები სწორედ ლორკას მოინახულებენ.

კრიშტიანო რონალდო:

რეკორდზე: *ძალიან ბედნიერი ვარ მიღწეულით. სიმართლე გითხრათ, სეზონის დასაწყისში ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამდენ გოლს გავიტანდი. სასახელოა, რომ ორი ლეგენდარული ფეხბურთელის რეკორდი გავიმეორე. ეს კი რთულ მეტოქესთან, მისსავე სტადიონზე მოვახერხე. მწვრთნელმა გვითხრა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია სეზონის მოგებებით ჩამთავრება. ეს საფუძველს შეგვიქმნის, ახალი სეზონიც გამარჯვებებით დავიწყოთ. რჩება მატჩი „ალმერიასთან“ და მსურს კიდევ გავიტანო, თუმცა მხოლოდ ამაზე ნამდვილად არ ვფიქრობ, მთავარი ხომ გუნდის გამარჯვებაა. თანაგუნდელებს არაფერი უთქვამთ ჩემთვის თამაშამდე, თუმცა ისინი, ბუნებრივია, გახარებულნი არიან, რომ დუბლი შევასრულე.*



საჯარიმოებზე: *არ იყო ადვილი გასატანები, თუმცა, ვიფიქრე, რომ დღეს ჩემი დღე იყო და გამომივიდოდა - ვცადე და გავიტანე კიდევაც.*

სეზონზე: *პირადად დიდებული სეზონი მქონდა, ძალიან ბევრი გოლი გავიტანე და კმაყოფილი ვარ, თუმცა, კარგი იქნებოდა, გუნდს უკეთესი სეზონი ჰქონოდა. ჩვენ ძალიან გვსურდა ლა ლიგისა და ჩემპიონთა ლიგის მოგება.*

საქველმოქმედო მატჩზე: *ძალიან კარგი მოფიქრებაა, სიამოვნებით ვითამაშებ - ახლა იმ ხალხს ყველაზე მეტად დახმარება ესაჭიროება.*

ამბები

ბუსკეტსს ფრთა აუნოვს

უეფა-მ შეწყვიტა საქმე **სერხიო ბუსკეტსის** წინააღმდეგ - მას აღარ ადანაშაულებენ რასიზმში მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელი მცველის, **მარსელოს** მიმართ. ასე რომ 28 მაისს 22 წლის ნახევარმცველს ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაშის უფლება აქვს.

„რეალის“ ოფიციალურ საიტზე გამოფინეს ვიდეო, სადაც ჩანს, რომ ბუსკეტსი მარსელოს „მაიმუნს“ უწოდებს და თან ოსტატურად იფარავს პირს. „ბარსელონა“ ამ ბრალდებას უარყოფდა. უეფა კი მარსელოსგან ელოდა ჩვენებას. რა მოხდა შემდეგ უცნობია, მაგრამ ფაქტია, საქმე დაიხურა. შესაძლოა, მარსელომ აღარ ინდომა გამწვავება.

ჩემპიონის ახალი ფორმა

„ბარსელონას“ მრავალწლიან ისტორიაში პირველად მოხდება, რომ გუნდის მაისურზე კომერციული რეკლამა მოთავსდება. აი, ასეთი იქნება „ბარსას“ ახალი ფორმა 2011-12 წლების სეზონისთვის - „ყატარ ფაუნდეიშენმა“ ამ წარწერისთვის 150 მილიონი ევრო გადაიხადა და ის „ბლაუგრანას“ უახლოესი ხუთი სეზონი დაამშვენებს. რაც შეეხება არაკომერციულ რეკლამას - „ბარსა“ „უნისეფთან“ აგრძელებს თანამშრომლობას, თუმცა წარწერა მაისურის ზურგზე გადაინაცვლებს.

„ბარსელონას“ ახალი საშინაო ფორმის პრეზენტაცია დღეს გაიმართება, მაგრამ „ფეისბუქში“ კლუბის ოფიციუალურ გვერდზე ფოტოები ნაადრევად გაჩნდა, თუმცა ჯერ ბევრი დეტალი არ არის ცნობილი და არც ის, თუ როგორ გამოიყურება საგარეო ფორმა. ამბობენ, ის შავი იქნებაო...

ფორლანი თურქეთში მიდის

ამ დღეებში ლა ლიგას კიდევ ერთი კაშკაშა ვარსკვლავი ტოვებს - **დიეგო ფორლანი** კარიერას ალბათ თურქულ „ბეშიქთაშში“ გააგრძელებს. თურქული „ნტვ სპორის“ მტკიცებით, ურუგვაელი ფორვარდი ამ კვირაშივე მოაწერს კონტრაქტს სტამბოლურ კლუბთან. ფორლანი „ატლეტიკოში“ 2007 წელს გადავიდა და მადრიდულ კლუბთან ერთად ევროპის ლიგა მოიგო. 32 წლის ფორვარდი შარშანდელ მუნდიალზე საუკეთესო ფეხბურთელად დასახელეს, თუმცა ბოლო სეზონი „ატლეტიკოში“ მას მაინცდამაინც კარგი არ გამოუვიდა.

ფორლანს უთანხმოება აქვს **კიკე ფლორესთან**, რის გამოც ურუგვაელმა სეზონის ბოლოსკენ სასტარტო შემადგენლობაში ადგილი საბოლოოდ დაკარგა. თურქული სააგენტო „აჯანსპორი“ ამტკიცებს, რომ ფორლანი „ბეშიქთაშის“ ფეხბურთელი ოთხშაბათს გახდება და კლუბს მისი ტრანსფერი 10 მილიონი ევრო დაუჯდება. ფორლანი ახალ კლუბში კარგად ნაცნობ **გუტისა** და **სიმაოს** თანაგუნდელი გახდება.

ყველა მატჩი შაბათს

ესპანეთის ფეხბურთის პროფესიულმა ლიგამ (LFP) ბოლო ტურის წინ შექმნილი სატურნირო სიტუაციით იხელმძღვანელა და ლა ლიგის უკანასკნელი ტურის მატჩები (უკლებლივ ყველა) შაბათს, 21 მაისს დანიშნა. მატჩების უმეტესობა ადგილობრივი დროით საღამოს 10 საათზე (ჩვენი დროით ზუსტად შუაღამით) დაიწყება. ესენია: **ოსასუნა-ვილიარეალი, რეალ სოსიედადი-ხეტაფე, ესპანიოლი-სევილია, ლევანტე-სარაგოსა, მალიორკა-ატლეტიკო, დეპორტივო-ვალენსია** და **რასინგი-ბილბაო**.ტურს **მალაგა-ბარსელონა** გახსნის (ჩვენი დროით, 20 საათზე), შემდეგ კი მოედანზე „რეალი“ და „ალმერია“ გავლენ (22 საათზე).

ტენერიფე სეგუნდადანაც გავარდა

კანარელმა თავისუფალი ვარდნა გრძელდება - შარშან პრიმერადივიზიონიდან გავარდნილმა „ტენერიფემ“ ფეხი ვერც სეგუნდადივიზიონში მოიკიდა და სეზონის დასრულებამდე „გაინაღდა“ რანგით მესამე, სეგუნდა B დივიზიონში თამაში. ბოლო ტურში „ტენერიფემ“ „ვალიადოლიდი“ 3:2 დაამარცხა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან მოიგო უშუალო კონკურენტმა „ხიმნასტიკამაც“. ბოლო 24 სეზონიდან 12-კუნძულელებმა უმაღლეს დივიზიონში გაატარეს, სეგუნდა B დივიზიონში კი მათ 1987 წლის მერე არ უთამაშიათ.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● ინგლისი. პრემიერლიგა. ტურის გამოხმაურება

ჩემპიონი, გაპარდნილი და სხვა ამბები

რიო ფერდინანდი (ძარცხნივ) და ალექს ფერგიუსონი

ალექს დიდი

სერ **ალექს ფერგიუსონი** გახარებულია - მისმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" ინგლისის ჩემპიონის მე-19 ტიტული ვაუკაცურად მოიპოვა. გუნდმა დაამტკიცა, რომ უტეხი სული აქვს, არასდროს ნებდება. მეტიც, მათ, ვისაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში ფულის დადება უნდა, დიდი შოტლანდიელი ურჩევს, „ბარსელონას" მოგების ბრმად წინასწარმეტყველებისგან თავი შეიკავოს.

ფერგიმ თქვა: *„ჩემი ფეხბურთელები არასდროს ნებდებიან და ეს დიდი თვისებაა. კარგად ვიცი, რომ ჩვენი მეტოქე, „ბარსელონა", უდიდესი გუნდია, მაგრამ გადახედეთ ჩვენს ბოლოდროინდელ გამოსვლებს, პროგრესს, პროცესს და თქვით, განა ფულის ჩვენ წინააღმდეგ დადება ჭკვიანური საქციელი იქნება? ჩვენ ფინალში ძალიან ძლიერად თამაში შეგვიძლია".*

ბევრჯერ გვიხსენებია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ლივერპულის" რეკორდი დაამხო. ახლა ის ინგლისის 19 გზის ჩემპიონია, მერსისაიდელები კი 18 გზის ჩემპიონად დარჩნენ. მრავლისმეტყველია, რომ 19 ტიტულიდან „იუნაიტედს" 12 ფერგიუსონმა მოაგებინა, თუმცა, მეორე მხრივ, ბევრი მიიჩნევს, რომ სეზონი, რომლის დამთავრებამდე ერთი ტურიღა დარჩა, ფერგისთვის ერთ-ერთი ყველაზე... ცუდი იყო. სხვა სიტყვებით, კრიტიკოსები ბრძოლისუნარიანობასა და კლასს ერთმანეთისგან ასხვავებენ და ამბობენ, რომ „იუნაიტედმა" ტიტულები უხარისხო ფეხბურთით მოიპოვა. ფერგიუსონს ჰკითხეს - ხომ არ დადგა დრო 28 მაისს მისმა გუნდმა დაეჭვებულ ადამიანებს პირში ბურთი ჩასჩაროს? ფერგიმ უპასუხა:

„ზუსტად ასეა! „უემბლიზე" დიდი გამოწვევა გვაქვს, რომელსაც ვიღებთ. ჩვენ გამოწვევის მიღება გვეხერხება. დროა ყველას კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ ჩვენი სახე".

„იუნაიტედის" ფრანგმა მცველმა, **პატრის ევრამ** კი ხალხს უამბო, როგორ გამოაფხიზლა „არსენალთან" მოულოდნელი დამარცხების (1:0) შემდეგ სერ ალექსმა ბიჭები. 30 წლის ვარსკვლავმა თქვა:

„მწვრთნელმა შავ დღეში ჩაგვაგდო. „არსენალთან" წაგების შემდეგ მან შეგვკრიბა და გვითხრა: თქვენ რა, მართლა არ გინდათ მე-19 ტიტულის მოპოვება? გაგიუდით? რამდენი ტიტულის გატანებას აპირებთ ქარისთვის? ახლა კეთილი უნდა ინებოთ და ჩემპიონები გახდეთ.

ამ ლაპარაკის შემდეგ აუცილებლად უნდა მოგვეგო, თორემ მერე ბოსი ვიღაცას თმას ყალყზეც დაუყენებდა. საერთოდ კი ის ბავშვივით არის. უნდა გენახათ, როგორ უხაროდა, გეგონება ჩემპიონი მეთორმეტედ კი არა, პირველად გახდა".

მეთორმეტედ გახდა ინგლისის ჩემპიონი **რაიან გიგზიც**, ხოლო **პოლ სქოულზს** ეს ჯილდო მეათედ ხვდა წილად. სამაგიეროდ, პირველად გაიხარეს **ანტონიო ვალენსიამ, ხავიერ ერნანდესმა, კრის სმოლინგმა** და **დერონ გიბსონმა**. და თუ ეს ფეხბურთელები ფერგიუსონის გუნდში განაგრძობენ თამაშს, მიმომხილველებს სწამთ, რომ ტიტულს კიდევ ბევრჯერ მოიგებენ.



ევრამ გრანტი

ევრამ განაგრძო: *„ეს ჩემპიონობა კოლექტიური ბრძოლის შედეგია და ამდენად განსაკუთრებული გემო აქვს. როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედში" კრიშტიანო რონალდო თამაშობდა, ის დიდებული იყო, მაგრამ დანარჩენები მის გარშემო ვტრიალებდით. ხალხს ეს, ეტყობა, დაავიწყდა. მას მერე, რაც კარლოს ტევესი და რონი წავიდნენ, ჩვენი ფეხბურთი კოლექტიური გახდა. დღეს ჩვენი გუნდიდან რომელიმე ფეხბურთელის გამოყოფა რომ მთხოვოთ, გამიჭირდება. მეეჭვება, რომ ვინმე განსაკუთრებული ყოფილიყო. სწორედ ამიტომ, მე-19 ჩემპიონობის მთავარი შემოქმედი „იუნაიტედის" სული იყო".*

სეზონის განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედს", რასაკვირველია, რამდენიმე განსაკუთრებული თამაშიც ჰქონდა: „ბლეკპულთან" ორგოლიანი ჩამორჩენის გამოსწორება (3:2), „ბოლტონსა" და „ევერტონთან" ბოლო წუთებში გატანილი გოლებით მოგება (ორივე თამაში 1:0 დასრულდა) და თუგინდ სეზონის მთავარ მატჩად წოდებული ამასწინანდელი მატჩი „ჩელსისთან" (2:1), მაგრამ სერ ალექსისთვის ყველაზე სასიხარულო მაინც „აპტონ პარკზე" „ვესტ ჰემთან" მოგება იყო — „ჩაქუჩები" 2:0-ს იგებდნენ, „იუნაიტედმა" კი ოთხი გოლით უპასუხა. ეს ის შეხვედრაა, რომელშიც **უეინ რუნმ** ჰეთ-თრიკი შეასრულა და სიხარულისგან ტელეკამერასთან შეიგინა, რისთვისაც დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

„ვფიქრობ, იმ შეხვედრამ შინაგანად ყველა ამოაყირავა, ჩემი ჩათვლით" — ბრძანა ჩემპიონთა მწვრთნელმა.

რიო ფერდინანდისთვის ეს ტიტული მეხუთე და განსაკუთრებული გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, 32 წლის ვეტერანი ასე ამბობს.

„ინგლისში ჩემპიონი რომ გახდე, მენტალურად ძალიან ძლიერი უნდა იყო. რაც „იუნაიტედში" ვთამაშობ, ასეთი სეზონი არ მქონია. ამ ჩემპიონატში რამდენჯერმე მოგვიხდა მკვდრეთით აღდგომა".

რიო ფერდინანდს პირადადაც მოუხდა ფენიქსივით ფერფლიდან აღდგომა. მარტში ხომ მან მყესი ისე დაიზიანა, რომ სეზონის ბოლომდე მკურნალობას უნინასწარმეტყველებდნენ.

„პირველივე დღიდან ვხვდებოდი, რომ სინამდვილეში გაცილებით მალე გამოვჯანმრთელდებოდი. როდესაც მწვრთნელი ამბობდა, რომ ამ სეზონში დამასვენებდა, ვგრძნობდი, რომ ამით ჩემი მხრებიდან ფსიქოლოგიური ტვირთის მოხსნას ცდილობდა. ალექს ფერგიუსონი იმიტომ არის დიდი მწვრთნელი, რომ ყოველთვის ცდილობს ფეხბურთელებს ზენოლა შეუმსუბუქოს და ნებისმიერი ტვირთი თვითონ აიკიდოს".

ავრამი და მისი ბატკნები

ახლა კი ცხრილის კენწეროდან ძირში გადავინაცვლოთ და „ვესტ ჰემს" დავხედოთ — ლონდონელმა „ჩაქუჩებმა" „უიგანთან" 3:2 ნააგეს და პრემიერლიგიდან გავარდნენ. **ავრამ გრანტმა** და მისმა „ბატკნებმა" პრემიერლიგის მგლურ ცხოვრებას ვერ გაუძლეს, რის გამოც, თამაშის მერე გასახდელში შესულ ებრაელ მწვრთნელს კარისკენ მიუთითეს. დიახ, ეს მბავი პირდაპირი მნიშვნელობით გასახდელთან მოხდა. „ვესტ ჰემის" ერთ-ერთ მეპატრონეს, **დევიდ სალივანს** დიპლომატიის ნორმების დაცვით თავი არ შეუწუხებია — თამაში დასასრულისკენ რომ წავიდა, ლოჟიდან ადგა, გვირაბში ჩავიდა, სადაც 56 წლის გრანტს დახვდა და სამსახურიდან გაუშვა.

მოგეხსენებათ, „ვესტ ჰემი" უიგანში 2:0-ს იგებდა... და 3:2 ნააგო. გრანტმა თქვა, რომ 40-წლიან კარიერაში ასეთი სევდიანი დღე არ ჰქონია.

შემდეგ, მწვრთნელი სტადიონის შესასვლელთან, გუნდის ავტობუსში ავიდა და ფეხბურთელებს უთხრა, რომ ის მათთან აღარ მუშაობს. მას უკვე ელოდებოდა მანქანა, რომელსაც მარტო უნდა წაეყვანა ლონდონში, მაგრამ ბიჭებმა სთხოვეს მათთან ერთად ემგზავრა და აეროპორტში წაიყვანეს.

კვირას, ბოლო ტურში, „ვესტ ჰემს" „სანდერლენდთან" **კევინ კინი** უხელმძღვანელებს, ხოლო მომავალი მწვრთნელი შესაძლოა **სტივ მაკლარენი** ან ურუგვაელი **გუსტავო პოიეტი** გახდნენ.

გრანტი გასულ სეზონშიც გავარდა, ოღონდ, ბუნებრივია, სხვა გუნდთან, „პორტსმუთთან" ერთად. „ვესტ ჰემის" მწვრთნელად ის ივნისში, **ჯანფრანკო ძოლას** ნაცვლად დანიშნეს და ოთხწლიანი კონტრაქტიც გაუფორმეს.

„გუნდში დიდი იმედით მოვედი. ფინანსური პრობლემის შესახებ იმთავითვე ვიცოდი და ისიც კარგად მომეხსენებოდა, რომ ძლიერ ფეხბურთელებს ვერ მიყიდდნენ. წინა წელს რატომ არ გავარდნენ? იმიტომ, რომ პრემიერლიგაში წლევანდელზე სუსტი გუნდები თამაშობდნენ. მოკლედ, პასუხისმგებლობა ჩემზეა, ვალდებული ვიყავი უკეთესი შედეგებისთვის მიმეღწია", - თქვა ავრამ გრანტმა.

„უიგანთან" დამარცხების დღეს „ვესტ ჰემის" მავანმა ფანმა დირექტორთა ლოჟასთანაც მიაღწია და ვიცეთავმჯდომარე **კარენ ბრეიდი** გამოლანძღა. ამბობენ, რომ ბრეიდიმ „უიგანის" თავმჯდომარე **დეივ უილანს** მიმართა (ალბათ, იჩივლა, შენს სტადიონზე უსაფრთხოება დაცული რატომ არ არისო) და, ამბობენ, ხულიგანს ქალის შეურაცხყოფისთვის ბოდიში მოახდევინეს.



კარლო ანჩელოტი

ჩარლიტოს გზა... შინისაკენ

„ჩელსისა" და „ნიუკასლის" შეხვედრის შემდეგ (2:2), დასავლეთლონდონელთა თავკაცმა, **კარლო ანჩელოტიმ** გულშემატკივარს ხელი დაუქნია და აღიარა, რომ არ იცის, დაბრუნდება თუ არა „სტემფორდ ბრიჯზე". „საპატიო წრე" იტალიელმა მოედანს უგულოდ შემოუარა - ეს „ლურჯების" ბოლო საშინაო თამაში იყო ამ სეზონში.

ანჩელოტიმ თქვა: *„ნამდვილად არ ვიცი რა მოხდება. ხელმძღვანელობასთან არანაირი შეხვედრა არ არის დაგეგმილი. ვნახოთ, სეზონის დასრულებამდე ხომ მხოლოდ ერთი კვირაა დარჩენილი. ჩემი მუშაობის შესახებ ყველას შეუძლია საკუთარი აზრი ჰქონდეს, მაგრამ გადაწყვეტილებას კლუბი იღებს. თუ ჩემი ნამუშევარი კარგი იყო, დამტოვებენ, თუ უკმაყოფილონი დარჩნენ — გამიშვებენ. მე თუ მკითხავთ, იყო დღეები, როდესაც საკუთარი თავით კმაყოფილი უნდა ვყოფილიყავი და იყო დღეები, როდესაც უკეთაც შემეძლო გავმკლავებოდი ჩემს საქმეს".*

საინტერესოა, რომ „ჩელსის" ფანების უდიდესმა ნაწილმა ბოლო დღეს „სტემფორდ ბრიჯზე" მისვლით თავი არ შეიწუხა და ანჩელოტისაც ფაქტობრივად ცარიელი ტრიბუნებისთვის მოუხდა ხელის დაქნევა. იტალიელმა განაგრძო:

„უპირველეს ყოვლისა, მინდა ჩვენს გულშემატკივარს ვუთხრა მადლობა. მათ, პირადად მე, მთელი სეზონის განმავლობაში საოცარი მხარდაჭერა მაგრძნობინეს".

ტრიბუნებს მაყურებელი შეიძლება აკლდა, მაგრამ მთავარი მათგანი, კლუბის რუსი მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** თავის ლოჟაში იყო და უყურებდა, როგორ გაუქვითა „ნიუკასლ იუნაიტედმა" მის გუნდს ანგარიში ორჯერ — აქედან ერთხელ მსაჯის დამატებული დროის მეორე წუთზე.

„როდესაც გუნდი ამდენ გოლს უშვებს, თან ბოლო წუთზე, ესე იგი რაღაც ვერ არის ისე, როგორც უნდა იყოს" — თქვა ანჩელოტიმ.

ჰარიმ ბიჭები შეაშინა

და ბოლოს იმის შესახებ, თუ როგორ მოუგო „ტოტენჰემ ჰოთსპურმა" „ლივერპულს" „ენფილდ როუდზე" 2:0. შეგახსენებთ, რომ ეს მეხუთე ადგილისთვის გადამწყვეტი შეხვედრა იყო. ახლა, ბოლო ტურის წინ „სფურზი" „ლივერპულს" ერთი ქულით უსწრებს. ბოლო დღეს ლონდონელები „ბირმინგემს" მასპინძლობენ, ხოლო მერსისაიდელები ქალაქ ბირმინგემის მეორე გუნდ „ასტონ ვილას" ეწვევიან. ერთი სიტყვით, მეხუთე ადგილის ამბავს ბირმინგემელები გადაწყვეტენ.

„დეზების" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** თქვა:

„მე ჩემი ფეხბურთელები შევაშინე. ვუთხარი, რომ თუ „ლივერპულს" ვერ მოვუგებდით და ევროლიგაზე პირდაპირ კი არა, „ფეარ პლეის" გზით გავიდოდით, შეჯიბრების ადრე დაწყება მოგვიხდებოდა და მათი შვებულებებიც ორი კვირით შემცირდებოდა. როგორც ხედავთ, იმოქმედა".

ილია ბაბუნაშვილი

ჰარი რედნაპი

ქართული სპორტი

ქადრაკი

ქეთი წანალაშვილმა დიდოსტატობა შეასრულა

ისევ ჩმილიტე, ერთპიროვნულად

ევროპელ მოჭადრაკე ქალთა წინა ჩემპიონატებში ლიტველმა დიდოსტატმა **ვიქტორია ჩმილიტემ** სამჯერ (2003, 2008, 2010 წ.წ.) მეორე ადგილი დაიკავა. შარშან იგი შვედ **პია კრამლინგს** ჩამორჩა. გუშინ „შერატონ მეტეხი პალასში" სწორედ ევროპის მოქმედი ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. განვლილ რვა ტურში ბალტიისპირელმა მეტოქეზე ნახევარი ქულით მეტი მოაგროვა, თანაც თეთრებით თამაშის უპირატესობაც მის მხარეს იყო. მან დებიუტიდანვე შესანიშნავად ითამაშა და ტურნირზე მეშვიდე გამარჯვებას მიაღწია, რითაც კვლავ ერთპიროვნულად დაწინაურდა.

მეცხრე ტურის წინ 6,5 ქულით ვიქტორიასთან პირველ-მეორე ადგილებს იყოფდა **ბელა ხოტენაშვილი**, რომელმაც მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონ **ანტონეტა სტეფანოვასა** და **ჩმილიტესთან** პაექრობას დიდი ენერგია შეალია, ალბათ, ამიტომ მეცხრე ტურში ორგზის ევროპის ჩემპიონ **კატერინა ლახნოსთან** (უკრაინა) დაპირისპირებისას, ფაქტობრივად, უბრძოლველად დათმო პარტია 21-ე სვლაზე. სამწუხაროდ, ვერც თეთრებით მოთამაშე **ლელა ჯავახიშვილმა** შეძლო პოზიციების განმტკიცება - სტეფანოვასთან დამარცხდა. ლიდერთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ელინა დანიელიანი (სომხეთი)-ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) 0,5:0,5, ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი)-**ქეთევან არახამია-გრანტი** (შოტლანდია) 0:1, ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი)-ანასტასია სავინა (რუსეთი) 1:0, ევგენია ოვიდი (რუსეთი)-ანა მუზიჩუკი (სლოვენია) 0,5:0,5, **ნინო ბაციაშვილი-ნინო ხურციძე** 0,5:0,5, სვეტლანა მატვეევა (რუსეთი)-ნაზი პაიკიძე 1:0...

გაუწყებთ ჩვენებურთა რამდენიმე შეხვედრის შედეგსაც:

სოფიკო გურამიშვილი-ჰოანგ თან თრანგი (უნგრეთი) 0,5:0,5, **ნათია ჯანჯღავა**-ევა მოზერი (ავსტრია) 0,5:0,5, **სალომე მელია**-ირინა ბულმაგა (ლატვია) 0,5:0,5, **მერი არაბიძე-ნანა ძაგნიძე** 0,5:0,5, **სოფიო გვეტაძე**-ინა გაპონენკო (უკრაინა) 0:1, **სოფიკო ხუხაშვილი-ინგა ხურცილავა** 1:0, **ქეთი წანალაშვილი-მაკა ფურცელაძე** 1:0.

ცხრა ტურის შემდეგ: ჩმილიტე-7,5, ლახნო, სტეფანოვა, არახამია-გრანტი-7-7, დანიელიანი, ხოტენაშვილი, ტატიანა და ნადეჟდა კოსინცევები, სვეტლანა მატვეევა-6,5-6,5 ქულა. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს ჯავახიშვილმა, ხურციძემ და ბაციაშვილმა.

მე-10 ტურში ინტერესს იწვევს მეწინავეთა შემდეგი შეხვედრები: არახამია-ჩმილიტე, სტეფანოვა-ლახნო, ნ. კოსინცევა-დანიელიანი, ტ. კოსინცევა-ხოტენაშვილი, მ. მუზიჩუკი-მატვეევა, ა. მუზიჩუკი-ზავადსკა, კრამლინგი-ფოიშორი, ჯავახიშვილი-ოვიდი, ხურციძე-აბდულა, ბაციაშვილი-ბოდნარუკი.

- დღეს ძალიან მძიმე ტური გვქონდა, - გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა **ნანა ალექსანდრიამ**. - ხოტენაშვილი და ჯავახიშვილი თითქმის უბრძოლველად დანებდნენ მეტოქეებს და ლიდერთა კვარტეტიდან ამოვარდნენ. ერთადერთი ედინბურგში გათხოვილმა ქეთევან არახამიამ გაგვახარა. მართალია, მას ორმაგი მოქალაქეობა აქვს, მაგრამ ამ ჩემპიონატზე შოტლანდიის სახელით გამოდის. საგულისხმოა, რომ 2001 წელს საქართველოს სახელით მოიპოვა კონტინენტის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი. რაც შეეხება შერატონში მიმდინარე ტურნირს, მის შედეგებზე გადაჭრით ჯერ რამის თქმა ძნელია, რადგან მეწინავეთა ჯგუფში სიმჭიდროვეა და დაწინაურებულთ, ასე ვთქვათ, ზურგს უკან მეტოქეთა სუნთქვა ესმით.

მეტს ველოდით ნანა ძაგნიძისგან, მაგრამ ყატარში მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან პრის ბოლო ეტაპზე განცდილი მარცხის შემდეგ მან ვერ შეძლო ფსიქოლოგიური წნეხიდან გამოსვლა. როგორი საქმეა - გათამაშების ლიდერმა ბოლო მომენტში დაკარგა მსოფლიოს ჩემპიონთან გვირგვინისთვის ბრძოლის უფლება. იმედია, ნანა მალე თავს მოერევა და უნინდებურად ათამაშდება. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ქეთი წანალაშვილის წარმატება – დღეს მან ფურცელაძის დამარცხებით 5,5 ქულას მოუყარა თავი და დიდოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ჩემპიონატის ბოლომდე ორი ტური დარჩა. ბრძენთა თამაშის ქომაგები საინტერესო ორთაბრძოლების მოწმენი იქნებიან, რომლებიც მედლების მფლობელთა ვინაობასაც დაასახელებენ.

ვაჟა დანელია

საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

ტარიელ ვერულაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სუმო

გიგანტების მაქსიმალური [illegible]

ქართველი სუმოისტების წარმატებული ევროგამოსვლის შესახებ „ლელო" უკვე წერდა. შეგახსენებთ: ვარნაში კონტინენტის სხვადასხვა ასაკობრივ ჩემპიონატში 4 ქართველი სპორტსმენი გამოდიოდა, რომლებმაც ჯამში 5 მედალი მოიპოვეს. ყველაზე უკეთ 21-წლიანებში **ზაზა ბალაშვილი** გამოვიდა — მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა. 18-წლიანებში **ზურაბ აქუბარდიამ** (100) ბრინჯაო მოიპოვა, უფროსთა შორის **ავთანდილ ცერცვაძე** (აბსოლუტური) ვერცხლის, **ადამ ოქრუაშვილი** (მძიმე) კი ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ. გუნდურში ჩვენებმა მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმეს - ნახევარფინალში გერმანელებთან, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი ბულგარელებს მოუგეს და ბრინჯაოს დაეუფლნენ.

გუშინ შინ დაბრუნებულმა სუმოისტებმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გამართეს, რომელსაც ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელობასთან ერთად მედალოსანი სპორტსმენებიც ესწრებოდნენ. მათი თქმით, ჩემპიონატში 21 ქვეყნის 400 ათლეტი გამოდიოდა, საქართველოს კი ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი გუნდი ჰყავდა. აზერბაიჯანი 17 კაცით ყოფილა წარმოდგენილი, სრული გუნდით - 20-20 კაცით ჩასულან რუსები, იტალიელები და სხვები, რომლებსაც მონაწილენი ქალთა შორისაც ჰყოლიათ.

ხელმძღვანელობა მიღწეულით კმაყოფილია - 4 კაცისგან ხუთი მედალი, როცა არც ერთი არ დარჩენილა ხელცარიელი, მართლაც არაა ცუდი შედეგი. ამას ისიც ემატება, რომ ჩვენებს შეკრება არ გაუვლიათ, მეტოქეების უმრავლესობა კი ყოველმხრივ უზრუნველყოფილია. თურმე რუსებმა ჩვენებს შეხვედრების გაყიდვაც სთხოვეს, რადგან ნაგების შემთხვევაში ბევრს კარგავდნენ, მაგრამ... უფროსებში (მძიმესა და აბსოლუტურში) ჩვენებმა რამდენიმე იქაურს მოუგეს, ერთ მათგანს კი მარცხის შემდეგ უთქვამს, აქამდე 3 000-დოლარს ხელფასს ვიღებდი, ახლა კი 1000-ს დამიტოვებენო. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რატომაც იხდიდნენ ფულს, ოღონდ კი რუსეთში წარმატებით დაბრუნებულიყვნენ.

ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობა უკმაყოფილო მხოლოდ იმითაა, რომ ბევრად მეტის მიღწევა შეუძლიათ, ბევრად მეტი პოტენციალი გააჩნიათ, მაგრამ ნიჭის რეალიზებას ვერ ახერხებენ, რადგან სრულყოფილად ვარჯიშის საშუალება არ ეძლევათ.

და მაინც, ჩვენები სამოყვარულო სუმოში ერთ-ერთ წამყვან ნაკრებად რჩებიან. *„ევროპაში გუნდურ პირველობაში მთავარი ბრძოლა საქართველოს, რუსეთის, ბულგარეთისა და პოლონეთის გუნდებს შორის მიმდინარეობს. მსოფლიოზე იაპონია და მონღოლეთი ემატებიან, მაგრამ საქართველო მაინც ლიდერთა შორის რჩება"* - ითქვა პრესკონფერენციაზე.

ევროპის შემდეგ დღის წესრიგში მსოფლიოს პირველობისთვის მზადება დგება, რომელიც ეგვიპტურ ალექსანდრიაში უნდა გამართულიყო, მაგრამ იქ შექმნილი პოლიტიკური კრიზისის გამო ესტონეთში გაიმართება, ოღონდ არა ჩემპიონატის, არამედ მსოფლიოს თასის სტატუსით.

ირაკლი თავაძე

სუმო. ნაცვლ ბაშო. 8-22 მაისი

კოკაი, ერთი დღით ელიტაში

დღეს გამოჩნდება, რამდენად სერიოზულია მე-6 მაეგაშირა **ტოჩინოშინის** (**ლევან გორგაძე**) განაცხადი ჩემპიონობაზე. ქართველი დოჰიოზე მე-16 მაეგაშირა **კაისეის** წინააღმდეგ გავა. აქამდე ამ დაპირისპირებაში უპირობო ფავორიტად ტოჩინოშინს შევრაცხავდით, მაგრამ ბრაზილიელმა კაისეიმ სუმოს მთელი სამყარო გააოცა - დებიუტანტმა აქამდე ცხრავე ორთაბრძოლა მოიგო! არც ქართველია ჯაბანი, მან უკვე დაიბევა დადებითი ბალანსი და წინსვლა რეიტინგში, მას შემდეგ, რაც მე-8 ორთაბრძოლა მოიგო.

გუშინ ლევანმა კარიერის რეკორდი დაამყარა - ტოჩინოშინს აქამდე არასოდეს ჰქონია 8-1 ბალანსი, არც მაშინ, როცა ვიცე-ჩემპიონი გახდა. ჩვენებური **ვაკაკოიუს** ხვდებოდა, რომელმაც დიდი ნინააღმდეგობა გაუწია მას. ჯაჯგური საკმაო ხანს გაგრძელდა, ლევანმა ბევრი ძალ-ღონე შეალია იმას, რომ ვაკაკოიუ დოჰიოდან გაეყვანა. ტოჩინოშინი კაისეის კარიერაში პირველად ხვდება, რადგან მასზე გაცილებით ადრე ავიდა ელიტაში მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელზე ახალგაზრდაა.

იყოჩაღა ელიტის უმძიმესმა ფალავანმა **გაგამარუმაც** (**თეიმურაზ ჯუღელი**) - დოჰიოს ცენტრში მისი და ყოფილი ოძეკი **მიაბიამას** ერთობლივი წონა 380 კილოგრამამდე იყო. გაგამარუმ ღონით აჯობა ვეტერანს და რკალს მიღმა გაიყვანა. ჩვენებურს 4-5 ბალანსი აქვს და დღეს მე-9 მაეგაშირა **ტოსაიუტაკას** შეერკინება (3:1 ურთიერთშეხვედრებში).



ძურიოს დივიზიონში გავარდნილი **კოკაი** (**ლევან ცაგურია**) ცუდი სტარტის შემდეგ მოყოჩაღდა - მან ჯერ ზედიზედ 5 შეხვედრა დათმო, შემდეგ კი 4-დან 3-ში იმარჯვა და კარიერის მე-400 მოგებაც იზეიმა. გუშინ ჩვენებურმა 197 სმ სიმაღლის **იოშიაზუმას** ბრწყინვალე ილეთი ჩაუტარა. კოკაის 3-6 ბალანსი აქვს და დღეს, დროებით, უმაღლეს დივიზიონში იჭიდავებს, „შავ ზღვას" ძირძველი მეტოქე ჰყავს - **ტაკამისაკარი**. კოკაი პროფესიულ კარიერაში ყველაზე მეტჯერ სწორედ „რობოტ პოლიციელ" ტაკამისაკარის შეხვედრია, მათ შორის 12:12-ია.

ნაცვ ბაშოს ორი დაუმარცხებელი ლიდერი ჰყავს დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** და კაისეი. მათ კვალში ტოჩინოშინი და ესტონელი ოძეკი **ბარუტო** მიყვებიან 8-8 მოგებით.

IX დღე

მაკუუჩი: ჰაკუჰო-ტაკეკაძე (ოშიდაში), ოკინოუმი-კოტოოშუ (კოტენაგე), კაკურიუ-კაიო (ოშიდაში), ბარუტო-ტოიონოშიმა (იორიტაოში), ჰარუმაფუჯი-არანი (იორიკირი), კოტოშოგიკუ-ჰომაშო (ოშიდაში), კისენსაატო-ტოჩიოძანი (ჰატაკიკომი), გოეიდო-კიტატაიკი (იორიკირი), ამინიშიკი-ვაკანოსატო (ოშიტაოში), ტამავაში-კიოკუტენჰო (ოშიდაში), ტოჩინოშინი-ვაკაკოიუ (იორიკირი), იოშიკაძე-ასასეკირიუ (იორიკირი), ტოჩინონადა-შოტენრო (ცუკიოტოში), ტოსაიუტაკა-კიმურაიამა (იორიკირი), ტოჩინოვაკა-ტაკამისაკარი (ოშიდაში), კაისეი-ტოიოჰიბიკი (უვატენაგე), ტოკიტენკუ-ფუჯიაზუმა (ოკურიდაში), **გაგამარუ**-მიაბიამა (ოშიდაში); **ძურიო: კოკაი**-იოშიაზუმა (შიტატენაგე).

საპერნირო მდგომარეობა

9-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კაისეი (მაეგაშირა 16).
8-1: ბარუტო (ოძეკი), **ტოჩინოშინი** (მ 6).
7-2: კოტოშოგიკუ (სეკივაკე), იოშიაკძე (მ 7).
... **4-5**: **გაგამარუ** (მ 14).

X დღე

მნიშვნელოვანი ბრძოლები - მაკუუჩი: ჰაკუჰო-კისენსატო, კაიოტაკეკაძე, ბარუტო-ჰარუმაფუჯი, კოტოოშუ-არანი, კოტოშოგიკუ-ტოჩინოძანი, ტოიონოშიმა-გოეიდო, კაკურიუ-ჰომაშო, ამინიშიკი-ტამავაში, კიტატაიკი-ოკინოუმი, **ტოჩინოშინი**-კაისეი, **გაგამარუ**-ტოსაიუტაკა, **კოკაი**-ტაკამისაკარი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩოგბურთი

როლან გაროსის წინ

შეიძლება თქვან, **ანა ტატიშვილი** სანუკვარ ასეულს დაშორდაო - 21 წლის ქართველი ახალ რეიტინგში ხომ 107-ეა (ერთი კვირის წინ 105-ე იყო), მაგრამ ეს ასე არ არის - რეიტინგში მთავარი ქულებია, რომლებიც ანას ახლა უფრო მეტი აქვს, ვიდრე გასულ კვირას (648 640-ის ნაცვლად). უბრალოდ, ისე მოხდა, რომ ბოლო კვირაში სწორედ ანას სამეზობლოში (რეიტინგით) მყოფებმა იყოჩაღეს, ბელარუსმა **ანასტასია იაკიმოვამ** კი (რომელიც ზუსტად მე-100 ადგილზეა) ელიტის თამასა საკმაოდ მაღლა ასწია - 676 ქულამდე. ანუ ჩვენს საუკეთესო ჩოგბურთელს მიზნამდე 18 ქულა აშორებს.

ანა წლის რბოლაში 75-ე პოზიციაზეა, ხოლო მისმა საჰონორარო მონაგარმა 250 ათას დოლარს გადააჭარბა. ბოლო ტურნირზე, ფრანგულ სენ გოდენში მან 24 ქულა და 1,2 ათასი დოლარი გამოიმუშავა. ამ კვირაში ტატიშვილი ისვენებს და „როლან გაროსის" ტურნირისთვის ემზადება - კარიერაში პირველად ის „დიდი სლემის" ტურნირის ძირითად ბადეში ითამაშებს.

ოქსანა კალაშნიკოვა 9 საფეხურით დაწინაურდა და 316 ქულით მსოფლიოს 180-ე ჩოგანი გახდა. ამ დღეებში მან წარუმატებლად იასპარეზა ბრიუსელის „ლედის ოუფენზე" (618 ათასი დოლარი), სადაც მეორე საკვალიფიკაციო წრეში ამერიკელ **ებიგეილ სპირსთან** წააგო - 6:7 (6), 4:6. ოქსანას შემდგომი ტურნირი „როლან გაროსია", სადაც ის საკვალიფიკაციო ბადიდან ჩაებმება.

სხვა ქართველები: 232 (-8) **მაკა ჩახნაშვილი** - 237 ქულა; 285 (-11) **სოფიო შაფათავა** - 182; 308 (-2) **თათია მიქაძე** - 161; 385 (+27) **სოფიო ქვაცაბაია** - 106; 493 (-1) **ეკა გორგოძე** - 72; 911 (-131) **მანანა შაფაქიძე** - 14. ვაჟები: 664 (+1) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 25 ქულა; 825 (+3) **ლადო ჩიხლაძე** - 13.

ახალგაზრდულ რეიტინგში 17 წლის **ალექსანდრე მეტრეველი** მსოფლიოს 82-ე ჩოგანია. მის გარდა 500-ეულში არც ერთი ქართველია.

თურქეთის ქალაქ იზმირში 25-ათასიანი ტურნირი დაიწყო, სადაც სამი ქართველია ძირითად ბადეში. ბედის ირონიით, პირველ ნომრად განთესილ შაფათავას პირველივე მეტოქედ ქვაცაბაია ერგო. თანამემამულეები ერთმანეთს მეხუთედ ხვდებიან, აქამდე ძალთა თანაფარდობაა - 2:2. მე-4 ნომრად განთესილი მიქაძე კი ჩეხ **ევა ჰრდინოვას** (379) შეხვდება. მიქაძე და შაფათავა წყვილში თამაშობენ და იზმირში ისინი მე-2 ნომრად განთესეს.

ამერიკულ ლენდისვილში (10 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში 20 წლის **მაგდა ოქრუაშვილი** ჩაება. პირველ წრეში მან მასპინძელ **სიდნი კაცს** 6:0, 6:0 მოუგო. მეორე წრეში ჩვენებური ხორვატ **ბერნარდა პერას** ეთამაშება.

მეხიკოში (მექსიკა, 10 ათასი დოლარი) ნიკოლოზ ბასილაშვილი პირველ წრეში პირველ ნომრად განთესილ მოლდოველ **რომან ბორვანოვს** (290) ხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● მძლეოსნობა

შემობრუნება...

როგორც „ლელოს“ გუშინდელ ნომერში ვწერდით, მძლეოსნობის საერთაშორისო დღეები საქართველოშიც საზეიმოდ აღინიშნა, ეპიცენტრი კი თბილისი და ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი იყო. სადღესასწაულო სტარტების შედეგებიც გუშინვე გაგაცანით, დღეს კი დაპირებულ ინტერვიუს გთავაზობთ.

ალექსი ახვლედიანი, საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი:

„ხუთიოვე კონტინენტის IAAF-ის წევრ 159 ქვეყნის დარად, ჩვენც ზეიმით აღვნიშნეთ მსოფლიოს მძლეოსნობის დღე. ეროვნულ სტადიონზე 200-ზე მეტმა ახალგაზრდა სპორტსმენმა მოიყარა თავი. პაექრობებს ესწრებოდნენ აზერბაიჯანელი და უკრაინელი კოლეგები, რომლებსაც ჩვენს შეჯიბრებებზე შეგირდების ჩამოყვანა სურთ.

ალბათ, ზედმეტია იმის შეხსენება, თუ რა ტრადიციები აქვს საქართველოს მძლეოსნობაში. დასტურად მხოლოდ 11 ოლიმპიური მედლის დასახელებაც კმარა. სამწუხაროდ, დღევანდელი რეალობა ძალიან შორს დგას სახელოვანი წარსულისგან. ეს ვაკუუმი უნდა ამოივსოს. ხელისუფლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, თბილისის მერიის ხელშეწყობით ყველაფერი კეთდება მძლეოსნობაში ტრადიციებისა და უწინდელი დიდების დასაბრუნებლად.

ვისაც ერთხელ მაინც უასპარეზია დიდ სარბიელზე, დამეთანხმება, თუ რა ძნელია უმაყურებლოდ შეჯიბრებაში მონაწილეობა. ჩვენ ეს პრობლემაც გვაწუხებს მძლეოსნობის პოპულარიზაციასა და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად. ამ თვალსაზრისით, უდიდესი საქმე გაკეთდა ჩვენს სახეობაში ფანკლუბის ჩამოყალიბებით. იმედია, დამფუძნებელთა მაგალითს სხვებიც მიჰბაძავენ. მძლეოსნებს ქომაგებიც ეყოლებათ და ჩვენთან მომეცადინეთა რიცხვიც საგრძნობლად გაიზრდება“.

- ინფრასტრუქტურა ახსენეთ. რა მდგომარეობაა რეგიონებსა და დიდუბის მანეჟში, რომელიც ერთ დროს მთელი ამერიკაკავკასიელი სპორტსმენებისთვის ზამთრის პერიოდში საწვრთნელად და საასპარეზოდ შესანიშნავ ბაზას წარმოადგენდა.

- ფედერაცია პირობას ასრულებს: მანეჟში აპრილის ბოლოს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. ოქტომბრის ბოლომდე აქაურობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთილმოეწყობა: დამონტაჟდება გათბობისა და განათების ახალი სისტემები, დაიგება სარბენი ბილიკები, განახლდება გასახდელები, საშხაპეები, სველი წერტილები, სატრენაჟორო და ძალოსნობის დარბაზები. რადგანაც ბოლო დროს შეჯიბრებებზე სპორტსმენებისა და მაყურებელთა რიცხვმა იმატა, გადავწყვიტეთ, კომპლექსში ქომაგთა დასაჯდომი ადგილების რაოდენობა 1500-მდე გავზარდოთ.

რობერტ შავლაყაძე (მარცხნივ) და ალექსი ახვლედიანი

რაც შეეხება რეგიონებს, ქუთაისის ზამთრის მანეჟის ჩვენთვის გადმოცემასთან დაკავშირებული იურიდიული საბუთების მომზადება გაგვიჭიანურდა, თორემ ამ საქმესაც წინ არაფერი უდგას. საქართველოში ნლეულს დაიწყება ხუთი ახალი სტადიონის მშენებლობა, რომლებიც სარბენი ბილიკებითა და მძლეოსნური სექტორებით იქნება დამშვენებული. ამით ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემა გარკვეულწილად მოგვარდება.

- ნლეულს ფრანგ კოლეგებთან ურთიერთთანადგომისა და დახმარების ხელშეკრულება გააფორმეთ. ამ დოკუმენტის შესაბამისად რა კეთდება?

- საქართველოს მძლეოსანთა ნაკრებმა 8 მაისს დაიწყო და 29-ში დაამთავრებს საწვრთნელ შეკრებას. ერთკვირიანი შესვენების შემდეგ სნორედ ფრანგებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე 30-კაციანი გუნდი 4 ივნისს პარიზში გაემგზავრება ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად. ეს შეჯიბრება 17-19 ივნისს რეიკიავიკში გაიმართება. თბილისიდან ისლანდიაში ჩასვლას 11-12 საათი მაინც დასჭირდება. ჩვენები კი კონტინენტის პირველობაზე პირდაპირ პარიზიდან გაემგზავრებიან და გზას 3-4 საათში დაფარავენ. თანაც აკლიმატიზაციის პრობლემაც მოგვარდება.

4 ივნისიდან თბილისში დაიწყება 1997-1998 ნლებში დაბადებულ გოგონათა და ვაჟთა საწვრთნელი შეკრება. ეს ის თაობაა, 2015 ნელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში რომ უნდა იასპარეზოს. ამიტომ მათს მომზადებას აქედანვე ვაქცევთ დიდ ყურადღებას. ივლისის პირველ დეკადაში 20-30 მოზარდი პარიზში გაემგზავრება და იქაური მწვრთნელების დახმარებით განაგრძობს ერთთვიან წვრთნას.

- ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი ნლეულსაც გაიმართება. ევროპელ გოგო-ბიჭებს ტრაბზონი უმასპინძლებს...

- ეროვნულ ნაკრებთან ერთად შეკრებას გადიან ის ახალგაზრდებიც, რომლებმაც ნლეულს თურქეთში უნდა მოსინჯონ ძალები. ზაფხულში, ასევე, ჭაბუკთა და ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზეც უნდა გამოვიდეთ ლილში (საფრანგეთი). აგვისტოს მინურულს სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატია კორეაში. შეკრებების უწყვეტი რიტმი სწორედ ამ ტურნირებისთვის უკეთ მოზადებას ემსახურება.

მსოფლიოს მძლეოსნობის დღისადმი მიძღვნილ ტურნირში ბევრი პერსპექტიული, ნიჭიერი მოზარდი გამოჩნდა და ისეთი შედეგები აჩვენეს, რომ ფედერაციას, ალბათ, ტრაბზონში წამსვლელთა რაოდენობის გადახედვა მოუწევს, თუ ეს გოგო-ბიჭები მომდევნო შაბათ-კვირას ახალგაზრდების საქართველოს პირველობასა და 28-29 მაისს ეროვნულ ჩემპიონატზეც იყოჩაღებენ...

მათე ტაკიძე, მძლეოსანთა ფანკლუბის დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი: „ფედერაციის პრეზიდენტის ალექსი ახვლედიანის იდეას - შექმნილიყო მძლეოსნობის ფანკლუბი, ჩემთან ერთად აქტიურად გამოეხმაურნენ საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებები - დავით დოიაშვილი, ნიკა მემანიშვილი, ზაალ უდუმაშვილი, ინგა გრიგოლია, ნინი ბადურაშვილი, მაია ასათიანი, ნანიკო ხაზარაძე, შორენა ბეგაშვილი, ზურაბ ჯიქია, დავით გეგენავა და სხვები. ჩვენი მიზანია მძლეოსნობის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა, ქართველ ათლეტებს ვუქომაგოთ შინ და გარეთ. მით უმეტეს, რომ ბოლო დროს ბევრი რამ კეთდება სპორტის ამ სახეობაში. აი, მაგალითად, მძლეოსნობაში სასკოლო ჩემპიონატის პირველი ეტაპი ჩატარდა, რომელშიც 3000-მდე მოზარდი მონაწილეობდა. მალე რეგიონული და ფინალური ორთაბრძოლებიც გაიმართება. მასში უმთავრესად იმ ასაკის გოგონები და ბიჭები მონაწილეობენ, რომლებმაც 2015 ნელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში უნდა იასპარეზონ. სწორედ, ამ მოზარდებს სჭირდება ჩვენი მხარდაჭერა. ცხადია, უფროსებსაც. ფანკლუბის ნევრები დავესწრებით საქართველოს პირველობებს, ასევე, რეიკიავიკში ევროპის ჩემპიონატსა და ტრაბზონში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს. ვეცდებით, აქტიური ქომაგობით ქართველ სპორტსმენთა წარმატებებში ჩვენი ნვლილი შევიტანოთ“.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

● კრივი

ჯაბა ხოსიტაშვილი

შეგირდებს მედლები, მწვრთნელს აღიარება

ქართველი მოკრივეები **რამაზ ფალიანის** ხელმძღვანელობით წარმატებებზე არიან ორიენტირებულნი და დროდადრო გვახარებენ კიდეც მიღნევებით. გაჩნდა იმედი, რომ ქართული კრივის დიდება წარსულში არ ჩარჩება და უთუოდ მიაღნევს სასურველ მიზანს.

ამ დღეებში ჩვენმა სამმა მოკრივემ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ალმა-ატაში გამართულ საგაბატ ნურმაგანბატოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირში. „ვერცხლი“ ნილად ხვდა **ჯაბა ხოსიტაშვილს** (75 კგ), „ბრინჯაო“ - **ზაალ კვაჭატაძეს** (69) და **მიხეილ ბახტიძეს** (+91). შეჯიბრებაში 15 ქვეყნის მოკრივეები მონაწილეობდნენ.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის საუკეთესო მწვრთნელად საქართველოს ნაკრების თავკაცი რამაზ ფალიანი დასახელდა.

თენგიზ თომაშვილი

ზაალ კვაჭატაძე

ალიევის ტურნირზე

ბაქოში კი ჩვენმა ჭაბუკმა მოკრივეებმა ჰაიდარ ალიევის საერთაშორისო ტურნირში გამოიჩინეს თავი. 15 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის რინგზე დაძაბულ ბრძოლებში ქართველებმა 5 მედალი მოიპოვეს. მეორე ადგილზე გავიდნენ **ჯემალ შალამბერიძე** (60) და **ირაკლი ქათამაძე** (70); ბრინჯაოს მედლები ერგოთ **დიმიტრი კოპაძეს** (63), **ვასილ წინილაშვილს** (75) და **ლაშა ღვალაძეს** (80).

სამინისტროს პრესსამსახური

● გამოფენა

ჯემალ კვანტალიანის სპორტული სამყარო

ქართული სპორტის წინაშე ვის არ მოუხდია ვალი - მწერლებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, კინოს თუ თეატრის წარმომადგენლებს, მაგრამ არა გვგონია (დათვლა ძნელია), ვინმეს იმდენი კარიკატურა შეექმნას ქართულ სპორტზე და სპორტსმენებზე, რამდენიც წარსულში ცნობილ ტანმოვარჯიშეს და მოკრივეს, სპორტის ოსტატს, პროფესიით მშენებელ ინჟინერს, თბილისის მხატვართა კავშირის წევრს **ჯემალ კვანტალიანს** შეუქმნია. მისი ნამუშევრების, რომელთა შორის ბევრი უკვე შედევრია, დათვლა ნამდვილად შეიძლება - ავტორმა მათ მ. ბერძენიშვილის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ პერსონალურ გამოფენაზე, ერთად მოუყარა თავი. უამრავი მნახველი დაესწრო გამოფენის გახსნას. მათ შორის იყვნენ ჩვენი ქვეყნის კულტურის, ხელოვნების, სპორტის თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ცნობილი წარმომადგენლები.

ნამუშევრები მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული და, რაც მთავარია, კარიკატურებში მოჩანს სპორტის ღრმა ცოდნა, რაც მათ ხიბლს მატებს. მთავარი კი ალბათ, მაინც ის არის, რომ ავტორმა ქართული სპორტის წარსული ათნლეულების სუნთქვა და რიტმი, ლეგენდარული და სხვა გამოჩენილი ქართველი სპორტსმენების უკვდავი სახეები შემოუნახა ქართული სპორტის, და არა მარტო სპორტის ისტორიას. გამოფენაზე აგრეთვე წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის ცნობილი პიროვნებების პორტრეტები.

„ვხატავდი ბავშვობიდან. პირველი ნამუშევარი თბილისის „დინამოს“ გაჩემპიონებას მივუძღვენი. იმ თაობის ყველა ფეხბურთელი ჩემი მეგობარი იყო და მათი შარჟი გავრილ კაჩალინთან ერთად გაზეთ „თბილისში“ გამოვაქვეყნე. გათამამებულმა ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთში, მათ შორის „ნიანგში“ დავიწყე თანამშრომლობა. ვოცნებოდი პერსონალურ გამოფენაზე და ეს ოცნება საქართველოს პენსიონერთა კავშირის, კრივის ეროვნული ფედერაციისა და საგამოფენო დარბაზის დირექტორის დავით გეგელაშვილს თანადგომით 73 ნლის ასაკში ამისრულდა. მადლობა ყველას“. - გვითხრა ჯემალ კვანტალიანმა.

თენგიზ თომაშვილი

გამოფენაზე წარსულში ცნობილი „ლელოს“ ფოტორეპორტიორის მიხეილ ზარგარიანის („პროფესორა“) ეს მეგობრული შარჟიცაა წარმოდგენილი.

● ქართული ჭიდაობა

უმრავლესობა არ მონაწილეობდა, რატომ?

ზუგდიდში გაიმართა ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში (მთავარი მსაჯი - ჩოხიანი ჭიდაობების ერთ-ერთი პირველი მწვრთნელი ზუგდიდში **ედვარდ კვიციანი).**

იჭიდავეს ფოთის, ლანჩხუთისა და ზუგდიდის წარმომადგენლებმა. არადა შეჯიბრება ითვალისწინებდა სამეგრელოს, გურიის და ზემო სვანეთის რაიონების მონაწილეობას. გამოდის, რბილად რომ ვთქვათ, პატივს არ სცემენ ქართულ ჭიდაობას ოზურგეთში, ჩოხატაურში, მარტვილში, ხობში, ჩხოროწყუში, წალენჯიხაში, აბაშაში, სენაკში... გაგვაკვირვეს მესტიელებმაც, რომლებიც ბოლო დროს ქართულ ჭიდაობაში ერთგვარად გააქტიურდნენ, მაგრამ ზუგდიდში ჩამოსვლას რატომღაც თავი აარიდეს...

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: **დავით ნადარეიშვილი** (60 კგ), **ვალერი გიგიბერია** (66 კგ, ორივე-ფოთი), **ირაკლი სანაია** (73 კგ), **ოთარ ახალაია** (81 კგ, ორივე-ზუგდიდი), **ავთანდილ მიშველაძე** (90 კგ, ფოთი) და **კახა აფხაზავა** (+90 კგ, ლანჩხუთი).

ზონალურ პირველობამდე ზუგდიდში „საკონსერვოს“ ნახერხმოყრილ მოედანზე გაიმართა ზუგდიდის ღია ფალავნობა (აბსოლუტური პირველობა) ქართულ ჭიდაობაში. უძლიერესის სახელი **მურმან ჭანტურიამ** (ზუგდიდი) მოიპოვა.

გაბრიელ ბარბაკაძე
ზუგდიდი

● აიკიდო

ჩემპიონატი და ფესტივალი - ჩინებულია!

რიგით მეცხრიდ საქართველოს ჩემპიონატს (ნლეულს ფესტივალიც დაემატა) აიკიდოში ძიუდოს აკადემიის დარბაზმა უმასპინძლა. პირველად ახლა რუსეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. აგვისტოში აიკიდოში მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონატი ტარდება ლონდონში და ამიტომაც დაინტერესდნენ ჩვენთან ჩამოსვლით მეზობლები. აზერბაიჯანელებმა კარგი მომზადებით გამოიჩინეს თავი, ისევე როგორც ფოთის ტაკამუსუ აიკიდოს კლუბის ნევრებმა.

განმარტება: აიკიდო სენსეი **მორიჰეიმ უესიბას** მიერ შექმნილი იაპონური საბრძოლო ხელოვნებაა. სენსეის მიზანი იყო ყველა უდიდესი მებრძოლის მიღწევების შემცველი საბრძოლო ხელოვნების შექმნა.

იაპონურად **აი**-კომბინაცია, გაერთიანება; **კი**-სული, ენერგია, მორალი; **დო**-გზა.

ახლა კი გაგაცნობთ მონაწილე კლუბებიდან ცალკეულ ასაკში და პროგრამაში საქართველოს 2011 ნლის ჩემპიონატში გამარჯვებულებს: **არმენ სარქისიანი** (ვარკეთილი); **ლაშა როსტომაშვილი** (დიღომი/ვაკე); **ალექსანდრე ედიშერაშვილი/ილია ლოლაშვილი** (ვარკეთილი); **ლუკა ჩუბინიძე** (ვაკე); **ალექსანდრე მიდოიანი** (ვაკე); **გიორგი ნოზაძე** (დიღომი); **ლაშა როსტომაშვილი.**

გამარჯვებულები და პრიზიორები

საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა ლაშა როსტომაშვილი.

„მომავალში ფესტივალის მასშტაბი გაფართოვდება. იმედია, საქართველოში მოქმედი აიკიდოს სხვა მიმართულებების სპორტსმენები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან ამ ღონისძიებაში“, - თქვა საქართველოს ტომიკი აიკიდოს ფედერაციის პრეზიდენტმა **ვახტანგ სიხარულიძემ.**

თენგიზ თომაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ

41 ქართული ქულა და დაწყებულ-არდაწყებული 1/4 ფინალი



ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ჩემპიონატის რეგულარული ეტაპი მაჟორულ ნოტაზე დაასრულეს ქართველთა კლუბებმა. **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ“ შინ „ვარეზეს“ სძლია (75:66), ხოლო **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსმა“ ბოლო წამებზე გამოგლიჯა გამარჯვება „ტერამოს“ - 96:94. ამ წარმატებებში 30 ქულა ქართული იყო: მარკოიშვილმა 16, ხოლო სანიკიძემ 14 ქულა ჩააგდეს.

■ ■ ■

კანტუელებმა „ვარეზეს“ ძლევას ბევრი ოფლი შეალიეს. საქმე ისაა, რომ სტუმრები პირველ პერიოდში 22:7 დანინაურდნენ. თუმცა, „კანტუს“ უნდა დაემტკიცებინა, რომ კარგი დასაწყისი საქმის ნახევარი არ არის. ასეც მოიქცა: მეორე პერიოდი მარკოიშვილმა სამქულიანით გახსნა, ამას მოჰყვა **ორტნერისა** და იმავე მანუს ოთხი ქულა და ყინულიც დაიძრა. მოკლედ, მეორე პერიოდში ქართველმა უკანახაზელმა 9 ქულა ჩააგდო, „კანტუმ“ კი 15-ქულიანი ჩამორჩენა ხუთამდე დაიყვანა. ათამაშებული კანტუელების შეჩერება „ვარეზეზე“ ძლიერ გუნდებსაც უჭირთ და რა გასაკვირია, თუ მესამე პერიოდში მარკოიშვილის გუნდმა მეტოქეს გადაასწრო, ხოლო მეოთხეში შეხვედრა მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე. ეს პირველ რიგში მანუს დამსახურებაა, რომელმაც ბოლო რაუნდი ორი სამქულიანით დაიწყო და თანაგუნდელებს სირენამდე 7 წუთით ადრე 8-ქულიანი უპირატესობა მოუტანა - 66:58.

მანუჩარი მატჩის საუკეთესო კალათბურთელი იყო (ყველაზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტით - 21): 26 წუთი, 16 ქულა, 1 მოხსნა 3 პასი. მან პერიმეტრიდან რობინ ჰუდის სიზუსტით სტყორცნა: 3-დან 3 სამქულიანი, 6-დან 3 ორიანი, 2-დან 1 საჯარიმო). **ორტნერმა** და **მარაცინომ** 13-13 ქულა შეაშველეს, დანარჩენი კანტუელები 10-ქულიან ზღვარს ვერ ასცდნენ.

- რეგულარული ეტაპი მეორე ადგილზე დავასრულეთ, რაც ჩვენი გუნდისთვის ისტორიული შედეგია. ახლა ყველაფერი თავიდან იწყება, პლეი ოფში ისევ „ვარეზეს“ ვხვდებით და გაცილებით რთული ბრძოლები გველის, - ივარაუდა ნამატჩევს „კანტუს“ დამრიგებელმა **ანდრეა ტრინჩიერიმ**.

მისი სიტყვებიდანაც მიხვდებოდით, რომელ ადგილზე დაასრულა გუნდმა რეგულარული. „კანტუმ“ 30-დან 22 მატჩი მოიგო და 1 გამარჯვებით გაასწრო მესამეადგილოსან „მილანს“. თუ ეს ორი გუნდი ნახევარფინალში გააღწევს, მოედნის უპირატესობა „კანტუს“ მხარეს იქნება. მანამდე მეოთხედფინალია, რომელშიც მარკოიშვილის თანაგუნდელები „ვარეზეს“ დაეჭიდებიან. სერია, რომელიც სამ მოგებამდეა, 18 მაისს გაიხსნება...

1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

18 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲙᲐᲜᲢᲣ-ᲕᲐᲠᲔᲖᲔ

20 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲙᲐᲜᲢᲣ-ᲕᲐᲠᲔᲖᲔ

22 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲕᲐᲠᲔᲖᲔ-ᲙᲐᲜᲢᲣ

24 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲕᲐᲠᲔᲖᲔ-ᲙᲐᲜᲢᲣ*

26 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲙᲐᲜᲢᲣ-ᲕᲐᲠᲔᲖᲔ*

** - თუ საჭირო გახდა*

■ ■ ■

ვიქტორ სანიკიძის „ვირტუსმა“ ბეწვის ხიდზე გაიარა - „ტერამოსთან“ კინალამ შინ დამარცხდა, თუმცა ბოლონიელთა უახლოესმა მდევარმა „რომამ“ „მონტეპასკისთან“ წააგო და მეოთხედფინალში გამსვლელი საგზური „ვირტუსს“ დარჩა (მერვე ადგილზე გავიდა).

ᲜᲘᲙᲐ ᲪᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ყოფილ კლუბ „ტერამოსთან“ მატჩის პირველ პერიოდში სანიკიძემ შეუცვლელად ითამაშა და 6 ქულა ჩააგდო, იყო ეფექტური ჩატენვებიც. მეოთხედი ბოლონიელებმა 22:17 მოიგეს, თუმცა მეორე და მესამე ათწუთეულებში ტერამოელები მცირე უპირატესობას დაეუფლნენ და გადამწყვეტი მეოთხედის წინ 71:67 დაწინაურდნენ. მეტსაც გეტყვით: საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე **ჯოშ დევისის** ორქულიანით „ტერამო“ 9 ქულით წინ გაიჭრა - 88:79. თუმცა ზუსტად ერთ წუთში „ვირტუსი“ 7:0 გაიქცა (2 ქულა სანიკიძისა იყო) და სხვაობა ორამდე შეამცირა. დარჩენილ დროში თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა და გადამწყვეტ მომენტში ბედმა ბოლონიელებს გაუღიმა - 96:94.

ოქმში ვიქტორის მონაგარიც მკაფიოდ ჩანს: 29 წუთში 14 ქულა (6-დან 5 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო), 5 მოხსნა, 2 პასი.

რადგან ბოლონიელები მერვე ადგილზე გავიდნენ, მეოთხედფინალში რეგულარულის მომგები სიენას „მონტეპასკი“ ერგოთ. „ვირტუსის“ კალათბურთელებს ერთით მეტი მატჩი რომ მოეგოთ, სიენელებს ასცდებოდნენ, „კანტუს“ გადაეყრებოდნენ და შარშანდელი მეოთხედფინალი განმეორდებოდა. თუმცა, ალბათ ასე სჯობდა - სანიკიძის დადებითი თვისებები საჯაროდ სწორედ ევროგრანდ „მონტეპასკისთან“ მატჩში გამოჩნდება. ვიქტორი მეოთხედფინალებს მარკოიშვილზე ერთი დღით გვიან იწყებს.

1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

19 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲛᲝᲜᲢᲔᲞᲐᲡᲙᲘ-ᲕᲘᲠᲢᲣᲡᲘ

21 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲛᲝᲜᲢᲔᲞᲐᲡᲙᲘ-ᲕᲘᲠᲢᲣᲡᲘ

23 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲕᲘᲠᲢᲣᲡᲘ-ᲛᲝᲜᲢᲔᲞᲐᲡᲙᲘ

25 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲕᲘᲠᲢᲣᲡᲘ-ᲛᲝᲜᲢᲔᲞᲐᲡᲙᲘ*

27 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲛᲝᲜᲢᲔᲞᲐᲡᲙᲘ-ᲕᲘᲠᲢᲣᲡᲘ*

** - თუ საჭირო გახდა*

■ ■ ■

იტალიის მეორე ლიგის პლეი ოფში წარმატებით **ჩაება ნიკა მეტრეველის** „რიმინი“ - „პრიმა ვეროლის“ ორივე საშინაო მატჩი მოუგო და ახლა ამავე გუნდს სტუმრად ეთამაშება. მეოთხედფინალური სერია სამ მოგებამდეა.

„რიმინიმ“ პირველ შეხვედრაში 76:59 იმარჯვა. წარმატებაში 8-ქულიანი წვლილი შეიტანა მეტრეველმა, რომელმაც 7-დან 4 ორქულიანი ჩააგდო და 3 მოხსნას 1 ჩაჭრაც მიამატა. მან ეს ყველაფერი 14 წუთში მოასწრო.

ნამატჩევს „რიმინის“ მთავარმა მწვრთნელმა **ატილიო კაჯამ** აღნიშნა - ახალგაზრდა ქართველმა გუნდს ენერგია შემატა, გამარჯვებაში ძალიან დაგვეხმარაო.

როგორც გითხარით, „რიმინიმ“ „პრიმა ვეროლის“ მეორედაც მოუგო - 66:58. მეტრეველმა 11 წუთი ითამაშა, 3 ქულა და თითო მოხსნა-პასი-ჩაჭრა-დაფარება გაიფორმა. დროის ამ მცირე მონაკვეთში მან 4 ჯარიმა მიიღო.

მეოთხედფინალური სერიის მესამე მატჩი „პრიმა ვეროლის“ მოედანზე 17 მაისს გაიმართება.

შერმადინი NBA-ს ზღურბლთან

2011-12 წლების სეზონში NBA-ში შესაძლოა კიდევ ერთი ქართველი ცენტრი ვიხილოთ - **გიორგი შერმადინი**, რომელმაც ამერიკული კლუბების ყურადღება ევროლიგაზე თამაშით მიიქცია. მისი აგენტი **ლევან მიქელაძე** აცხადებს, რომ NBA-ს ორი კლუბი გამოხატავს დიდ ინტერესს, თუმცა გუნდების ვინაობას არ ასახელებს - წინასწარ ამ ინფორმაციის გაცემა არ შეიძლებაო.

- 2 გუნდი მზადაა, შერმადინი დრაფტზე აირჩიოს. მათგან ერთი პირობას დებს, რომ გიორგის გუნდის ძირითადი ცენტრის მთავარ შემცვლელად აიყვანს. ეს ყველაფერი ვერ მოხერხდება, თუ NBA-ში ლოკაუტი გამოცხადდება, მაგრამ ჩვენ ამაზე ნაკლებად ვნერვიულობთ, რადგან მომავალ სეზონში გიორგის გარანტირებული კონტრაქტი აქვს ევროლიგის მოქმედ ჩემპიონ „პანათინაიკოსთან“, - ამბობს ლევან მიქელაძე და დასძენს:

- შერმადინს 22 წელი შეუსრულდა და ავტომატურად უწევს NBA-ს დრაფტში მონაწილეობა. მე და გიორგი დავესწრებით დრაფტის ცერემონიას, რომელიც 23 ივნისს ნიუ ჯერსიში გაიმართება.

მანამდე ქართველი ცენტრი წინასადრაფტო კემპში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც 11-13 ივნისს გაიმართება. მას NBA-ს კლუბების სკაუტები დაესწრებიან. თუმცაღა, არის ერთი შემაფერხებელი გარემოება - შესაძლოა, სლოვენიის ჩემპიონატის პლეი ოფი ივნისის შუამდე გაიწელოს. თუ ასე მოხდა, შერმადინმა შესაძლოა კემპს ვერ ჩაუსწროს.

- ტრევიზოს კემპზე მიწვეული ვარ, მაგრამ ამ ეტაპზე არც მასზე ვფიქრობ და არც NBA-ს დრაფტზე - სლოვენიის ჩემპიონატს ვთამაშობ და მთლიანად მასზე ვარ კონცენტრირებული. რეგულარულ ეტაპზე კრკა-მ გაგვასწრო, თუმცა ეს ჩემპიონობის დაკარგვას არ ნიშნავს, თუ ფინალში ამ გუნდს შევხვდით, ვეცდებით მოედნის უპირატესობა დავათმობინოთ, - გვითხრა შერმადინმა და იქვე გაიხსენა ბოლო ტურის მატჩი „ზლატოროგთან“:

- იგი ჩვენი უშუალო კონკურენტი იყო და მისსავე მოედანზე იოლად დავამარცხეთ. არადა, ამ გუნდთან პირველ წრეში შინ წავაგეთ. ახლაც მიჭირს საშინაო მარცხის მიზეზების პოვნა...

შაბათს „ოლიმპიამ“ „ზლატოროგს“ 70:55 მოუგო. გიორგი შერმადინმა 11 წუთი ითამაშა, 9 ქულა (4-დან 3 ორქულიანი, 3-დან 3 საჯარიმო), 2 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. ოლიმპიას გამოცდილმა ფორვარდმა **ვლადიმერ ბოისამ** 8 წუთში, 4 ქულა ჩააგდო და ბურთი ერთხელ მოხსნა.

ᲮᲔᲚᲛᲝᲪᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲔᲞᲘᲜᲡᲢᲔᲠᲘ

ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ ჩემპიონატის პლეი ოფში თამაში კარგი შანსი ჰქონდა **თორნიკე შენგელიას** „პეპინსტერს“. ამისთვის საჭირო იყო თანაბარძალოვანი „ლუვენი“ შინ მინიმუმ ორი ქულის სხვაობით დაემარცხებინა. თუმცა ადგილობრივი ქომაგის თვალწინ „პეპინსტერმა“ ბოლო წუთებზე დათმო „ლუვენთან“ (67:71) და სეზონიც ნაადრევად დაასრულა.

თანაგუნდელები ვერც ახალგაზრდა ქართველმა ფორვარდმა იხსნა - შენგელიამ 14 წუთში 3-3 ქულა-მოხსნა-ფოლი-შეცდომა ჩაიწერა.

რეგულარული ეტაპი „პეპინსტერმა“ მე-7 ადგილზე ჩაამთავრა (11 მოგება, 21 მარცხი), ხოლო მეექვსეადგილოსანმა „ლუვენმა“ 13 მატჩი მოიგო.

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲑᲣ

ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ ჩემპიონატის ფინალური სერია სუსტად ჩაატარა **გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკმა“, რომელმაც 0:4 წააგო „კალევთან“.

იყო სერიაში ანგარიშის დასველების შანსი - მეოთხე შეხვედრაში „როკმა“ ძირითადი დრო 77:77 დაასრულა, თუმცა საკუთარი პუბლიკის წინაშე მაინც ვერ მოახერხა „კალევის“ საბოლოოდ გატეხვა. შეხვედრა ტალინელებმა 89:86 მოიგეს.

„როკისა“ და საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა გიორგი ცინცაძემ სეზონი მსუყე მონაგარით დაასრულა. მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, თუმცა მოედანზე 32 წუთი გაატარა, 13 ქულა, 3-3 მოხსნა-ჩაჭრა და 7 პასი მიითვალა. ბუმ (ცინცაძის მეტსახელი) მაღალი პროცენტული სიზუსტით ისროლა: 6-დან 3 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი და 4-დან 4 საჯარიმო. „როკის“ ბომბარდირი 20 ქულით **სოკი** გახდა.

ასე და ამგვარად, ცინცაძემ თავის ტიტულებს ესტონური ვერცხლი შემატა. შეგახსენებთ, რომ იგი „როკერებთან“ ერთად ესტონეთის ჩემპიონი ორჯერ გახდა - 2007 და 2008 წლებში, ხოლო 2009-ში და წლეულს ვერცხლს დასჯერდა.

წლევანდელ სეზონში გიორგი ესტონეთის ჩემპიონატის 33 მატჩში საშუალოდ 20 წუთში 7.8 ქულას, 3.2 მოხსნას, 3.2 პასსა და 1.8 ჩაჭრას აგროვებდა. 2008-09 წლების სეზონში, როცა ესტონეთის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა ბუს მონაგარი ასეთი იყო: 30 მატჩი, 27.6 წუთი, 10.5 ქულა, 4.2 პასი, 3.5 მოხსნა.

საკალათბურთო კლუბი „სოხუმი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ თბილისში გარდაიცვალა ჩვენი გუნდის აღორძინების ერთ-ერთი ინიციატორის, კლუბის პრესსამსახურის უფროსის თენგიზ პაჭკორიას დედა ქალბატონი

ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲥᲐᲯᲐᲘᲐ-ᲞᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ

პანაშვიდი 17, 18, 19, 20 მაისს; დაკრძალვა 21 მაისს

მის: გლდანი, I მიკრორაინი, კორპუსი 21, X სადარბაზო

ლელოელები საშინაურს ვუცხადებთ აფხაზეთში წლების განმავლობაში ჩვენი გაზეთის საკუთარ კორესპონდენტს თენგიზ პაჭკორიას ᲓᲔᲓᲘᲡ გარდაცვალების გამო.

● ახალგაზრდული ალაფი, U-20

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

საქართველო U-20-ლოკომოტივი

ჭაბუკები ალაფისთვის მზადებას განაგრძობენ

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა, რომელიც 24 მაისიდან თბილისში „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე" იასპარეზებს, საწვრთნელი შეკრება ერთ კვირის წინ დაიწყო და „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" ინტენსიურად ემზადება.

გუშინ კი „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" საწვრთნელი შეხვედრა გამართეს საქართველოს ჩემპიონ, თბილისის „ლოკომოტივთან". თამაში 20-წლამდელთა გამარჯვებით დასრულდა. იქამდე კი ჩვენმა ჭაბუკებმა, აპრილის ბოლოს, თბილისში სტუმრად მყოფ ფრანგული „კლერმონის", ერთი წლით უფროსი მორაგბეებით დაკომპლექტებულ გუნდს მოუგეს.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი მორაგბეები „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე" B ჯგუფში იასპარეზებენ. 24 ივნისს „უმცროსი ბორჯღალოსნები" კანადის ნაკრებს დუპირისპირდებიან, 28 ივნისს მეტოქე ზიმბაბვეელი თანატოლები იქნებიან, ბოლო მატჩში კი ჯგუფის ფავორიტ იაპონიას ვეთამაშებით.

ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში, ჩვენი გუნდი A ჯგუფის გამარჯვებულს შეხვდება, სადაც სამოას, აშშ-ის, რუსეთისა და ურუგვაის ნაკრებები იბრძოლებენ პირველობისთვის. „მსოფლიო ახალგაზრდული ალაფის" მფლობელი კი მომავალ წელს, სამხრეთ აფრიკაში გასამართავ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე იასპარეზებს.

ფინალი „ავჭალის სტადიონზე" 5 ივნისს გაიმართება.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებს, ამ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებისთვის საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **პაატა ნარიმანაშვილი** და **ზურაბ ამონაშვილი** ამზადებენ. საქართველოში მოასპარეზე მორაგბეების გარდა გუნდში სამი ლეგიონერია, შერკინების ბურჯი **ლევან ჩილაჩავა,** მეორეხაზელი **კონსტანტინე მიქაუტაძე** (ორივე-ტულონი) და შუამარბი **დავით ლოსაბერიძე** (ბონი)

საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: **ლევან ჩილაჩავა** (ტულონი), **ზაზა ნავროზაშვილი** (არმია), **ზურაბ ერისთავი, ზურა ჟვანია, მერაბ მატკავა** (სამივე-აია), **ირაკლი ჩომახაშვილი** (არმაზი).

IIხაზი: **ხვიჩა ბუჯიაშვილი** (ლოკომოტივი), **კოტე მიქაუტაძე** (ტულონი), **გიორგი ულენტი** (არმია).

IIIხაზი: **ბექა ბიწაძე** (არმია), **გიორგი ტყეშელიაძე** (ყოჩები), **გიგა თხილაიშვილი** (ბათუმი XV), **ლევან თხელიძე** (ლელო).

№9: **ჯიმი ღამბაშიძე** (ლელო), **გიორგი მისრიაშვილი** (არმაზი).

№10: **გოდერძი ჭინჭარაული** (ლელო), **ლუკა კვარაცხელია** (ყოჩები).

№12-13: **გიგა გაგოშვილი** (ლოკომოტივი), **დავით ლოსაბერიძე** (ბონი), **გიორგი მარგიანი** (აკადემია)

№11-14: **გიორგი აბრამიძე** (აია), **ვანო გაბროშვილი** (არმახზი), **ლევან გოგოლაშვილი** (აკადემია)

№15: **ზურა ძნელაძე** (აია), **ბახვა კობახიძე** (არმია), **უჩა მჭედლიშვილი** (ლელო).

● ლეგიონერები

ირაკლი ნატრიაშვილმა ელიტაში შეაბიჯა

საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭი **ირაკლი ნატრიაშვილი** საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ბრივში" ჩაირიცხა. ეს გუნდი ქართველი მორაგბეებისთვის ახალი არ არის. ბრიველების თავკაცი **უგო მოლა** კარგად იცნობს და აფასებს ჩვენებურ პირველხაზელებს. ის ერთი ხანობა ლეგენდარული ქართველი მორაგბის **ლევან (ლეონსიო) ცაბაძის** თანაგუნდელიც იყო.

„ბრივში" ამჟამად კიდევ ორი ქართველი, საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯები **დავით ხინჩაგიშვილი** და **ვასილ კაკოვინი** თამაშობენ. ბრივში ჩასულ ნატრიაშვილს სპეციალური ტესტები ჩაბარებინეს. გუნდის მწვრთნელები კმაყოფილნი დარჩნენ მისი როგორც ფიზიკური კონდიციებით, ისე ტექნიკური არსენალითა და ტაქტიკური აზროვნებით. შედეგად, „ბრივმა" ქართველ შერკინების კვაჭს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

შეგახსნებთ, ნატრიაშვილი შერკინების მეორე კვაჭია (№2), ვინც საფრანგეთის ელიტური დივიზიონის გუნდში იასპარეზებს. აქამდე ელიტაში, სხვადასხვა გუნდებში, წლების განმავლობაში მხოლოდ **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი) თამაშობდა.

მარცხნივ ირაკლი ნატრიაშვილი

● მეტოქეები

პუმეები 45 მორაგბეს შეარჩევენ

ახალ ზელანდიაში გასამართავ მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე, არგენტინის ეროვნული გუნდი 4 ივნისს „ფრანგ ბარბაროსებს" დაუპირისპირდება საწვრთნელ შეხვედრაში.

არგენტინელთა მთავარმა მწვრთნელმა **სანტიაგო ფელანმა** 45 მორაგბე შეარჩია, რომელთაგან საბოლოოდ 30-ს ახალ ზელანდიაში იახლებს. მორაგბეთა ამ ჩამონათვალში არ არის მგეზავი ხუან **მარტინ ერნანდესი,** რომელმაც ერთი თვის წინ ფეხზე საკმაოდ მძიმე ოპერაცია გადაიტანა და, ახლა, ყველანაირად ცდილობს, მსოფლიო თასის გათამაშების დაწყებამდე გამოჯანმრთელდეს.

ფელანმა გაფართოებულ შემადგენლობაში „პამპასების" ცხრა მოთამაშე შეიყვანა. ამ გუნდმა სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატის, „ვადაკომ კაპის" ფინალში, პრეტორიის „ბლუ ბულზის" დამარცხება შეძლო. ესენი არიან: **ოგუსტინ კრივი, მაქსიმილაინო ბუსტოსი, ბანხამონ მაკომი, მარიანო გალარსა, მიგელ დე აჩავალი, ლეონარდო სენატო, ნიკოლას სანჩესი, ხუან ხოსე იმხოფი** და **აგუსტინ გოსიო.**

აღსანიშნავია, რომ „ფრანგი ბარბაროსების" წინააღმდეგ სავარაუდოდ ვერ ითამაშებენ, **მარიო ლედესმა, მარტინ სკელსო** (ორივე-კლერმონი), **პატრისიო ალბასეტე** (ტულუზი), **ნიკოლას ვერგალო, ალბერტო ბასუალდო, ალვარო გალინდო** (სამივე-მეტრო რასინგი), **ხუან პაბლო ორლანდი , ხუან ფიგალო, სანტიაგო ფერნანდესი** და **მარტინ ბუსტოს მოიანო** (ოთხივე-მონპელიე), რადგან მათ გუნდებს საფრანგეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში აქვთ სათამაშო.

მსოფლიო თასის გათამაშების დაწყებამდე არგენტინელები 20 აგვისტოს კიდევ ერთ ტესტ-მატჩს გამართავენ. „პუმები" კარდიფში უელსის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასზე B ჯგუფში საქართველოსა და არგენტინის ნაკრებებთან ერთად ინგლისის, შოტლანდიისა და რუმინეთის ნაკრებები იასპარეზებენ.

„ბორჯღალოსნები" არგენტინის ეროვნულ გუნდს ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში, 2 ოქტომბერს პალმერსტონში დაუპირისპირდებიან.

არგენტინის ნაკრები

ჰორასიო აგულა, მარკოს აიერსა, ლუკას გონსალესი (სამივე-ლესტერი), **პატრისიო ალბასეტე, ნიკოლას ვერგალო, ალბერტო ბასუალდო** (სამივე-ტულუზი), **ლუკას ბორხესი** (ალბი), **მარსელ ბოშა, მანუელ კარისა, ეუსებიო გუინაზი** (სამივე-ბიარიცი), **ნიკოლას ბრუზონე** (ეს აი სი), **მარტინ ბუსტოს მოიანო, სანტიაგო ფერნანდესი, ხუან ფიგალო** (სამივე-მონპელიე), **მაქსიმილიანო ბუსტოსი** (უნივერსიტი), **ოსკარ კამაჩო, ტომას ვალეხოსი** (ორივე-ჰარლიქუინზი), **ალეხანდრო კამპოსი** (აჟენი), **რაფაელ კარბალო** (ბორდო), **ფელიპე კონტეპომი, ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე** (ორივე-ტულონი), **მიგელ დე აჩავალი** (ალუმნი), **ხულიო ალფრდო ფარიასი, სანტიაგო ნიკოლას გუსმანი, ბენხამონ მაკომი, ფედერიკო სანჩესი** (ოთხივე-ტუკუმენი), **ჯენარო ფესიო** (კორდობა), **აგუსტინ ფიგუეროლა** (ბრივი), **ალვარო გალინდო** (მეტრო რასინგი), **ხუან იგნასიო გაუტიერი** (კოლომიე), **ოსკარ გოსია** (ნიუმენი),**ხუან აიმპოფი** (დანდი), **ალფრედო ლალანე** (ლონდონ აირიში), **მარიო ლედესმა, მარტინ სკელსო** (ორივე-კლერმონი), **ხუან მანუელ ლეგუზამონი, მარტინ როდრიგესი, როდრიგო რონსერო, გონსალო ტისეი** (ოთხივე-სტად ფრანსე), **იგნასიო მიერესი** (ექსეტერი), **ხუან პაბლო ორლანდი** (მეტრო რასინგი), **ჰორასიო ალბერტო სან მარტინი, ლეონარდო სენატორი** (ორივე-აირონი).

ბურთით ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე

მაურო ბერგამასკო ბრუნდება

იტალიის ნაკრებმა მსოფლიო თასისთვის მზადება, ფაქტობრივად, უკვე დაიწყო. „სკუადრა აძურას" სამხრეთაფრიკელმა მწვრთნელმა **ნიკ მალეტმა** ის 30-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომელიც 24 მაისიდან სამდღიან შეკრებას გაივლის ჩეზანაში.

იტალიის ამ ფორმაციის ნაკრებში ძირითადად ადგილობრივ ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეები არიან მიწვეული. მათი უმრავლესობა ივნისში, იტალიის A ნაკრების შემადგენლობაში „ჩერჩილის თასის" გათამაშებაში იასპარეზებს. სწორედ ამის მერე გადაწყვეტს მალეტი, მათგან რომელი იახლოს ახალ ზელანდიაში.

მაურო ბერგამასკო

ლეგიონერთაგან საწვრთნელ შეკრებაში ჩაერთვება „სტად ფრანსეს" მესამეხაზელი **მაურო ბერგამასკო,** რომელსაც ტრავმის გამო წლევანდელი ექვსი ერის გათამაშება გაუცდა.

იტალიის ნაკრები

შერკინება: **ლორენცო ჩიტადინი, ლეონარდო ჯილარდინი, ვალერიო ბერნაბო, ტორნი ფან ზილი, რობერტ ბარბიერი, პაულ დერბიშირი, მანოა ვოსავაი, ალესანდრე ძანი** (ყველა-ბენეტონი), **ალბერტო დე მარკი, სალვატორე პერუჯინი, ფაბიო ონგარო, ჯოშუა ფურნო, ქვენტინ გელდენჰაუზი** (ყველა-აირონი), **ტომაზო დაპისე** (რომა), **მაურო ბერგამასკო** (სტად ფრანსე).

უკანა ხაზი: **პაბლო კანავოზიო, რიკარდო ბოჩინო, ჯილბერტო პავანი, მატეო პრატიკეტი, ჯულიო ტონიოლატი** (ყველა-აირონი), **ფაბიო სემენცატო, ტომაზო ბენვენუტი, გონსალო გარსია, ლუკე მაკლინი, ანდრეა პრატიკეტი, მიქელე სეპე, ალბერტო სგარბი** (ყველა-ბენეტონი), **დურანდ გერბერი, რუჯერო ტრევიზანი** (ორივე-პარმა), **დენის მაისტეროვიჩი** (პრატო).

კივეები ბასკეთში

ახალ ზელანდიაში გასამართავი მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ, ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები საგრძნობლად იცვლის სახეს. „ოლ ბლექსის" მორაგბეებზე ევროპული, მეტადრე ფრანგული კლუბები დიდი ხანია ნადირობენ.

რატომღაც, ყველაზე ნარმატებული ამ ასპარეზზე საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე ბასკური „ბაიონია". ამ გუნდმა წლევანდელი ჩემპიონატის რეგულარული გათამაშება მე-7 ადგილზე დაასრულა და პლეი ოფის მიღმა დარჩა. მიუხედავად ამისა, ბასკური გუნდის ახალი პრეზიდენტი **მიშელ კაკიო** იხტიბარს არ იტეხს და „ტულონის" მულტიმილიონერი პრეზიდენტის, **მურად ბურჯელალის** წაბაძვით სუპერგუნდის გაკეთებას ცდილობს.

უკვე ოფიციალურად გაცხადდა, რომ მომავალ სეზონში „ბაიონის" ღირსებას ორი ახალზელანდიელი მორაგბე - **სიონე ლაუკი** და **ნეემია ტიალატა** - დაიცავს. ეს უკანასკნელი, 28 წლისაა და ეროვნულ ნაკრებში 43 კეპი აქვს მოხვეჭილი. ამასთან ერთად, კლუბის სკაუტები მოლაპარაკებას აწარმოებენ ახალი ზელანდიის გარემარბ **ჯო როკოთოკოსთან** (27 წლის, 68 კეპი) და ავსტრალიის ნაკრების მეორეხაზელ **მარკ ჩისლომთან** (28 წლის, 58 კეპი). „ბაიონი" ორივე მათგანს სამწლიან კონტრაქტს სთავაზობს.

გამორიცხული არ არის ბასკურ გუნდს მიაშურონ, უკვე ყოფილმა ტულუზელებმა, **ფრედერიკ მიშალაკმა** და **ბაიორნ კელეჰერმა.** ერთი სიტყვით, „ბაიონმა" სატრანსფერო ბაზარზე აქტიურად შეაბიჯა და საკმაოდ სერიოზული, შორს მიმავალი გეგმები აქვს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და სატრანსფერო მიდი-მოდი ივნისის ბოლომდე გასტანს.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

● ჩოგბურთი

ბრძოლა პარიზში გაგრძელდება

ჯოკერის რეალური შანსი

ნოვაკ ჯოკოვიჩს სულ მცირედი უკლია კლასიფიკაციაში გალიდერებამდე

ზედიზედ ორი მასტერსის მოგებით სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** ATP-ის რეიტინგის პირველ საფეხურზე გადასვლის ძალიან კარგი შანსი გაუჩნდა. სეზონის ლიდერს როლან გაროსის შემდეგ შეუძლია დაამხოს ესპანელი **რაფაელ ნადალის** ბატონობა. ერთი ვარიანტით სერბი თავის თავზეა დამოკიდებული - თუ ის საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში გავა, ნებისმიერ შემთხვევაში ჩაუდგება სათავეში კლასიფიკაციას.

ასევე ნებისმიერ ვარიანტში (პირველი წრიდან გავარდნის შემთხვევაშიც) გახდება ჯოკოვიჩი პროფესიული ტურის ლიდერი, თუ ნადალი ვერ შეძლებს ტიტულის დაცვას.

ამ მომენტისთვის რაფაელის ანგარიშზე 12 070 ქულაა, ნოვაკს 11 665 ქულა აქვს. თუ ნადალი როლან გაროსის ფინალს წააგებს, მას 11 270 ქულა გაუხდება, ჯოკოვიჩს პირველ წრეში წაგების შემთხვევაში 11 315 ქულა ექნება.

ასე რომ, ნადალი პირველობას შეინარჩუნებს ტურნირის მოგების შემთხვევაში, თუმცა აუცილებელი პირობაა ისიც, რომ ჯოკოვიჩი არ უნდა გავიდეს ფინალში.

■ ■ ■

ბოლო ორი როლან გაროსის ფინალისტმა, შვედმა **რობინ სიოდერლინგმა**, შესაძლოა, ვერ ითამაშოს საფრანგეთის ღია პირველობაზე, რომელიც 22 მაისს დაიწყება. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი შვედური გაზეთი ავრცელებს.

სიოდერლინგის თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ რომის მასტერსის შემდეგ დადგა - მეოთხედფინალურ მატჩში სკანდინავიელმა საზარდულის ტრავმა მიიღო.

● რეიტინგები

ATP	
1(1). რაფაელ ნადალი (ესპ)	12 070
2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	11 665
3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც)	8 390
4(4). ენდი მიურეი (გრიტ)	6 085
5(5). რობინ სიოდერლინგი (შვედ)	5 435
6(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	4 215
7(6). დავიდ ფერერი (ესპ)	4 060
8(8). იურგენ მელცერი (ავსტრია)	2 850
9(9). ბაეტ ჟონფილსი (საფ)	2 465
10(11). მარდი ფიშე (აშშ)	2 395
11(12). ენდი როდიკი (აშშ)	2 290
12(10). ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	2 225
13(13). მიხაილ იუჟნი (რუს)	2 010
14(16). რიშარ გასკე (საფ)	1 960
15(14). სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	1 920
16(15). ვიქტორ ტროიეკი (სერ)	1 815
17(17). ფერნანდო ვერდასკო (ესპ)	1 620
18(18). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	1 570
19(19). ჟილ სიმონი (საფ)	1 565
20(23). [illegible]რინ ჩილიჩი (ხორ)	1 515

WTA	
1(1). კაროლინ ვოზნიაცკი (დან)	10 105
2(2). კიმ კლაისტერსი (ბელ)	8 115
3(3). ვერა ზვონარევა (რუს)	7 675
4(4). ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	5 425
5(5). ფრანჩესკა სკიავონე (იტა)	5 047
6(6). ნა ლი (ჩინ)	4 775
7(8). მარია შარაპოვა (რუს)	4 761
8(7). სამანტა სტოსური (ავსტრა)	4 645
9(10). პეტრა კვიტოვა (ჩეხ)	3 743
10(9). ელენა იანკოვიჩი (სერ)	3 670
11(12). მარიონ ბარტოლი (საფ)	2 925
12(11). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)	2 876
13(13). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	2 870
14(16). ა. პავლიუჩენკოვა (რუს)	2 715
15(15). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)	2 670
16(18). კაია კანეპი (ესტ)	2 526
17(17). სერენა უილიამსი (აშშ)	2 500
18(20). იულია გორგეზი (გერ)	2 500
19(21). ფლავია პენეტა (იტა)	2 495
20(14). შაარ პეერი (ისრ)	2 445

ATP. ფულადი მონაგარი	
1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	5 430 433
2. რაფაელ ნადალი (ესპ)	2 656 239
3. ენდი მიურეი (გრიტ)	1 518 327
4. დავიდ ფერერი (ესპ)	1 459 914
5. როჯერ ფედერერი (შვეიც)	1 436 951
6. რობინ სიოდერლინგი (შვედ)	925 607
7. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)	728 954
8. ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	672 327
9. ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)	580 367
10. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)	552 208
11. იურგენ მელცერი (ავსტრია)	544 317
12. რიშარ გასკე (საფ)	532 951
13. ჯონ ბრაიანი (აშშ)	532 716
14. მაიკ ბრაიანი (აშშ)	532 716
15. სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	531 072
16. ენდი როდიკი (აშშ)	504 689
17. მილოშ რაონიჩი (კან)	479 332
18. ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ)	467 277
19. მარინ ჩილიჩი (ხორ)	466 984
20. ვიქტორ ტროიეკი (სერ)	448 682

WTA. ფულადი მონაგარი	
1. კიმ კლაისტერსი (ბელ)	2 277 758
2. კაროლინ ვოზნიაცკი (დან)	1 870 467
3. ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	1 699 218
4. ნა ლი (ჩინ)	1 470 939
5. პეტრა კვიტოვა (ჩეხ)	1 265 753
6. მარია შარაპოვა (რუს)	994 432
7. ვერა ზვონარევა (რუს)	812 504
8. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)	585 559
9. მარიონ ბარტოლი (საფ)	534 240
10. ფლავია პენეტა (იტა)	518 606
11. ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)	493 137
12. სამანტა სტოსური (ავსტრა)	451 507
13. იულია გორგეზი (გერ)	447 684
14. ფრანჩესკა სკიავონე (იტა)	417 664
15. მარია კირილენკო (რუს)	405 088
16. შუაი პენგი (ჩინ)	396 460
17. ელენა იანკოვიჩი (სერ)	386 845
18. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	374 658
19. ხისელა დულკო (არგ)	361 920
20. პეტანი მატეკი (აშშ)	350 553

● ჰოკეი

ჩემპიონი კანადასთან მოხვდა

ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართა. პირველობის 16 მონაწილე ორ ჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდა:

I ჯგუფი: შვედეთი, რუსეთი, აშშ, შვეიცარია, სლოვაკეთი, ბელარუსი, საფრანგეთი და ყაზახეთი.

II ჯგუფი: ფინეთი, კანადა, ჩეხეთი, გერმანია, ნორვეგია, ლატვია, დანია და იტალია.

პირველი ჯგუფის მატჩები შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში გაიმართება, მეორე ჯგუფის - ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში. ჩემპიონატს 2012 წლის 4-20 მაისს სწორედ ეს ორი ქვეყანა უმასპინძლებს.

როგორც უკვე ვწერდით, შეიცვალა ჩემპიონატის ჩატარების ფორმულა. ჯგუფებში თამაშები წრიული სისტემის გაიმართება, რის შემდეგაც ოთხ-ოთხი საუკეთესო გუნდი მეოთხედფინალიდან გააგრძელებს ბრძოლას პირველობისთვის.

● ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

ფინეთი ყველაზე ძლიერია

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ფინეთის ნაკრებმა დაიბრუნა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. ეს იყო **იუკა იალონენის** გუნდის სრულიად დამსახურებული ტრიუმფი. ამ სპეციალისტის ხელში „სუომიმ" მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. მართალია, ბოლო ორ ჩემპიონატზე ფინეთს პრობლემები ჰქონდა, სამაგიეროდ, ვანკუვერის ოლიმპიადაზე ბრინჯაო აიღო, ახლა კი პლანეტის საუკეთესო გუნდი გახდა.

ფინეთი ერთადერთხელ 1995 წელს იყო მსოფლიოს ჩემპიონი. კიდევ ექვსჯერ „სუომიმ" ფინალში ითამაშა, მაგრამ ორ-ორჯერ დამარცხდა კანადასთან, ჩეხეთთან და შვედეთთან. გარდა ამისა, ფინელებმა 2006 წლის ოლიმპიადის ფინალი წააგეს შვედეთთან.

1995 წელს მოგებულ ფინალში ფინეთმა შვედეთს მოუგო. სხვათა შორის, მაშინაც მომავალმა ჩემპიონმა ნახევარფინალში 3:0 მოიგო, ოღონდ მაშინ მეტოქე არა რუსეთი, არამედ ჩეხეთი იყო.

საინტერესოა ერთი ფაქტი - იმ ერთადერთ მოგებულ ფინალში ჰეთ-თრიკი შეასრულა **ვილე პელტონენმა**, რომელსაც სლოვაკეთში გამგზავრების ყველა შანსი ჰქონდა, მაგრამ ფინეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში ტრავმა მიიღო და მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვებამ მოუწია.

შვედეთი და ფინეთი არასოდეს თამაშობდნენ ერთმანეთში გახსნილ ჰოკეის. ასე მოხდა ამჯერადაც, ოღონდ ორმეოთხედ-ნახევარი. „სუომი" ცდილობდა უკან მუდმივად სამი კაცი ჰყოლოდა, „ტრე კრუნური" კი ტრადიციულად შაიბაზე კონტროლის დაწესებას ლამობდა. შესაბამისად, პირველ პერიოდში სახიფათო მომენტი არ გვინახავს. საკითხი ასე იდგა - ვინ დაუშვებდა პირველ შეცდომას? პირველები ფინელები შეცდნენ - ჯერ **პესონენმა** ცარიელ კარში ვერ გაიტანა, საპასუხო შეტევაში კი მეორე ფინელი **ტიმ ერიქსონი** შეცდა - საკუთარ ზონაში ცუდი პასი შეასრულა და **პაიარვის** გაატანინა.

„სუომი" იმდენად გააწბილა ამ გოლმა, რომ მაშინვე ანგარიშის გათანაბრება სცადა და ამით კინაღამ საბოლოოდ დაიღუპა. მისი შეტევები **ვიქტორ ფასტის** კართან არაორგანიზებული იყო, შვედები კი ზედიზედ ქმნიდნენ საგოლე მომენტებს და მხოლოდ შემთხვევითობით ვერ მოახერხეს ანგარიშის გაზრდა - **ბეკლუნდის** დარტყმა **ვეჰანენმა** მოიგერია, **ბერგლუნდმა** ძელს გაარტყა, **პერსონმა** კი ცარიელ კარს ააცილა.

ფინეთს ამ სიტუაციაში რიცხობრივი უპირატესობა დაეხმარა. ეს გუნდი სლოვაკეთში ყველაზე კარგად იყენებდა ზედმეტ მოთამაშეს და ტრადიციას არც ამჯერად უღალატა. მეორე პერიოდის ბოლოს **პეტრაშეკის** გაძევება ტურნირის საუკეთესო სნაიპერმა **იარკო იმონენმა** გამოიყენა.

ბუნებრივია, „გასახდელში გოლმა" შვედეთზე ფსიქოლოგიურად ცუდად იმოქმედა, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ „ტრე კრუნური" ასე ჩააგდებდა მესამე პერიოდს.

ერთი წუთის განმავლობაში ფინელებმა მეტოქის დახმარებით სამი საგოლე მომენტი მიიღეს. მართალია, **მიკო კოივუმ** ერთი-ერთზე გასვლა ვერ გამოიყენა, სამაგიეროდ, **ნოკელაინენმა** და **კაპანენმა** არ დაინდეს მონინააღმდეგე. პირველმა იმავე **პეტრაშეკის** შეცდომით გაიტანა, მეორემ კი **ფერნჰოლმის** საჩუქარი შეირგო.

შვედეთს ჰქონდა საკმარისი დრო სიტუაციის გამოსასწორებლად, მაგრამ ფინეთისთვის ბოლო პერიოდში ორი შაიბის გაქვითვა ძალიან რთული საქმეა. „ტრე კრუნურმა" თავისი შანსი მეორე 20-წუთეულში დაკარგა, როცა მოპოვებული უპირატესობა ვერ განავრცო. ბოლო წუთებზე ფინელებმა კიდევ სამჯერ გააწბილეს ფასტი და ფინალისთვის უცნაური ანგარიში დააფიქსირეს - 6:1.

■ ■ ■

ტურნირის ორგანიზატორებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ შვედეთის ნაკრების მეკარე ვიქტორ ფასტი დაასახელეს, ჟურნალისტებმა კი სიმბოლური ნაკრები შეადგინეს, რომლის შემადგენლობა ასეთია:

მეკარე: ვიქტორ ფასტი (შვედეთი);

მცველები: დავიდ პეტრაშეკი (შვედეთი), მარეკ ჟიდლიცკი (ჩეხეთი);

თავდამსხმელები: პატრიკ ბერგლუნდი (შვედეთი), იარკო იმონენი (ფინეთი), იაროსლავ იაგრი (ჩეხეთი).

ფინალი

შვედეთი–ფინეთი 1:6

0:0, 1:1, 0:5

გოლები: 1:0 პაიარვი-2, 1:1 იმონენი-9 (პესონენი-5, მ. კოივუ-5), 1:2 ნოკელაინენი-1 (პილსტრიომი-1), 1:3 ნ. კაპანენი-2 (აალტონენი-2, კომაროვი-2), 1:4 პესონენი-2 (გრანლუნდი-7), 1:5 პიუერიალია-1 (მ. კოივუ-6, სალმელა-2), 1:6 პილსტრიომი-2 (ლაიუნენი-1).

მე-3 ადგილისთვის

ჩეხეთი–რუსეთი 7:4

2:3, 3:1, 2:0

გოლები: 1:0 ჩერვენკა-2, 1:1 კოვალჩუკი-2 (რადულოვი-4, ტოუტინი-3), 1:2 კულიკოვი-2 (აფინოგენოვი-2, გოროვიკოვი-2), 2:2 პრუხა-2 (როლინეკი-2, მარეკი-2), 2:3 კოვალჩუკი-3 (რადულოვი-5, ზინოვიევი-2), 3:3 პრუხა-3, 4:3 ჩერვენკა-3 (პრუხა-2), 5:3 ჩერვენკა-4 (პლეკანეკი-4), 5:4 ტარასენკო-1 (ზინოვიევი-3, კორნეევი-3), 6:4 მარეკი-1, 7:4 პლეკანეკი-6 (იაგრი-4, ჩერვენკა-6).

გოლი+პასი

იმონენი (ფინეთი)	12 (9+3)
ბერგლუნდი (შვედეთი)	10 (8+2)
პლეკანეკი (ჩეხეთი)	10 (6+4)
ჩერვენკა (ჩეხეთი)	10 (4+6)

სნაიპერები

იმონენი (ფინეთი)	9
ბერგლუნდი (შვედეთი)	8
პლეკანეკი (ჩეხეთი)	6
რუუტუ (ფინეთი)	6
ჰოლტეტი (ნორვეგია)	6

ასისტენტები

ოლიმბი (ნორვეგია)	8
გრანლუნდი (ფინეთი)	7
კოივუ (ფინეთი)	6
რედლიკსი (ლატვია)	6
ჩერვენკა (ჩეხეთი)	6
ნილსონი (შვედეთი)	6

ფინეთი ზეიმობს

● NHL. ჰლეი ოფი. 1/2 ფინალი

ვანკუვერმა მოგებით დაიწყო

ორი ღირსეული გუნდი არკვევს ურთიერთობას დასავლეთი კონფერენციის ფინალში. არც „ვანკუვერს" და არც „სან ხოსეს" არსებობის ისტორიაში სტენლის თასი არ მოუგია, ამიტომაც ამ სერიას ორივესთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

სერია 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქის - ვანკუვერის „როჯერს არენაზე" გაიხსნა. როგორც მოსალოდნელი იყო, სადებიუტო შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა.

პირველი პერიოდი თითქოს გოლის გარეშე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ზედ პირველი შესვენების წინ **ჯო ტორნტმა** აიღო **ლუონგოს** კარი. პაუზა აშკარად წაადგა მასპინძელთა გუნდს, რომელმაც მეორე პერიოდში ინიციატივა მოიპოვა და ანგარიში **მაქს ლაპიერმა** გაათანაბრა. კანადელებმა მეტის გაკეთება ვერ შეძლეს, რაშიც დამნაშავე „სან ხოსეს" ბრწყინვალე მეკარე **ანტი ნიემი** იყო. ფინელი იმ საღამოს სულ 35 დარტყმას გადაეფარა.

მეკარის კარგი თამაში მის პარტნიორებსაც გადაედოთ, რომელთა მოქმედებას ისევ დაუბრუნდა დამაჯერებლობა. შედეგად **პატრიკ მარლომ** რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა და შესვენებაზე გუნდები ისევ სტუმართა მინიმალური უპირატესობით გავიდნენ.

გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე პერიოდი. თავდაპირველად სტატუს კვო აღადგინა **კევინ ბიეკსამ**. გამარჯვების შაიბა კი **ჰენრიკ სედინმა** ჩაიწერა აქტივში. **კრისტიან ერჰოფმა** შვედს შესანიშნავი პასი მისცა მეკარის საჯარიმოსთან, სედინმა ცრუმოძრაობით დააწვინა ყინულზე ნიემი და ცარიელ კარში შეაგდო შაიბა. კომბინაცია ძალიან ლამაზი გამოვიდა.

ამის შემდეგ შაიბა არც ერთ კარში აღარ გასულა და „ვანკუვერი" დაწინაურდა ამ ურთულეს სერიაში. შემდეგი მატჩი ხუთშაბათს, თბილისის დროით 5 საათზე კვლავ ვანკუვერის არენაზე გაიმართება.

დასკვლეთი

ვანკუვერი–სან ხოსე 3:2

0:1, 1:1, 2:0

გოლები: 0:1 ტორნტონი-3, 1:1 ლაპიერი-1 (პანსენი-2, ტორესი-2), 1:2 მარლო-4 (ბოილი-10, ტორნტონი-10), 2:2 ბიეკსა-2 (ბაროუზი-5, ჰ. სედინი-9), 3:2 ჰ. სედინი-2 (ერჰოფი-8, კესლერი-11).

სერია: 1-0

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

ალბერტო ლიდერია

ესპანელმა **ალბერტო კონტადორმა** პირველმა გადალახა ვულკან ეტნაზე აღმართი და სათავეში ჩაუდგა ჯირო დ'იტალიას საერთო ჩათვლას.

კონტადორმა ჯერ კიდევ წინა ეტაპზე გამოამჟღავნა საკუთარი ამბიციები ფინიშზე უსწრაფესი შეტევით, თუმცა „საქსობანკის" შეფმა **ბიარნე რიისმა** განაცხადა, რომ ეს უფრო ესპანელის იმპროვიზაცია იყო, ვიდრე კონკურენტებზე ფსიქოლოგიური შეტევა.

მეცხრე ეტაპზე თავდაპირველად გაქცევა **დანილო დი ლუკამ** სცადა, მაგრამ პელოტონმა მაშინვე მოახდინა რეაგირება და იტალიელი არ გაუშვა. თუმცა გაქცევა მაინც შედგა - წინ გაიჭრა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი ძლიერი შემადგენლობით. **იაროსლავ პოპოვიჩისა** და **ჯოვანი ვისკონტის** აქტიურობით დანინაურებულ ჯგუფსა და პელოტონს შორის სხვაობამ ექვსი წუთი შეადგინა, თუმცა ეტნაზე პირველი აღმართისთვის უპირატესობამ კლება იწყო.

ფინიშამდე 10 კილომეტრით ადრე ლიდერთა ჯგუფი ორად გაიყო. წინ მხოლოდ **ბაკელანტსი, ფრანკი, ვისკონტი** და **ლასტრასი** დარჩნენ, სულ მალე კი სოლო-იერიში წამოიწყო ბაკელანტსმა და იოლად მოიპოვა ლიდერობა.

პირველმა დაწინაურებული ველომრბოლები ვენესუელელმა **ხოსე რუხანომ** შეაწუხა. ექვსი წლის წინ ამ სპორტსმენზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. მაშინ რუხანომ ჯიროს „მთის მეფის" მაისურა მოიგო და საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე გავიდა. მას შემდეგ ვენესუელელი დაიკარგა და ახლა ისევ განიზრახა თავისი არსებობის შეხსენება. შვიდი კილომეტრით ადრე კი კონკურენტებს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ალბერტო კონტადორმა. ესპანელი იმდენად დარწმუნებული იყო თავის ძალებში, რომ ყოველ აღმართზე შეტევაში მიდიოდა. ამ მომენტებში მას მეტოქეებზე უდიდესი უპირატესობა ჰქონდა.

თავდაპირველად კონტადორს **სკარპონი** გამოეკიდა, მაგრამ ესპანელის მორიგი შეტევის შემდეგ იტალიელი „დადგა" და ალბერტოს კვალში მხოლოდ რუხანო ჩაუდგა. ამ უკანასკნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბოლომდე არ ჩამორჩა ესპანელს და მხოლოდ სამი წამი წააგო თანამედროვე ველოსპორტის მთავარ ვარსკვლავთან.

IX ეტაპი

1. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, „საქსობანკი") - 4:54.09; 2. **ხოსე რუხანო** (ვენ, „ანდრონი ჯოკატოლი") - +0.03; 3. **სტეფანო გარცელი** (იტა, „აკვა ე საპონე") - +0.50; 4. **ვინჩენცო ნიბალი** (იტა, „ლიკვიგასი") - +0.50; 5. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, „ასტანა") - იგივე დრო; 6. **დავიდ არაოიო** (ესპ, „მოვისტარი") - იგივე დრო...

საერთო ჩათვლა

1. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, „საქსობანკი") - 33:03.51; 2. **კონსტანტინ სივცოვი** (ბლრ, „ჰაიროუდი") - +0.59; 3. **კრისტოფ ლე მეველი** (საფ, „გარმინი") - +1.19; 4. **ვინჩენცო ნიბალი** (იტა, „ლიკვიგასი") - +1.21; 5. **მიკელე სკარპონი** (იტა, „ლამპრე") - +1.28; 6. **დავიდ არაოიო** (ესპ, „მოვისტარი") - +1.37...

მოტოსპორტი. საფრანგეთის გრანპრი

სეზონის რბოლა ლე მანზე

მოტომრბოლეებმა მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი საფრანგეთში ჩაატარეს, სადაც მაყურებელმა ამ სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო რბოლა იხილა. ის, რომ სანახაობა გაამართლებდა, სტარტმაც დაადასტურა - **დანი პედროსა**, რომელიც მეოთხე იდგა სასტარტო ბილიკზე და პირველი მოსახვევის შემდეგ სათავეში მოექცა პელოტონს.

საწყისი წრეებიდანვე ძალიან დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. მალე პოულის მფლობელმა **კეისი სტოუნერმა** მოახერხა პირველი ადგილის დაბრუნება, მაგრამ სოლიდურ უპირატესობაზე ლაპარაკი არ ყოფილა - პედროსა გვერდით ედგა. იქვე იყვნენ სხვა ფავორიტებიც. ასეთი სიმჭიდროვის გამო ლიდერთა ჯგუფში ხშირად იცვლებოდა ადგილები. მაგალითად, **მარკო სიმონჩელი** მესამე ადგილზე გადავიდა და პედროსას უკან მოექცა, **ანდრეა დოვიციოზომ** კი ერთი პოზიცია დაკარგა და **ხორხე ლორენსოსა** და **ვალენტინო როსის** შორის აღმოჩნდა.

პირველი ათი წრის შემდეგ გარკვეული ტენდენცია ჩამოყალიბდა. სტოუნერმა ნელ-ნელა დაიწყო პედროსასთან უპირატესობის გაზრდა, ამ უკანასკნელს კი მუდმივად ავიწროებდა სიმონჩელი. იტალიელი უარს არ ამბობდა თავის აგრესიულ სტილზე და მალე შეტევაზეც გადავიდა. მარკომ გვიანი დამუხრუჭება გამოიყენა მოსახვევში გარე რადიუსით შესვლისას. საბოლოოდ, ძალიან სახიფათო მანევრი გამოუვიდა და მრბოლელებს შორის კონტაქტი მოხდა - პედროსა დაეცა, სიმონჩელიმ კი გზა განაგრძო.

მიუხედავად ამისა, იტალიელმა მაინც ვერ მოიპოვა მოტოგრანპრის კლასში თავისი პირველი პოდიუმი. სახიფათო მანევრისთვის ის მსაჯებმა პიტ-ლეინზე შესვლით დააჯარიმეს და ამით მისმა მდევრებმა მიიღეს პოდიუმისთვის ბრძოლის შანსი. ლორენსო, დოვიციოზო და როსი პრეტენზიას არ აცხადებდნენ სამეულში შესვლაზე, მაგრამ ახლა ორ მათგანს ამის შანსი მიეცა. ფავორიტი ლორენსო იყო, მაგრამ ესპანელმა შეცდომა დაუშვა და ერთ წრეზე ერთბაშად ორი პილოტი გაუშვა წინ. მართალია, ხორხე ბევრით არ ჩამორჩენილა და დაკარგული პოზიციის დაბრუნებაც შეეძლო, მაგრამ კიდევ ერთმა შეცდომამ საბოლოოდ მოუსპო პოდიუმზე ასვლის შანსი.

ასე რომ, მეორე ადგილისთვის ბრძოლა დოვიციოზომ და როსიმ წარმართეს. ვალენტინომ თავიდან გაუსწრო კონკურენტს, მაგრამ ანდრე არ დანებდა და ფინიშამდე ოთხი წრით ადრე ისევ მეორე ადგილზე აღმოჩნდა. როსიმ კიდევ ერთხელ სცადა გაბრძოლება, მაგრამ არც ერთ მის ცდას შედეგი არ მოჰყოლია და მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონს მესამე ადგილით დაკმაყოფილებამ მოუწია.

საფრანგეთის გრან-პრი

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა") - 28 წრე; 2. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა") - +14,214; 3. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი") - +14,564; 4. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - +21,075; 5. **მარკო სიმონჩელი** (იტა, „ჰონდა") - +31,245; 6. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - +31,609

საერთო ჩათვლა

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 78 ქულა; 2. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „დუკატი") - 66; 3. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 61; 4. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა") - 50; 5. **ვალენტინო როსი** (იტა, „იამაჰა") - 47...

მძლეოსნობა

ჩემპიონის სუიციდი

პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონი, მარათონის მორბენალი **სამუელ ვანჟირუ** კენიის ქალაქ ნიაჰურურუში, საკუთარი სახლის ფანჯრიდან გადახტა და დაიღუპა. სავარაუდოდ, 24 წლის სტაიერმა თავი მოიკლა, თუმცა პოლიცია მომხდარის სხვა ვერსიებსაც განიხილავს.

ნიაჰურურუს პოლიციის წარმომადგენლის თქმით, 15 მაისს შინდაბრუნებულმა სპორტსმენის მეუღლემ ქმარს სხვა ქალთან შეუსწრო. ამის შემდეგ მან საძინებლის კარი ჩაკეტა, რომელშიც წყვილი იმყოფებოდა და სახლიდან გაიქცა. სწორედ ამის შემდეგ გადავარდა ფანჯრიდან ვანჟირუ.

კენიელმა მორბენალმა 2008 წელს პეკინში ოლიმპიური რეკორდი დაამყარა, როცა მარათონული დისტანცია ორ საათში, 6 წუთსა და 32 წამში გაირბინა. გარდა ამისა, ვანჟირუ იყო ჩიკაგოსა (2009, 2010) და ლონდონის (2009) მარათონის გამარჯვებული.

2010 წლის დეკემბერში ვანჟირუ საკუთარ სახლში დააკავეს ცოლზე თავდასხმასა და იარაღის (კალაშნიკოვის ავტომატი) შენახვისთვის. სპორტსმენი ჯერ თავდებით გაუშვეს, შემდეგ კი ცოლმა უარი თქვა ბრალდებაზე. ამასთან, იარაღის უკანონო შენახვის ბრალდება აქამდე არ ჰქონდა მოხსნილი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა



სამუელ ვანჟირუ

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

ჩემპიონშიფი

სუონსი-ნოტინგემი	3:1

იტალია

სერია B

ალბინოლეფე-ატალანტა	2:3

ესპანეთი

II დივიზიონი

ელჩე-ვილიარეალი B	0:0

საფრანგეთი

ბრესტი-ლიონი	1:1

II დივიზიონი

ლე მანი-ლავალი	4:0
დიჟონი-გრენობლი	2:1

ბელგია

პლეი ოფი

სერკლი-ვესტერლო	2:2

დანია

ჰორსენსი-კოპენჰაგენი	1:1

ნორვეგია

ოლესუნდი-სტრიომსგოდსეტი	2:1
ბრანი-სტარტი	2:1
ლილესტრიომი-ჰიოლდე	0:3
რუსენბორგი-ჰაუგესუნდი	0:1
სტაბეკი-სიოგნდალი	0:1
ტრომსიო-სარპსბორგი	2:2
ვიკინგი-ოდ გრენლანდი	1:1
ფრედრიკსტადი-ვოლერენგა	3:1

II დივიზიონი

ბოდო გლიმტი-რანჰაიმი	1:1
ბრინი-ლოვ ჰამი	0:0
კონგსვინგერი-რანდაბერგი	4:1
ჰიონდალენი-სანდნესი	2:1
ნილი-სანდეფიორდი	4:2
სტრიომენი-ჰამ კამი	1:0

შვეიცარია

აიკ-ჰელსინგბორგი	2:1
ტრელებორგი-ელფსბორგი	3:0

II დივიზიონი

სუნდსვალი-ბრომაპიოკარნა	0:0

ფინეთი

მარიეჰამნი-ტურკუ	0:1
ინტერი-ჰიუპა	1:1
იუვიასკიულა-ჰაკა	4:2

II დივიზიონი

კტპ-ჰიფკ	1:0

ავსტრია

II დივიზიონი

ვენა-გრატკორნი	3:1
ლოზანა-ლუგანო	3:1

თურქეთი

გეშიძთაში-ესკისეჰირი	3:1

ინდოეთი

გრინდავიკი-კეფლავიკი	0:2
ჰაფნარი-ვიკინგური	1:1
რეიკიავიკი-ტორი	3:1

ჩეხეთი

ბრნო-ბუდეიოვიცე	1:1
სლავია-პრშიბრამი	3:2

რუსეთი

II დივიზიონი

დინამო (ბრ)-ნ. ნოვგოროდი	3:2
შინიკი-ტორპედო (ვ)	2:0

რუმინეთი

გლორია-უნივერსიტატეა (კრ)	1:1
სტიაუა-ტარგუ	1:0
დინამო-ვიქტორია	3:1

ისრაელი

მაკაბი (ჰ)-იერონი	2:0

კალათბურთი

რუსეთი

ხიმკი-ლოკომოტივი	75:81
დინამო-ცსკა	66:87

თურქეთი

პინარი-ეფესი	78:85

ჩოგბურთი

ATP. ნიცა

რიბა-რუფინი	6:2, 6:2
პერი-ჰანესკუ	0:6, 1:6
ანდუხარი-დიმიტროვი	5:0 უარი
ო. როხუსი-ისტომინი	2:6, 6:7
სეპი-როჟე ვასელენი	3:6, 6:3, 6:2

WTA. ბრიუსელი

ზაკოპალოვა-ჰერვაკი	7:5, 3:6, 6:4
დელაკუა-პეერი	6:1, 5:7, 6:3
არვიდსონი-ვანდეეგე	6:3, 7:6
ლეპჩენკო-მესტახი	6:3, 7:6

WTA. სტრასბური

ოუდინი-მედინა გარიგესი	3:6, 1:6
კერბერი-პოუს ტიო	4:6, 2:6
მარინო-პეტროვა	6:7, 3:6
ამანმურადოვა-იოჰანსონი	1:6, 1:6
კირილენკო-ბაროისი	6:2, 6:3
კუდრიავცევა-იოვანოვსკი	6:7, 3:6
ჰანტუხოვა-ლარსონი	6:3, 6:4
დოკიჩი-ჰალეპი	6:2, 6:1

მს. ჩემპიონატი

ისნერი-ლინდელი	6:4, 6:1
ტროიცკი-ფ. მაიერი	2:6, 2:6
კუერი-სიოდერლინგი	7:5, 5:7, 6:7

TV პროგრამა

17 მაისი. სამშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 პოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბრესტი-ლიონი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ბოლონია.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ბორუსია (მ).
18:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ტოტენჰემი.
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-რეალი.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერი იუნ-ჩელსი.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ოკლაჰომა-მემფისი. VII მატჩი.
14:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
21:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. კლერმონი-ბეარიცი.
23:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-მაიამი. I მატჩი.
05:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. დალასი-ოკლაჰომა. I მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

05:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. დალასი-ოკლაჰომა. I მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

04:00 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ბოსტონი-ტამპა ბეი. II მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

14:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. გუნდური ჩემპიონატი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).

EUROSPORT

16:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. X ეტაპი. იტალია (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. ბრიუსელი. ბელგია (LIVE).
01:35 ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. III ეტაპი. აშშ (LIVE).

EUROSPORT-2

16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. ბრიუსელი. ბელგია (LIVE).
22:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. I მატჩი (LIVE).

ამბები

ჭადრაკი

ფინალისტები გაირკვნენ

რუსეთის ქალაქ ყაზანში მიმდინარე პრეტენდენტთა ტურნირზე ფინალისტები გამოვლინდნენ. რუსმა **ალექსანდრ გრიშჩუკმა** თანამემამულე **ვლადიმერ კრამნიკი** 1.5:0.5 დაამარცხა, ისრაელის წარმომადგენელმა **ბორის გელფანდმა** კი 2:0 სძლია ამერიკელ **გატა კამსკის**.

ფინალი 19 მაისს დაიწყება და მასში ექვსი კლასიკური პარტია გათამაშდება. საყაიმო ანგარიშის შემთხვევაში 26 მაისს ტაი-ბრეიკი გაიმართება. გამარჯვებული გაისად პლანეტის მოქმედ ჩემპიონ **ვიშვანათან ანანდს** შეხვდება.

ჭიდაობა

ჩემპიონი ლონდონისთვის ბრუნდება

პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონი, ამერიკელი მოჭიდავე **ჰენრი სეჯურო** დიდ სპორტში დაბრუნდა.

როგორც USA Today წერს, სპორტსმენმა განაახლა ვარჯიშები თავისუფალ ჭიდაობაში. მისი მიზანი ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურის მოპოვებაა. სეჯუროს თქმით, ის კიდევ ერთხელ აპირებს ზაფხულის თამაშების ოქროს მედლის მოპოვებას.

კალათბურთი

მაკდაესმა წასვლა გადაწყვიტა

თითქმის დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ „სან ანტონიო სპურსის" 36 წლის ფორვარდი **ანტონიო მაკდაესი** დაასრულებს კარიერას. კალათბურთელი ამბობს, რომ წლებს თავისი მიაქვს და ის აღარ არის გუნდისთვის სასარგებლო.

მაკდაესი „სპურსის" რიგებში 2009 წლიდან გამოდის. ადრე ის „დენვერის", „ფინიქსის", „ნიუ იორკისა" და „დეტროიტის" ღირსებას იცავდა. 2000 წელს ანტონიო აშშ-ს ნაკრებთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

გალინარიმ ევრობასკეტი დაადასტურა

„დენვერის" 22 წლის ფორვარდმა **დანილო გალინარიმ** ერთ-ერთი იტალიური რადიოს მეშვეობით დაადასტურა ევროპის ჩემპიონატზე იტალიის ნაკრებში თამაში. საინტერესოა, რომ იტალიური კალათბურთის ერთ-ერთ უნიჭიერეს წარმომადგენელს დიდ ტურნირებზე არასოდეს უთამაშია.

ასე რომ, იტალიის ნაკრებმა ყველა წამყვანი კალათბურთელის დათანხმება მოახერხა. გალინარის გარდა, ევრობასკეტზე ითამაშებენ **ანდრეა ბარნიანი** და **მარკო ბელინელი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

ფავორიტმა მაინც იძალა

„ოკლაჰომა-სიტიმ" **კევინ დურანტის** 39 ქულისა და **რასელ უესტბრუკის** სამმაგი დუბლის (14 ქულა, 14 პასი, 10 მოხსნა) წყალობით გაანადგურა „მემფისი" და დასავლეთი კონფერენციის ფინალში გავიდა, სადაც „დალასთან" სერია ელის.

სხვათა შორის, ეს არის ჯერჯერობით ერთადერთი სერია ამ პლეი ოფში, რომელშიც ურთიერთობა შვიდ მატჩამდე გაიწელა. ფავორიტის დასახელება ყველას უჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ „ოკლაჰომა" შინ თამაშობდა, „მემფისისგან" ყველა მიეჩვია სიურპრიზებს და ამ მატჩშიც **ზაკ რენდოლფის** გუნდისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

ოკლაჰომელი ფანების აქტიურობამ არ დააფრთხო „მემფისი", რომელმაც პირველი მეოთხედის შუაში ხუთქულიანი უპირატესობის მიღება მოახერხა. ამის შემდეგ მასპინძელთა დამრიგებელმა **სკოტ ბრუქსმა** მოედანზე **ნიკ კოლისონი** შეუშვა და სწორედ ამ ფორვარდმა ითამაშა ყველაზე კარგად რენდოლფის წინააღმდეგ.

მეოთხედის დასრულებამდე სამი წუთით ადრე ნიკმა ორჯერ ბრწყინვალედ ითამაშა დაცვაში - რენდოლფს მოუმზადებლად ასროლინა და ცოტა ხანში **კონლის** დაუფარა. უესტბრუკის გარღვევის შემდეგ ანგარიში 14:15 გახდა და ამჯერად ტაიმაუტის აღებამ ჰოლინზს მოუწია.

პირველი მეოთხედის ბოლო და მეორეს დასაწყისი ნაკლებად შედეგიანი იყო. ორივე გუნდი სამი წუთი ვერ ახერხებდა ბურთის ჩაგდებას, სანამ **მეინორმა** არ მოათავსა სამქულიანი კალათში. ცოტა ხანში იგივე დურანტმა გააკეთა, **პერკინსმა** კი ხუთი მეტრიდან ჩააგდო და მასპინძლების უპირატესობა 10 ქულამდე ავიდა.

დურანტმა გადამწყვეტი სიტყვა თქვა

ამ პერიოდში „მემფისი" ძალიან ცუდად გამოიყურებოდა შეტევაში, მაგრამ დაბალი რეალიზაციის მიუხედავად, სტუმრებმა მოახერხეს პირველი ტაიმის რვაქულიანი ჩამორჩენით დასრულება, რითაც მატჩის გადარჩენის შანსი დაიტოვეს.

ეს შანსი მესამე მეოთხედის შუაში გაჩნდა, როცა „გაილვიძა" რენდოლფმა და ზედიზედ რამდენიმე ბურთი ჩააგდო, ამას ერთი ზუსტი ტყორცნა **ტონი ალენმაც** დაუმატა და სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა. სწორედ ამ დროს გამოვიდა სცენაზე დურანტი. მისი სოლო უესტბურკის პასის შემდეგ შესრულებული ჩატენვით დაიწყო და ორი სამქულიანით დასრულდა, რომელთა შორის ერთი საშუალო მანძილიდან ჩაგდებული ბურთიც იყო. ორი შორეული ტყორცნა **ჰარდენმაც** მიითვალა - სამ წუთში ოთხმა სამქულიანმა გატეხა „მემფისის" წინააღმდეგობა, მით უმეტეს, რომ მესამე მეოთხედის ბოლოს იმავე ჰარდენმა კიდევ ერთხელ გაისროლა შორი მანძილიდან - 72:58 და მატჩის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო.

მეოთხე მეოთხედის ერთადერთი ინტრიგა შემდეგში მდგომარეობდა - შეძლებდა თუ არა უესტბრუკი სამმაგი დუბლის შესრულებას. ტრიპლ-დაბლი შედგა, რის შემდეგაც შეხვედრას რეზერვისტები ასრულებდნენ - 105:90.

დასავლეთი

ოკლაჰომა-მემფისი 105:90

21:17, 21:17, 30:24, 33:32

ო: დურანტი (39+9 მოხსნა+3 დაფარება), ჰარდენი (17+4 მოხსნა+4 ჩაჭრა+3 პასი), უესტბრუკი (14+14 პასი+10 მოხსნა), კოლისონი (8+12 მოხსნა), მოჰამედი (6), რობინსონი (5), პერკინსი (4+2 დაფარება), სეფოლოშა (4), ივეი (3), მეინორი (3), იბაკა (2).

მ: კონლი (18+6 პასი+5 მოხსნა), რენდოლფი (17+10 მოხსნა), მაიო (14+5 მოხსნა), გასოლი (12+7 მოხსნა+2 დაფარება), ალენი (7+4 ჩაჭრა), არტური (5), ვასკესი (5), ბატიე (4), პოუ (2), ჰადადი (2).

სერია: 4-3

ტრიო ხარებმა შეაჩერეს

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ფინალის პირველ მატჩში სერიოზული ფსიქოლოგიური დარტყმა მიიღო „მაიამიმ", რომელმაც წინა რაუნდში „ბოსტონის" განადგურებით მთავარი ფავორიტის სტატუსი მოიპოვა. როგორც ჩანს, „ჩიკაგოს" მთავარმა მწვრთნელმა ტომ ტიბოდომ ახალ მოწინააღმდეგეს ახალი სიურპრიზი მოუმზადა.

არადა, მასპინძლებისთვის ყველაფერი კარგად იწყებოდა. **ლებრონ ჯეიმსის** აქტიურობით „მაიამიმ" ზედიზედ ორი წარმატებული შეტევა განახორციელა და 4:0 დაწინაურდა. რა თქმა უნდა, „ჩიკაგოს" მხრიდან პასუხის გაცემა **დერეკ როუზს** ევალებოდა, მანაც ჯერ საშუალო მანძილიდან ჩააგდო, შემდეგ შორიდან, ბოლოს კი **ჟოაკიმ ნოაც** ახეირა - 7:6 მასპინძლების სასარგებლოდ.

საერთო ჯამში, პირველ მეოთხედში უკეთ სტუმრები გამოიყურებოდნენ, მაგრამ ბოლოსკენ თანდათან ინიციატივა ჩიკაგოელთა მხარეს გადავიდა. ამას ხელი შეუწყო მოედანზე რეზერვისტების გამოსვლამ. ამ მხრივ „ბულზს" აშკარა უპირატესობა ჰქონდა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი **ტაჯ გიბსონმა**, რომელმაც ჯერ საშუალო მანძილიდან მოათავსა ბურთი კალათში, შემდეგ კი სწრაფი გარღვევისას ულამაზესი ჩატენვა გვიჩვენა.

მეორე მეოთხედიც დაახლოებით ანალოგიური სცენარით ვითარდებოდა. „ჰიტი" გაქცევას ლამობდა, „ბულზი" - დაწევას. დიდ შესვენებამდე 2 წუთითა და 53 წამით ადრე ამ დევნამ შედეგი გამოიღო - 42:42. დაახლოებით ერთ წუთში კი „ხარები" წინ გავიდნენ - **ბუზერმა** შეტევაში მოხსნა ბურთი და თავად დაასრულა შეტევა. თუმცა გასახდელში გუნდები თანაბარი ანგარიშით გავიდნენ - **კრის ბოშმა** როუზის ორქულიანს ორი ზუსტი შეტევით უპასუხა.

პირველ ტაიმში როუზმა რამდენიმე უპატიებელი შეცდომა დაუშვა და მეორე ნახევარში მათ გამოსწორებას მიჰყო ხელი. დასვენებულმა ორმაგი ენერგიით გააგრძელა თამაში და ამან მაშინვე მოიტანა შედეგი. მეოთხედის ბოლოს 10:0 გაქცევის წყალობით მასპინძლები 11 ქულით გავიდნენ წინ, ასეთ დაძაბულ თამაშში კი ეს სოლიდური ფორა იყო. ხოლო ბოლო მეოთხედის დაწყებიდან ორი წუთის თავზე სტუმრების მდგომარეობა კრიტიკული გახდა - 66:83 **სი ჯეი უოტსონის** სამქულიანის შემდეგ. ერიკ სპოელსტრამ ზედიზედ ორი ტაიმაუტი აიღო, მაგრამ შეგირდების თამაშში დაბრუნება ველარ მოახერხა. არ იმუშავა „მაიამის" მთავარმა იარაღმა - „დიდმა ტრიომ". ჯეიმსის, **უეიდისა** და ბოშის სამეულიდან მხოლოდ ეს უკანასკნელი იმსახურებს ქებას (თამაშიდან - 12/18 და საჯარიმო - 6/6).

პირველი მატჩის ბედი საბოლოო საფინალო სირენამდე 2 წუთითა და 56 წამით ადრე გადაწყდა. **დენგის** ზუსტი სროლის შემდეგ ანგარიში იყო 99:80 მასპინძელთა სასარგებლოდ. ბრიტანელი საერთოდ მატჩის გმირი აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ 21 ქულა, 7 მოხსნა და 4 ჩაჭრა დააგროვა (საუკეთესო იყო სარგებლიანობის კოეფიციენტით- „+18"), მან დაცვაში თითქოს შეუძლებელი შეძლო - შეაჩერა ლებრონი.

ცუდად არც „ჩიკაგოს" მაღლები გამოიყურებოდნენ. მართალია, კრის ბოშს ვერ გაუმკლავდნენ, სამაგიეროდ, მოხსნებში მოუტანეს საკუთარ გუნდს სოლიდური უპირატესობა - 45:33, მეტოქის ფარზე კი საერთოდ დომინირებდნენ. მარტო ნოამ შეტევაში ორით მეტი მოხსნა გააკეთა, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა მაიამელმა - 8:6! გარდა ამისა, მასპინძლებმა კარგად გადაუკეტეს სამნამიანისკენ მიმავალი გზები ჯეიმსსა და უეიდს.

რა თქმა უნდა, სპოელსტრა და მისი ვარსკვლავი შეგირდები იპოვნიან გზებს სიტუაციის შესაცვლელად, მაგრამ ეს სწრაფად უნდა გააკეთონ, რადგან ამ მომენტისთვის ფსიქოლოგიური უპირატესობა „ჩიკაგოს" მხარესაა.

აღმოსავლეთი

ჩიკაგო-მაიამი 103:82

20:23, 28:25, 24:15, 31:19

ჩ: როუზი (28+6 პასი), დენგი (21+7 მოხსნა), ბუზერი (14+9 მოხსნა), ნოა (9+14 მოხსნა), გიბსონი (9+7 მოხსნა), ბრიუერი (8), აშიქი (5), ბოგანსი (3), უოტსონი (3), კორვერი (3).

მ: ბოში (30+9 მოხსნა), უეიდი (18), ჯეიმსი (15+6 პასი), ჩელმერსი (9), ჯონსი (4), ბიბი (4), მაგლოირი (2).

სერია: 1-0


ხარები კარგები იყვნენ

რიკ უელსტი

გეები ჩრდილიდან გამოდიან

ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ აღიარებით გამოვიდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბის - „ფინიქს სანზის" პრეზიდენტი **რიკ უელსტი**. მან ჟურნალისტებს საკუთარი არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია გაუმხილა.

58 წლის უელტსს 40 წელი NBA-ში აქვს გატარებული. პატარა ბიჭმა აქ მოღვაწეობა ბურთის მიმწოდებლის როლში დაიწყო, ახლა კი ხელმძღვანელ თანამდებობაზეა.

„მე გეი ვარ. NBA - ერთ-ერთი ბოლო სპორტული ინდუსტრიაა, სადაც ჰომოსექსუალიზმის თემას გვერდს უვლიან. დამიჯერეთ, ლიგაში გეები საკმაოდ არიან, მაგრამ არავის სურს საკუთარი ორიენტაციის აღიარება. მათ ეშინიათ, რადგან ეს თემა დღემდე მიუღებელია.

ამ ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ მინდა ბოლო სერიოზული ბარიერი გადაილახოს სპორტში. საზოგადოება ბევრ რამეს შეეგუა, ამიტომაც ჩემი სურვილია ხალხმა იცოდეს, რომ ჰომოსექსუალიზმი ნორმალური მოვლენაა. ყველა მოთმენით უნდა მოვეკიდოთ სხვის თავისებურებებს", - ამბობს უელტსი NBA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

საინტერესოა, რომ ამ ინფორმაციამდე ერთი კვირით ადრე ჭორის დონეზე გახდა ცნობილი, რომ „სან ანტონიო სპურსის" ვარსკვლავი **ტონი პარკერი** ჰომოსექსუალისტია. ასე რომ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გეები ჩრდილიდან გამოდიან.

● ფორმულა 1

ბერნი ექლსტოუნი

ორჯერ უფრო მდიდარი

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲛᲐ გაზეთმა Sunday Times-მა გამოაქვეყნა ბრიტანეთის ყველაზე მდიდარი ადამიანების სია. მასში 23-ე ადგილს იკავებს ფორმულა 1-ის მენეჯმენტის ხელმძღვანელი **ბერნი ექლსტოუნი**. მისი კაპიტალი 2.5 მილიონ ფუნტს შეადგენს, არადა, სულ რაღაც ერთი წლის წინ ეს თანხა „მხოლოდ" 1.375 მილიარდს შეადგენდა. ასე რომ, 12 თვის განმავლობაში ბერნი ორჯერ უფრო მდიდარი გახდა!

Sunday Times-ის სიაში სხვა პიროვნებებიც არიან, რომლებსაც ფორმულა 1-თან აქვთ შეხება. მაგალითად, არისტოკრატი **ჯონ დამფრიზი**, რომელიც 1986 წელს „ლოტუსის" რიგებში გამოდიოდა - მისი ქონება 110 მილიონ ფუნტად არის შეფასებული. ამ თანხის დიდი ნაწილი ყოფილ პილოტს მემკვიდრეობით აქვს მიღებული.

„ფერარის" ყოფილი წევრის **ედი ირვაინის** საბანკო ანგარიში 80 მილიონ ფუნტს ითვლის, მსოფლიოს ჩემპიონი **ჯოდი შექტერი** 60 მილიონის მფლობელია, **დევიდ რიჩარდსის** აქტივების ოდენობა 58 მილიონს შეადგენს, **დევიდ კულტჰარდმა** და **ლუის ჰემილტონმა** კი 50 მილიონი გამოიმუშავეს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა